საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა"-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ოთხშაბათი, 17 თებერვალი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 38 (1493)

დღიური

— რიფები დიდი შეტევისათვის ემზადებიან. ფრანგებმა უკვე დასცალეს რამოდენიმე პუნქტი.

— რეინისხსპერგში სეპარატისტული მოძრაობა განახლდა.

— კენიგსბერგში დიდი საღამო გაიმართა საბჭოთა ვაჭრობის წარმომადგენლების საპატივსაცემოდ.

— პილსუდსკი ავად გახდა.

— საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება დაიწყება მომავალი კვირის დასაწყისში.

ა. წ. 28 თებერვალს შესდგება საქართველოს კომპარტიის ც. კ. გაფართოებული პლენუმი

საქართველოს კომპარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ქართველიშვილი

ერთა ლიგა, საბჭოთა კავშირი, განიარაღების კონფერენცია

საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ იმ მიწერ-მოწერაზე, რომელიც გაიმართა ერთა ლიგასა და ამხ. ჩიჩერინს შორის განიარაღების კონფერენციის გარშემო.

ამ კონფერენციას იწვევს ერთა ლიგა, რომელსაც საბჭოთა კავშირი არ ცნობს, კიდევ მეტი: მას აშკარად უარყოფითად ეკიდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ ერთა ლიგაზე ჩვენ შეხედულება შევიცვალეთ. კარგა ხანია რაც იმპერიალისტური ქვეყნები ცდილობენ საბჭოთა კავშირის ჩათრევას ერთა ლიგაში, რომ ამ გზით შეზღუდონ ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის დამოუკიდებლობა. ჩვენც გაგვხადონ ლიგის მოქმედებისათვის პასუხისმგებელნი და სახელი გაგვიტეხონ ევროპას რევოლუციონურ მუშათა კლასის და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხების თვალში, რომელთაც შეგნებული აქვთ ერთა ლიგის ნამდვილი ხასიათი და მიზნები, სახელდობრ ის, რომ ეს დაწესებულება იმპერიალიზმის იარაღს წარმოადგენს. რათქმა უნდა ასეთ ორგანიზაციის წევრად ჩვენ ვერ გავხდებით და ხელს ვერ შევუწყობთ მისი ავტორიტეტის განმტკიცებას. ეს არა ერთხელ [illegible]ბია გადაჭრით და საჯაროდ საბჭოთა მთავრობას. ჩვენი პოზიცია დღესაც ასეთივე რჩება და ერთა ლიგის მიერ განზრახულ კონფერენციაში ჩვენის მხრით მონაწილეობის მიღების თანხმობამ შეცდომაში არავინ არ უნდა შეიყვანოს ამ ორგანიზაციისადმი ჩვენი დამოკიდებულების საკითხში. ამას ერთხელ კიდევ კატეგორიულად აღნიშნავს ამხ. ჩიჩერინი კონფერენციაზე მოწვევის საპასუხოდ.

მიუხედავად საბჭოთა მთავრობის ასეთი უარყოფითი დამოკიდებულებისა ერთა ლიგისადმი, ჩვენ მაინც თანახმა ვართ მონაწილეობა მივიღოთ განიარაღების კონფერენციაში, რომელსაც იგი იწვევს. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რამდენად ვართ ჩვენ მოწადინებული საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარების და შეიარაღების შემცირებას; ამისათვის საბჭოთა ხელისუფლება არ უშვებს არც ერთ შემთხვევას, რომელიც საშუალებას მისცემს მას გამოაშკარაოს თავისი სამშვიდობო პროგრამა, პოპულიარული გახადოს განიარაღების იდეა, ხელი შეუწყოს შეიარაღების შემცირებას, რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი იმპერიალიზმის ხანაში.

მაგრამ ინგლისის კარნახით ერთა ლიგამ განიარაღების კონფერენცია დანიშნა ჟენევაში (შვეიცარია), თუმცა მან წინასწარ მშვენივრად იცოდა, რომ შვეიცარიაში, ვოროვსკის მკვლელობის ქვეყანაში, საბჭოთა მთავრობა თავის დელეგატს არ გაგზავნიდა, სანამ შვეიცარია-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი არ მოგვარდებოდა. ცხადია, რომ ინგლისი, რომელიც ფორმალურად გვიწვევდა კონფერენციაზე, მაგრამ ფაქტიურად გვართმევდა მასზე დასწრების საშუალებას, მიზნად ისახავდა ჩვენს გამჟავებას ევროპის მასსების თვალში: „შეხედეთ—ჩვენ გვინდა მშვიდობიანობის განმტკიცება, განიარაღების მოხდენა, მაგრამ საბჭოთა მთავრობა ამის წინაალმდეგ ილაშქრებსო. იგი ასეც მოიქცა, იმ იმედით, რომ მასსა ვერ გაერკვეოდა საქმის ნამდვილ ვითარებაში.

მაგრამ ამ ფანდმა არ გასჭრა. მშრომელი მასსები კარგად მიხვდენ თუ „სად მარხია ძაღლის თავი". ამასთან ზოგიერთი ქვეყნები დაინტერესებული არიან, რომ საბჭოთა კავშირმა კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოს. ამ უკანასკნელმა გარემოებამაც, გარდა იმ უთანხმოებებისა, რომელნიც წარმოიშვენ კონფერენციის ინიციატორებ შორის მასზე გასარჩევ საკითხების გარშემო, გამოიწვია მისი გადადება. პირველყოვლისა საფრანგეთია დაინტერესებული, რომ ჩვენ კონფერენციაში მონაწილეობა მივიღოთ. საქმე ის არის, რომ ინგლისი ცდილობს თავის გავლენის განმტკიცებას ევროპაში. მან ამ მხრივ დიდი გამარჯვება მოიპოვა ლოკარნოში, სადაც მან ხელთ იგდო ბურჟუაზიულ დასავლეთის დირიჟორის ჯოხი და საფრანგეთის პოზიციები საგრძნობლად შეარყია. დღეს მედგარი ბრძოლა წარმოებს ინგლის-საფრანგეთ შორის ევროპაში ბატონობისათვის. ინგლისს არ შეუძლია თავისი გამარჯვება ლოკარნოში მკვიდრად ჩასთვალოს და ის უფრო გააღრმაოს და გააფართოოს, [illegible] ასეთი ძლიერი არმია. ამიტომ იგი მოწადინებულია საფრანგეთის განიარაღებას. თვითონ კი მას ხმელეთის ჯარი ცოტა ყავს, ხოლო თავის საზღვაო ძალების შემცირებაზე გაგონებაც არ უნდა. საფრანგეთს, რომ განიარაღების კონფერენციაზე გარიყული არ დარჩეს და შეეძლოს დაუპირდაპირდეს ინგლისს, ესაჭიროება საბჭოთა კავშირის მონაწილეობა კონფერენციაში ამ გარემოებით და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოვების უკანასკნელი ნიშნებით აიხსნება ის ფაქტი, რომ საფრანგეთი, როგორც გუშინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ჩვენ გარეშე საქმეთა კომისარიატის ცნობიდან სჩანს, გამოსულა შუამავლად ჩვენსა და შვეიცარიას შორის ვოროვსკის მკვლელობასთან დაკავშირებულ ინციდენტის ლიკვიდაციის მიზნით, რომ საბჭოთა მთავრობას ჟენევაში განზრახულ კონფერენციაზე დასწრების საშუალება მისცემოდა. ამ შემთხვევაში მოთხოვნები საბჭოთა კავშირის, რომელიც მოწყურებულია ყველა ქვეყნებთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენას, მინიმალური იყვნენ. პირველ ხანებში შვეიცარიის მთავრობა თითქო თანხმდებოდა მათ შესრულებაზე, მაგრამ ბოლოს მაინც ამაზე უარი განაცხადა. უეჭველია, რომ აქ ინგლისის ხელიც მოჩანს.

ერთა ლიგის მარტის სესიაზე გაირჩევა კონფერენციის მოწვევის დროის და ადგილის საკითხი. საფრანგეთი, როგორც ვთქვით, და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოც მოწადინებული არიან, რომ ეს კონფერენცია შესდგეს ჩვენი მონაწილეობით. ამიტომ თუ საერთოდ შესდგა ეს კონფერენცია, იგი უნდა გაიმართოს შვეიცარიის გარედ, ან თუ ჟენევაში შესდგა, შვეიცარიამ უნდა დააკმაყოფილოს ჩვენი კანონიერი მოთხოვნები. საბჭოთა მთავრობა კი მზად არის კონფერენციაში მიიღოს მონაწილეობა, თუ ამისათვის შექმნიან სათანადო პირობებს.

საცალო ვაჭრობა და კოოპერაცია

საბჭოთა კავშირის შინავაჭრობის უდიდეს მნიშვნელობის სადღეისო ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა საცალო საქონელზე ფასების დაკლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო გადამწყვეტ ზომებს ღებულობს მიაწოდოს მასიურ მომხმარებელს იაფი საქონელი, საცალო ფასები მაინც შეუჩერებლივ ზევით იწევენ.

საბითუმო ვაჭრობაში ფასების დაკლებისაკენ მიმართული ღონისძიებანი უფრო ადვილათ აღწევენ მიზანს, რადგან მრეწველობის ძირითადი დარგები სახელმწიფოს ხელშია და მხოლოდ სახელმწიფო გამოდის ბაზარზე მთავარ მიმწოდებლის როლში. მაგრამ გაცილებით ძნელი ამოჩნდა ასეთივე მისწრაფების განხორციელება საცალო ბაზარზე, სადაც კერძო კაპიტალს მნიშვნელოვანი პოზიციები უკავია და სადაც კონკურენციის სტიქია ბევრად უფრო ძლიერია.

აღსანიშნავია, რომ ფასების ზრდას ადგილი აქვს, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის ნაწარმოებზე. ფასების ამ ორი მიმართულებით ზრდას შეუძლია საფრთხე შეუქმნას საბჭოთა მანეთის სიმტკიცეს.

გარდა ამისა საცალო ბაზარი სოფლის და ქალაქის სამეურნეო თანამშრომლობის ყველაზე უფრო მნიშენელოვანი მამოძრავებელი იარაღია. თუ ეს იარაღი მოიჩლუნგებს, მას შეუძლია არევ-დარევა შეიტანოს სოფლის და ქალაქის მეურნეობათა ურთიერთობაში და აქედან სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნას მუშათა კლასის და გლეხკაცობის დაახლოების საქმეს.

ვის შეუძლია გამოვიდეს აქ საცალო ვაჭრობის მომწესრიგებელის როლში? რასაკვირველია, პირველყოვლისა კოოპერაციას და შემდეგ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებს.

კოოპერაცია თამაშობს შუამავლის როლს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობას შორის. ერთი მხრივ არსებობს კოოპერაციის სამომხმარებლო ქსელი, რომელიც ასაღებს მრეწველობის პროდუქციას და მეორე მხრივ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია რომელსაც გააქვს სოფლის ნაწარმოები ბაზარზე.

ამრიგათ კოოპერაციის ხელი სწვდება საცალო ვაჭრობის ორივე მთავარ ნაკადს, როგორც ქალაქიდან სოფელში მიმავალ, ისე სოფლიდან ქალაქისკენ მომავალ საქონელს. აქედან აშკარაა ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ეძლევა კოოპერაციას საცალო ფასების მოწესრიგებაში.

რა არის ამისათვის საჭირო? პარტიის მე-14 ყრილობის რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია:

„მთავარ ამოცანათ უნდა იქნას მიჩნეული სოციალისტურ მეურნეობათა ფორმების კერძო კაპიტალზე გამარჯვებისათვის ყოველ მხრივ ხელის შეწყობა, გარეშე ვაჭრობის მონოპოლიის განმტკიცება, სოციალისტურ სახელმწიფო მრეწველობის ზრდა, ამ ზრდის მეოხებით და **კოოპერაციის დახმარებით გლეხთა მეურნეობის მეტი რაოდენობით სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმა**".

ცხადია, მხოლოდ მაშინ შეუძლია კოოპერაციას გლეხთა სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმა, როცა ის გადაიქცევა სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის ორგანიზაციათ. [illegible] დაინტერესების პირობების შექმნა. დღევანდელი კოოპერაცია ამ მხრივ საგრძნობლათ მოიკოჭლებს.

დღეს მას არ შეუძლია მუშისა და გლეხის ბიუჯეტის დაცვა, რადგან კოოპერაცია ხშირათ ვერ ახდენს კერძო ვაჭარზე სათანადო გავლენას ფასების დაკლების მხრივ. საქონლის ტრანსპორტი, მოსამსახურეთა ჯამაგირები, ბინის ქირა და სხვა ზედნადები ხარჯები იმდენათ მძიმე ლოდათ აწვება კოოპერაციის ხელებში გავლილ საქონელს, რომ მას ველარ სწვდება მასიურ მომხმარებლის ჯიბე, როცა ის მასთან აღწევს.

ეს საკითხები ახალი არაა კოოპერაციისათვის, მაგრამ სწორეთ ეხლა, როცა ჩვენს წინაშე ასე მწვავეთ სდგას ნორმალური ფასების ამოცანა, ერთხელ კიდევ უნდა იქნას მათ მოგვარებაზე მიპყრობილი ჩვენი ყურადღება.

ერთ-ერთ საშუალებათ კოოპერატივის მუშაობის გამოცოცხლებისათვის, მისი აპარატის გამარტივებისათვის, უნდა ჩაითვალოს კოოპერაციაში გაერთიანებული წევრთა თვითმოქმედების გაძლიერება, ნებაყოფლობითი წევრობა, არჩევნების სისტემის მტკიცეთ დაცვა, მასის უშუალოთ დაახლოება და აქტიურათ ჩაბმა კოოპერაციის ყოველდღიურ მუშაობაში.

ეს გაადვილებს ერთი მხრივ ბრძოლას ზედნადები ხარჯების შემცირებისათვის და მეორე მხრივ ხელს შეუწყობს მშრომელი მასების კოოპერაციისაკენ ლტოლვას. მხოლოდ მასიურ თვითმოქმედ კოოპერატივს შეუძლია ბოლო მოუღოს იმ უსწორმასწორობას, რომელსაც ადგილი აქვს დღეს საცალო ბაზარზე. მხოლოდ ასეთი კოოპერატივი გახდება სოფლის და ქალაქის მტკიცეთ შემამჭიდროებელ ძალათ.

ამიტომ კოოპერაციის წევრთა თვითმოქმედების გამოცოცხლება, ერთი იმ მრავალ ამოცანათაგანს წარმოადგენს, რომელიც საშუალებას მისცემს ამ უდიდესი მნიშვნელობის სოციალისტურ მეურნეობის ორგანიზაციას, პირნათლად შეასრულოს პარტიის [illegible] დავალება.

ა. გრილისელი.

საჭიროა თემსაბჭოებთან სექციების ჩამოყალიბება

(მიმდინარე არჩევნების გამო)

საკითხი იმის შესახებ, რომ მშრომელთა ფართო მასა ჩაბმულ იქნეს საბჭოების მუშაობაში და საბჭოებსა და ამ მასის შორის დამყარდეს ნამდვილი კავშირი, ჯერაც ვერ არის სათანადოთ მოგვარებული.

ამის ერთ-ერთი მიზეზია საბჭოების ორგანიზაციული მუშაობის სისუსტე.

საუკეთესო ფორმად საბჭოების მუშაობაში ფართო მასის ჩაბმისათვის ითვლება სექციები საბჭოებთან. საქართველოს ცაკის მესამე მოწვევის მეორე სესიამ 1925 წლის ივლისში დამტკიცებულ დებულებაში სათემო საბჭოებისა და სათემო აღმასკომების შესახებ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სექციების დაარსებას სათემო საბჭოებთან და ყოველმხრივ განხილვის შემდეგ დაამტკიცა დებულება და საჭიროდ სცნო შვიდი ტიპიური სექციის დაარსება: 1) სასოფლო-სამეურნეო, 2) კულტურულ-განმანათლებელი, 3) საექიმო-სასანიტარო, 4) საფინანსო-საგ.-დასახადო, 5) საგზაო და ხიდების, 6) სამშენებლო და კეთილმოწყობის და 7) საკოოპერაციო.

სესიის შემდეგ გავიდა 7 თვე და მთელი რიგი მაზრების გამოკვლევის მასალები გვიჩვენებს, რომ მეტ წილ თემებში სექციები სრულებით არ არიან გამოყოფილნი, ზოგან კი გამოყოფილია, მაგრამ არსებობენ ქაღალდზე, არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ და არიან ისეთებიც, რომლებსაც ერთხელაც არ ჰქონიათ სხდომა.

ასეთი მდგომარეობა ახალი თემსაბჭოების არჩევის შემდეგ აუცილებლად გამოსწორებულ უნდა იქნეს. ახლად არჩეულ თემსაბჭოს პირველსავე სხდომაზე, რომელზედაც არჩეული იქნება სათემო აღმასკომი, გამოყოფილ უნდა იქნენ აგრეთვე სათანადო სექციები, რომლების არსებობა საჭიროების წარმოდგენს ამა თუ იმ თემისათვის.

არ არის სავალდებულო ყველა ზემოდ დასახელებულ 7 სექციის აუცილებელი გამოყოფა. სექციები შეიძლება იყოს სხვადასხვა ადგილას, საჭიროების მიხედვით სხვადასხვანაირი.

თვით დებულების მე-17-ე მუხლის შენიშვნა 1-ლი გვეუბნება: „ამა მუხლში აღნიშნულ სექციებს სათემო საბჭო დაარსებს საჭიროების მიხედვით; გარდა ამისა საბჭოს შეუძლია დაარსოს ახალი სექციები, აგრეთვე მუდმივი ან დროებითი კომისიები, რომელთაც გამგებლობის საგანს განსაზღვრავს თავის დადგენილებით".

სექციების არსებობა და მათი მუშაობის გამოცოცხლება ჩვენ მოგვცემს საშუალებას შევასრულოთ ორი ამოცანა: ერთის მხრით, ჩავაბათ საბჭოს ყველა წევრი საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში და, მეორეს მხრით, მივიზიდოთ საზოგადოებრივ მუშაობაში გლეხობის მოწინავე ნაწილი და სოფლის კულტურული ძალები. ამისათვის საბჭოს ყოველი წევრი ჩაბმული უნდა იქნეს სექციის მუშაობაში.

დებულების მე-18-ე მუხლის მიხედვით, სექციის წევრად შეიძლება იყოს ყველა მოქალაქე, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს. ამ მუხლის ძალით საბჭოს საშუალება ეძლევა ჩააბას სოფლის კულტურული ძალები სხვადასხვა სექციაში თავიანთი სპეციალობის მიხედვით. (მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები და სხვ.)

მაგალითად, გადასაწყვეტია საკითხი ქოხ-სამკითხველოს გახსნის შესახებ სოფელში. ეს საკითხი უნდა გადაეცეს კულტურულ-განმანათლებელ სექციას, რომლის მუშაობაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს სოფლის მასწავლებელი. ეს საკითხი სექციაში მუშავდება, შეისწავლება, ირკვევა ყველა მატერიალური შესაძლებლობანი და ასეთი დამუშავების შემდეგ გადაეცემა თემსაბჭოს საბოლოო გარჩევისათვის. მუშაობის ასე დაყენების დროს შესაძლებელი იქნება საკითხების გადაწყვეტა უფრო მოფიქრებულად და სწორად.

საჭიროა აუცილებლად საბჭოთა არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბდენ სექციები და სწორი რეგლამენტაცია გაუკეთდეს როგორც საბჭოს, ისე სექციების მუშაობას. საბჭოების და სექციების გარკვეული, რეგლამენტეცია ქმნილი მუშაობა იქნება ძირითადი საფუძველი, რომელიც მოგვცემს საშუალებას გამოვაცოცხლოთ საბჭოები.

ეს მიღწეულ უნდა იქნეს, ვინაიდან უნდა გვახსოვდეს, რომ სათემო საბჭოები მაშინ იქნებიან ნამდვილად საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენო ორგანოებად და საზოგადოებრივი თვითმოქმედების კოლექტიურ ორგანიზაციებად, თუ მათ მუშაობაში მუდმივ მონაწილეობას მიიღებენ უღარიბესი და საშუალო შეძლების გლეხობის აქტივი და მშრომელი ინტელიგენცია. ეს კი შეიძლება თემსაბჭოებთან სექციების ჩამოყალიბებით და მათი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებით, სათემო საბჭოსა და აღმასკომის მუდმივი ხელმძღვანელობის ქვეშ.

დ. ქუჩულორია.

საბჭოთა კავშირის და განიარაღების კონფერენცია

გ. ვ. ჩიჩერინის პასუხი ერთა ლიგის წინადადებაზე

მოსკოვი, 15 თებერვალი. ერთა ლიგის საბჭოს მიპატიჟებას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. გ. ვ. ჩიჩერინმა პასუხი გასცა შემდეგი ნოტით:

ვიტორიო შალოიას, ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარეს, ჟენევა

ბატონო, თავმჯდომარევ!

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ თქვენგან მივიღეთ 12 დეკემბრის დათარიღებული ცნობა, რომელიც შეიცავს მიპატიჟებას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად. საბჭოთა მთავრობამ ორჯერ განაცხადა, რომ ის დიდ მნიშვნელობას აძლევს ყოველგვარ ცდას შენელებულ იქნეს ომის საფრთხე და შემსუბუქებული იქნეს შეიარაღების სიმძიმე, რომელიც ხალხებს მძიმე ტვირთად აწევს, რომ ის მზად არის მიიღოს მონაწილეობა ყოველ კონფერენციაზე, რომელიც ამ მიზნით იქნება მოწვეული.

შემოხსენებული მიპატიჟების შესახებაც მე ვიმეორებ ამავე განცხადების და ამასთანავე განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებს იმას, თითქოს ჩემი მთავრობა იზიარებდეს იმ შეხედულებებს, რომელთაც ერთა ლიგის საბჭო ავითარებს.

მე აგრეთვე ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ თუ საბჭოთა მთავრობა, რომელიც ყველა ხალხთა მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ მიისწრაფვის, თანახმაა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ასეთ კრებაზე, რომელსაც ერთა ლიგა იწვევს; ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ მისი უარყოფითი დამოკიდებულება უკანასკნელისადმი ოდნავად შეიცვალა. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია მწუხარება გამოვსთქვათ, რომ კრებას, რომელიც მიზნად ისახავს ასე ფართო ამოცანას, როგორიცაა საყოველთაო განიარაღება, იწვევს ისეთი ორგანიზაცია, როგორც ერთა ლიგა, რომელიც ბევრ სახელმწიფოს მიერ არ არის ცნობილი. დიდ გაკვირვებას გამოვსთქვამ იმ გარემოების გამო, რომ ერთა ლიგის საბჭომ, რომელსაც სასურველად მიაჩნია საბჭოთა კავშირის მონაწილეობა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ მუშაობაში, ამავე დროს ჟენევა დანიშნა მოსამზადებელი კომისიის შესაკრებ ადგილად, და ამ რიგად, ფაქტიურად ყოვლად შეუძლებელი გახადა საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ამ კომისიაში.

საბჭოს არ შეუძლია არ იცოდეს, რომ საბჭოთა მთავრობას მრავალჯერ განუცხადებია, რომ შეუძლებლად მიაჩნია შვეიცარიაში თავისი წარმომადგენლების გაგზავნა, სანამ არ გადაჭრილა მისი კონფლიქტი შვეიცარიის მთავრობასთან, დაკავშირებული ლოზანის კონფერენციაზე გაგზავნილი წარმომადგენელის ვოროვსკის მოკვლასთან.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ საბჭოთა მთავრობამ უარყო შვეიცარიაში თავისი წარმომადგენლების გაგზავნა საზღვაო განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე, რომელიც შემდეგ იტალიაში გაიმართა.

შვეიცარიის მთავრობის საქციელმა საბჭოთა მთავრობის მიმართ შესამჩნევად ხელი შეუწყო ისეთ ატმოსფერის შექმნას, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდა ვოროვსკის მკვლელთა გამართლება. დაუსჯელობა იმათი, ვინც მოჰკლა ვოროვსკი და დასჭრა მისი თანამშრომელი, მოასწავებს საბჭოთა მოქალაქეების, განსაკუთრებით, ოფიციალურ საბჭოთა დელეგატების კანონგარეშე გამოცხადებას. სავსებით აშკარაა, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია გაგზავნოს დელეგატები ასეთ ქვეყანაში, სანამ იქ ვოროვსკის მოკვლის მომენტში არსებული პირობები, რომელიც დღემდის გრძელდება, არ შეიცვლება. ამგვარად, სამწუხაროა, რომ ერთა ლიგის საბჭომ მხედველობაში არ მიიღო ეს ფაქტები, როდესაც იგი ნიშნავდა ამ კომისიის მოწვევის ადგილს. ადვილი შესაძლებელია, რომ ტეხნიკურად ჟენევა ერთა ლიგისათვის ყველაზე უფრო შესაფერ ადგილს წარმოადგენს კომისიის სამუშაოდ, მაგრამ ერთა ლიგას არ შეუძლია მოსთხოვოს მიწვეულ სახელმწიფოებს, რომ მათ თავიანთი პოლიტიკა დაუკავშირონ მის ტეხნიკურ საჭიროებებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ განიარაღების კონფერენციაზე ისეთ დიდ სახელმწიფოს მონაწილეობას, როგორიც არის საბჭოთა კავშირი, მეტი წონა უნდა ჰქონოდა, ვიდრე იმ არგუმენტებს, რომელიც შეეხებოდა ერთა ლიგის ტეხნიკურ კომფორტს.

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ერთხელ კიდევ უნდა განვაცხადო, რომ საბჭოთა მთავრობას, რომელიც ესალმება ყოველგვარ ინიციატივას, ყოველგვარ ცდას განიარაღების დარგში, გულწრფელად სურს მონაწილეობის მიღება როგორც განიარაღების კონფერენციაზე, ისე მოსამზადებელ კომისიაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია მისი დელეგატების გაგზავნა კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში, რომლის სხდომები იმართება შვეიცარიის ტერიტორიაზე, ვიდრე არ იქნება მოგვარებული კონფლიქტი ამ უკანასკნელთან. ამ ნაირად, საბჭოთა კავშირმა უნდა აღიაროს, რომ მას საშუალება არ ექნება მიიღოს მონაწილეობა მოსამზადებელ კომისიაში, თუ უკანასკნელი სხვა ადგილას არ იქნება მოწვეული. ამასთანავე საბჭოთა კავშირის მთავრობა ერთა ლიგის საბჭოს აკისრებს პასუხისმგებლობას ამ კომისიაში საბჭოთა კავშირის მიერ მონაწილეობის მიუღებლობისათვის.

იმ იმედით, რომ ყველა ეს დაბრკოლებანი თავიდან იქნება აცილებული, ვთხოვთ, ბატონო თავმჯდომარე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩემს თქვენდამი პატივისცემაში.

მიწერ-მოწერა კომისიის გადადების შესახებ

მოსკოვი, 15 თებერვალი. 1926 წლის 1 თებერვალს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა მიიღო ერთა ლიგის საბჭოს გენერალურ მდივნის ერიკ დრუმმონდის მიერ ხელმოწერილი დეპეშა, რომელშიაც უკანასკნელი იტყობინება, რომ ხუთი სახელმწიფო შუამდგომლობს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სხდომის გადადებას. 13 თებერვალს ჩიჩერინმა მიიღო დრუმმონდისაგან წერილი 6 თებერვლის თარიღით, რომელიც ადასტურებს დეპეშას, რომ ხუთი სახელმწიფოს: საფრანგეთის, იტალიის, ჩეხო-სლოვაკიის, იაპონიის და ურუგვაის თხოვნით ერთა ლიგის საბჭოს ყველა წევრებმა დაადგინეს გადაიდოს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სხდომები. ამის გამო ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარემ დაავალა დრუმმონდს აცნობოს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის ყველა წევრებს, სამხედრო, საზღვაო და საჰაერო საქმეთა მუდმივ სათათბირო კომისიების წევრებს, რომ ამ კომისიების მოწვევა, რომელიც დანიშნული იყო 15—16 თებერვლისათვის, გადაიდო, ამასთანავე ამ კომისიების მოწვევის თარიღით გამორკვევის საკითხი შეტანილი იქნება ერთა ლიგის მარტის სესიის დღის წესრიგში. ერთა ლიგის საბჭოს გენერალურ მდივნის, ერიკ დრუმმონდის მიერ 1 თებერვლის თარიღით გამოგზავნილ დეპეშის საპასუხოდ გ. ვ. ჩიჩერინმა გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

ჟენევა, ერთა ლიგა, სერ ერიკ დრუმმონდს

მოსკოვი, 7 თებერვალი. საბჭოთა მთავრობა, რომლის თანხმობა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში მონაწილეობაზე მე 16 იანვრის თარიღით გამოგზავნილ წერილში უკვე გაცნობეთ, არ იქნებოდა კომისიის დაუყოვნებლივ მოწვევის წინააღმდეგი, რადგან ის სავსებით მზად არის კომისიის მუშაობისათვის, მაგრამ რა კი ხუთმა სახელმწიფომ ითხოვა მისი გადადება, ის თავის მხრივ თანახმაა გადადოს კომისიის მუშაობა, მხოლოდ თავისი მონაწილეობის პირობათ კვლავ სთვლის კომისიის მოწვევას შვეიცარიის საზღვრების გარეშე. საბჭოთა მთავრობას სასურველად მიაჩნია, რომ კომისია შეკრებულიყო ერთ-ერთ იმ ქვეყანაში, რომელთანაც მას ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვს.

ჩიჩერინი.

ბეცი ხალხისა და ატაცებულ ფაშისტების გავლენა

პარიზი, 16 თებერვ. მემარცხენე ბურჟუაზიის ორგანო „ევრი" იხილავს ერთა ლიგისადმი მიმართულ ჩიჩერინის ნოტას და აღნიშნავს საბჭოთა კავშირის შეურიგებლობას როგორც ლიგისა, ისე შვეიცარიის მიმართ. შემდეგ გაზეთი უმატებს, რომ **შვეიცარიის მთავრობა იმყოფება ბეცი ხალხისა და ატაცებულ ფაშისტების გავლენის ქვეშ. გაზეთი გამოსთქვამს სურვილს, რომ საფრანგეთის მთავრობამ განაგრძოს თავის შუამდგომლობა.**

ასეთივე დასკვნას ადგება მემარცხენე ბლოკის ორგანო „კოტიდიენი", რომლის აზრითაც, თუ შუამდგომლობა უშედეგოთ გათავდა, **მაშინ განიარაღების კონფერენცია გადატანილი უნდა იქნას ან ევიანში ან ექს-ლეო-ბენში, რადგან საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე განიარაღებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.**

საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზს „ტანს" ჩიჩერინის პასუხი შეურაცხმყოფელათ მიაჩნია ერთა ლიგისთვის, შვეიცარიასთან მოლაპარაკება კი დამამცირებელია უკანასკნელისთვის.

საერთოდ, გაზეთის აზრით, საბჭოთა კავშირი ან მიზეზს ეძებს, რომ მონაწილეობა არ მიიღოს კონფერენციაზე, ან სურს იაფი დიპლომატიური გამარჯვება მოიპოვოს შვეიცარიაზე.

ბოლოს გაზეთი დასძენს: „იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შეთანხმება მიღწეულ იქნება. საბჭოთა მთავრობამ თავის თავზე უნდა აიღოს ნამდვილი პასუხისმგებლობა—სურს კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოს სხვების თანასწორად, თუ არა და სრულიად განმარტოებით დარჩეს.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება

პარიზი, 15 თებ. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„15 თებერვალს რაკოვსკის თათბირი ჰქონდა ბერტელოსთან. პარლამენტში დაწყებულ კამათის გამო, საეჭვოა, რომ მოლაპარაკება მომავალ კვირამდე დაიწყოს.

საბჭოთა კავშირი და ბელგია

ვანდერველდეს განცხადება

პარიზი, 16 თებ. როგორც ბრიუსელიდან იუწყებიან, ვანდერველდემ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირი სერიოზულათ სცვლის თავის პოლიტიკის ორიენტაციას, რასაც მოწმობს პოლონეთ საბჭოთა ურთიერთობის შეცვლა.

შემდეგ ვანდერველდე ამბობს, რომ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხი ბელგიისათვის უფრო სხვანაირათა სდგას, ვიდრე საფრანგეთისთვის. იქ დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ რუსეთის ფასიან ქაღალდების წვრილი მეპატრონენი, ბელგიაში კი მსხვილი კაპიტალისტებიო.

კენიგსბერგის ბაზრობაზე

საღამო საბჭოთა ვაჭრობის წარმომადგენელთა პატივსაცემად.

ბერლინი, 15 თებერ. კენიგსბერგის ბაზრობის კომიტეტმა 14 თებერვალს გამართა საღამო ბაზრობაზე მყოფ საბჭოთა ვაჭრობის წარმომადგენელთა პატივსაცემად.

ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარემ ზიურმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ბაზრობაზე სტუმრების დიდ რაოდენობას საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები შეადგენენ.

ნიჟეგოროდის ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარე **მალიშევი** თავის სიტყვაში შეეხო გერმანიის და საბჭოთა კავშირის შეთანხმებულ მუშაობის აუცილებლობას ეკონომიურ დარგში.

შემდეგ ილაპარაკეს: საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში **ბეგგემ**, ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დოქტორ **გერბერტმა**, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელმა **ჟუკოვსკიმ** და საბჭოთა კავშირის კონსულმა კენიგსბერგში **კანტორმა**.

გაზ. „ტან" ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის შე[illegible]

პარიზი, 15 თებ. გაზეთ „ტანი"-ს კორესპონდენტმა ჟანტიზონმა მოათავსა წერილი, „აღმოსავლეთის თანამშრომლობა", რომელიც ეხება ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას. ეს წერილი გადაბეჭდეს ოსმალეთის გაზეთებმაც. ჟანტიზონი სხვათაშორის სწერს:

„თუ მოვუსმენთ ანგორის დეპუტატებს და წავიკითხავთ ოსმალურ ჟურნალებს, ისეთ შთაბეჭდილებას მივიღებთ, რომ ახალი ოსმალეთი დიდ საფრთხედ სთვლის ინგლისელების ყოფნას მოსულში. ოსმალებს ეშინიათ, რომ ინგლისი არ დაუბრუნდეს თავის ძველ, სევრის ხელშეკრულების დროინდელ პოზიციას ავტონომიური ქურთისტანის შექმნის შესახებ. ეშინიათ, რომ ინგლისმა ქურთებში არ შექმნას სეპარატიზმი, რაც გაართულებს ოსმალეთის მდგო[illegible] დაასუსტებს სახელმწიფოს საარსებო ძალებს.

ამას წინად ქურთები დიარბექირსა და სგერდს შუა თავს დაესხნენ ოსმალეთის ჯარისკაცთა გუნდს და ამაში ყველამ უცხოელების ხელი დაინახა".

ჟანტიზონი ფიქრობს, რომ ოსმალეთმა მოსულის საფრთხის ზეგავლენით და საერთოდ იზოლიაციის გამო დაიწყო დასაყრდენის ძებნა და გადაიხარა საბჭოთა რუსეთის მხარეზე. ჟანტიზონი სთვლის, რომ ინგლისი აიძულებს ოსმალეთს შესდგეს საბჭოთა რუსეთთან დაახლოვების გზაზე, და ამგვარად, შესაძლებელია, ოსმალეთი გადაიქცეს ანტი-ევროპიული იდეების იდეების ცენტრად და ჩადგეს აღმოსავლეთ ერების ბლოკში.

პროვოკაციული ხმები

თეირანი, 15 თებერვ. თეირანში იზრდება პურის კრიზისი. ამ დღეებში ხელოსანთა უბანში პურის შოვნა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ყოველ დღე იზრდება რიგები პურის საცხობებთან. ხალხსა და პოლიციას შორის შეტაკება ხდება.

დაინტერესებული პირები ავრცელებენ ხმებს, თითქოს საბჭოთა მთავრობამ შესწყვიტა პურის გაგზავნა სპარსეთში. აქამდის სპარსეთში შეტანილია 505.000 ფუთი ხორბალი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ჭორები არა ერთხელ უარყო საბჭოთა სრულ უფლებიანმა წარმომადგენლობამ, საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი წრეები შექმნილი მდგომარეობით სარგებლობენ მოსახლეობის ასამხედრებლად საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

შვეიცარიის მუშათა დელეგაცია

ბერლინი, 15 თებერვ. ბაზელში, ციურიხში და სხვა ქალაქებში არსებულ „საინიციატივო კომიტეტების" სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის შესახებ.

საბჭოთა პრესა

ბრძოლა საქონლის თვისებისათვის

დღეს ჩვენ განვიცდით სამრეწველო საქონლის ნაკლებობას. ამასთან დაკავშირებით იზრდება საცალო ფასები. წარმოების გაფართოება და რაც შეიძლება მეტი საქონლის გამოშვება—ერთის მხრივ, ვაჭრობის მოგვარება და საცალო ფასების დაკლება—მეორეს მხრივ, აი საითკენაა მიმართული ჩვენი საქმიანობა. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაწარმოების თვისების გაუმჯობესებას, ვინაიდან საქონლის მდარე ღირსების დროს მისი რაოდენობის გადიდება— და გაიაფება მეტ წილად მოჩვენებითი ხასიათის იქნება. თუმცა საქონლის თვისების საკითხი ამ ბოლო დროს დადგა პირველ რიგში, მაგრამ პრაქტიკულად ამ მხრივ ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია მნიშვნელოვან შედეგისათვის. ამხ. ფ. სვეტლოვი ამის გამო სწერს **„ეკონომიჩესკაია ჟიზნ"**-ში:

„ს. მ. უ. საბჭოს მუშაობას (საქონლის თვისების გაუმჯობესების დარგში) უნდა აღმოეჩინოს ყოველმხრივი და აქტიური საზოგადოებრივი დახმარება. პირველ რიგში მუშათა მასები, როგორც მათი ძველი, ისე ახალი კადრები, ფართედ უნდა იქნან ჩაბმული ამ მოძრაობაში საწარმოო თათბირების საშუალებით; მათი ყურადღება და ენერგია უნდა შევაჩეროთ იმ ამოცანებზე, რომელნიც დაკავშირებულია საქონლის თვისების გაუმჯობესებასთან.

საჭიროა საქონლის თვისების საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დაისვას საქარხნო-საფაბრიკო სკოლებსა, ტეხნიკუმებსა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში. ამ სასწავლებლებში სწავლის საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რათა მრეწველობის მუშაობის თვისების მთელი მნიშვნელობა ორგანიულად შევიდეს მრეწველობის მომავალ დახელოვნებულ მუშაკების შემეცნებაში.

საჭიროა სამეცნიერო-გამომკვლევ დაწესებულებათა მხრივ უმაღლეს კანტროლთან ერთად დავაჩქაროთ ფაბრიკა-ქარხნებთან ტეხნიკური კანტროლის სათანადო მოწყობა".

საბჭოთა საქონლის თვისების საკითხის წარმატებით გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის და გლეხების ეკონომიურ და პოლიტიკურ კავშირის განმტკიცებისათვის. შესაფერი ორგანიზაციულ ღონისძიებებთან ერთად საჭიროა ამ ამოცანის გარშემო მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის ამოძრავება.

მომხმარებლის მოვალეობა

სახელმწიფოს თავის მრეწველობის პროდუქციაზე დაწესებული აქვს მტკიცე საბითუმო ფასები. მაგრამ სანამ ეს პროდუქცია უშუალოდ მომხმარებლამდე მიაღწევს, მისი საცალო ფასები უზომოდ იზრდება. ამაში დიდ როლს თამაშობს ჩვენი სავაჭრო აპარატის, კერძოდ კოოპერაციის მოუწყობლობა. და აქ შეკავშირებულ მომხმარებლის კოოპერატიულ მუშაობისათვის ფართე ასპარეზია გადაშლილი საქონლის გაიაფების დარგში.

„თუ შეკავშირებული მომხმარებელი,—სწერს „რაბოჩაია გაზეტა",— აქტიური წევრია კოოპერატივის, მონაწილეობს სადუქნო კომისიების და სარევიზიო ორგანოების მუშაობაში, ცხოველ მონაწილეობას ღებულობს საერთო კრებებზე,—მას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ყველა ამ ხარჯების შესწავლას, რომელნიც საბოლოო ანგარიშით ადიდებენ საქონლის ფასს. კოოპერატიულ პრაქტიკაში ჯერ კიდევ მრავალ უთავბოლო და მიზანშეუწონელ ხარჯებს აქვს ადგილი: იჯარით იღებენ ძვირად ღირებულ შენობებს (ხშირად ქალაქის ცენტრში არამწევრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.), დიდძალი საშუალებები იხარჯება მიმოსვლისათვის, მოსამსახურეთა ზედმეტი შტატისათვის, ადგილი აქვს გაფლანგვის და მტაცებლობის ფარულ და აშკარა ფორმებს და სხვა.

ყველა ეს „წვრილმანები", რომელთაც უყურადღებოთ სტოვებს მომხმარებელთა უმრავლესობა, წარმოადგენენ სწორედ საცალო ფასების მაღალი დონის ერთ-ერთ მიზეზს. თუ ჩვენ დავიწყებდით საცალო ფასების აწევაში დამნაშავეთა ძებნას, მათ შორის პირველ რიგში აღმოვაჩენდით იმ „შეკავშირებულ" მომხმარებელს, რომელიც, უკმაყოფილებას გამოსთქვამს რა მაღალი საცალო ფასების გამო, არ ცდილობს თვითონ აწარმოოს ნამდვილი შეკავშირებული ბრძოლა კოოპერატიულ ვაჭრობის მოწესრიგებისათვის და სხვებსაც არ აბამს ამ ბრძოლაში".

სრული ჭეშმარიტებაა. სახელმწიფო ყოველგვარ ზომებს ღებულობს, რომ მოსახლეობას იაფად მიაწოდოს საქონელი, მაგრამ მარტო იგი ბევრს ვერ გახდება, თუ თვითონ მოსახლეობა არ დაეხმარება მას ამ საქმეში. დღემდე კი იგი საკმაო თვითმოქმედებას არ იჩენს და უმეტესად მხოლოდ უკმაყოფილების გამოთქმით კმაყოფილდება. შეკავშირებულ მომხმარებლის უნარიანობაზე და აქტივობაზე დიდათაა დამოკიდებული საცალო ფასების დაკლება და მან ამ მხრივ ფხიზელი კანტროლი უნდა გაუწიოს თავის კოოპერატივს.

ბრიანის საფინანსო გეგმების ჩაშლა

დეპუტატთა პალატამ უარყო არაპირდაპირი გადასახადების გადიდების პროექტები

მემარცხენე ბლოკის დაშლა

რადიკალური პარტიის შიგნით გამწვავებული ბრძოლაა

მემარჯვენეების მოლოდინში.—შავრაზმელ ჰანრი ტარდიეს არჩევა

ბრიანი აფიცებს პალატას

პარიზი, 15 თებ. უკიდურეს მემარცხენეების და მემარჯვენეების **ხმების უმრავლესობით დეპუტატთა პალატაში ზედი-ზედ უარყოფილ იქნა ყველა არაპირდაპირი გადასახადები, რომელსაც საფინანსო პროექტი ითვალისწინებს.**

ამის გამო ბრიანი აფიცებდა დეპუტატთა პალატას შეეწყვიტა ეს ტაქტიკა, რომელიც ნაკარნახევია „ცუდი განწყობილებით", რაც, მისი აზრით, მემარცხენეებში გამოიწვია მემკვიდრეობის უფლების რეფორმის უარყოფამ, ხოლო მემარჯვენეებში იმ გარემოებამ, რომ არ სურთ პასუხისმგებლობა იკისრონ იმ გადასახადებისათვის, რომელნიც მოსახლეობაში ნაკლებ პოპულიარული არიან.

პალატა ბრიანის გამოსვლას გულგრილად შეხვდა და 291 ხმით 216-ს წინააღმდეგ უარჰყო ფასის მომატება თამბაქოზე, რასაც ეწინააღმდეგებოდენ კომუნისტები.

რეაქციონერ ტარდიეს არჩევა

პარიზი, 15 თებ. ბელფორში რადიკალ სოციალისტი დეპუტატის სიკვდილის გამო დანიშნულ იქნა დამატებითი არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა ნაციონალისტმა ანდრე ტარდიემ.

1924 წლის არჩევნებთან შედარებით მემარცხენე ბლოკმა დაჰკარგა ხმების 20 პროცენტი.

ანდრე ტარდიე არის აშკარა რეაქციონერი, პუანკარეს პირადი მეგობარი და კლემანსოს თანამებრძოლი.

მის არჩევას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, განსაკუთრებით მემარცხენე ბლოკის რიგებში მომხდარ განხეთქილების გამო.

„პტი პარიზიენ" ტარდიეს არჩევის გამო სწერს, რომ მის გამარჯვების დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა გამომდინარეობს გაცხოველებულ კამპანიიდან, რომელსაც მის წინააღმდეგ მემარცხენე ბლოკის ლიდერები აწარმოებდენ.

„ეკო დე პარი" ესალმება ტარდიეს დაბრუნებას, როგორც ნაციონალურ მოვლენას, რომელიც გავლენას იქონიებს საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

„გოლუა" მხურვალედ ესალმება ტარდიეს დაბრუნებას და აღნიშნავს, რომ მემარცხენე ბლოკის ლიდერების აქტიურმა ჩარევამ მხოლოდ გააძლიერა მოძრაობა ტარდიეს სასარგებლოდ.

ფინანსიური კანონპროექტი.

პარიზი, 16 თებ. კვირის სხდომაზე დეპუტატთა პალატამ უარჰყო ყავის, მარილის და ალკოჰოლის საყოველთაო გადასახადის პროექტი და მიიღო საბირჟო ოპერაციებზე დაწესებული გადასახადების გაძლიერება.

მემარცხენე ბლოკის გათიშვა.

პარიზი, 16 თებერვ. ფინანსიური პროექტის გამო, მოსალოდნელია მემარცხენე ბლოკის გათიშვა. რადიკალებ შორის გათიშვა უკვე მომხდარი ფაქტია.

მიუხედავად ამისა, მაინც ყველა დეპუტატები სცდილობენ, თავიდან აიცილონ სამინისტროს კრიზისი.

ორ ბლოკს შორის.

პარიზი, 16 თებ. „ჟურნალი" აღნიშნავს ბრიანის კაბინეტის გართულებულ მდგომარეობას, რადგან იგი მოექცა დარღვეულ მემარცხენე ბლოკსა და ახლათ წარმოშობილ მემარჯვენე ბლოკს შორის, რომელიც სცდილობს მთავრობაში მონაწილეობის მიღებას იმ დროს, როცა რადიკალები ერთმანეთსა სწიწკნიან.

რა ხდება პოლონეთში

ბანდიტიზმი—პოლონეთის სოციალისტური პარტიის ტაქტიკაა

ვარშავა, 15 თებ. ამ დღეებში სინიავკა—ბრესტის გზატკეცილზე მოხდა ბანდიტური თავდასხმა ავტობუსზე. სროლის დროს მოკლულ იქნა ავტობუსის შოფერი და რამდენიმე ბანდიტი; დაიჭრა ოფიცერი.

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ თავდასხმა მოაწყო პოლონეთის სოციალისტური პარტიის სასოფლო უჯრედის თავმჯდომარემ, კულაკმა ფედოროვიჩმა. თავდასხმაში მონაწილე დაპატიმრებულთა შორის არის სოციალისტური პარტიის უჯრედის 5 წევრი. პოლიციამ გამოარკვია, რომ დაპატიმრებულთა [illegible] მათ რიცხვში, თავდასხმა პოლიციის საგუშაგოზე და სამხედრო ნაწილზე. ბანდიტებმა მოქმედება დაიწყეს 1921 წლიდან.

ყველა ზემოდ აღნიშნულ თავდასხმებს წინად „საბჭოთა ბანდებს" მიაწერდენ.

უკანასკნელ დროს პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებმა გააცხოველეს მოქმედება საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ხაზზე. ისინი ყველა სოფლებში აწყობენ უჯრედებს, რომელთაც უპირდაპირებენ კომუჯრედებს. ფიქრობენ, რომ პოლონეთის სოციალისტები თავდასხმას აწყობენ იმ მიზნით, რომ გაემწვავებინათ მდგომარეობა პოლონეთ საბჭოთა კავშირის საზღვარზე და შეექმნათ ცილის წამების კამპანია ბელორუსიის კომპარტიის წინააღმდეგ.

პილსუდსკი ავად გახდა

ვარშავა, 16 თებ. პილსუდსკი ავად გახდა ინფლუენციით; ექიმები მოელიან გართულებას ფილტვების ანთებით.

მინისტრთა საბჭომ ხელ-ახლა ერთი კვირით გადასდო პილსუდსკის ჯარში დაბრუნების საკითხის განხილვა.

ჩხრეკა პროფკავშირებში

ვარშავა, 16 თებ. ებრაელ მელითონეთა პროფკავშირების წევრების კრებაზე გამოცხადდა დამცველი პოლიცია, რომელმაც გაჩხრიკა ყველა მონაწილენი და დაატუსაღა ისინი რევოლიუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისთვის.

პოლონეთის ჯურღმულების საიდუმლოება

მოსკოვი, 16 თებ. ამას წინეთ გაცვლილმა პოლონელმა კომუნისტმა ბრუნსმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს აწერა ის საშინელებანი, რომელთაც ადგილი აქვთ პოლონეთის საპყრობილეში: ტუსაღების საწამებლად მთელი სისტემაა შემუშავებული. მცირეოდენ პროტესტს ახშობენ სასტიკი პოლიციური ძალით. სიმშილით გაფიცულთ ძალათ აჭმევენ. კვება ციხეში ყოვლად უვარგისია. ამის გამო სიკვდილის შემთხვევაც მრავალია.

პოლიტიკურ ტუსაღების კვება მოწყობილია მხოლოდ რემედახის საშუალებით. უამისოდ ყველა ისინი გახდებოდენ ქლექის და სიმშილის მსხვერპლად. რემედახი ნამდვილი ხსნა არის იმ ახეული პოლიტტუსაღებისთვის, რომელთაც აწამებენ პოლონეთის ჯურღმულებში.

ყველაზე მეტი უბედურება გადაიტანა ამხ. იავორსკაიამ. ის ჩააგდეს ბნელსა, ნესტიანსა და ვირთხებით სავსე სარდაფში. მას ხცემდენ თოფის კონდახებით, დაადევს ბორკილები და უარს ეუბნებოდენ მცირეოდენ საექიმო დახმარებაზეც. ჯალათები პირდაპირ უცხადებდენ, რომ იმათ ხელიდან ის ცოცხალი ვერ წავა და ვერავის გაუმჟღავნებს იქაურ ციხეების საშინელებას. როცა ციხის ხელისუფლებამ იავორსკაიას გადაცვლის შესახებ ცნობა მიიღო, შეეცადა მის მოწამვლას, რომ თავიდან მოეშორებინა ყოვლად არასასურველი მოწმე.

უკანასკნელი ცნობები

საარჩევნო ტერორი რუმინეთში

ვენა, 15 თებ. წინასწარი საარჩევნო კამპანია მუშურ-გლეხური დემოკრატიის ბლოკისა დიდი წარმატებით ვითარდება რუმინეთში.

მთავრობა უკიდურეს ტერორს მიმართავს ბევრ ადგილას. ჟანდარმებმა თავდასხმა მოახდინეს ოპოზიციის კრებებზე; აღრიცხულია რამდენიმე მოკლული, დაჭრილი და დაპატიმრებულები, ბესარაბიაში ჟანდარმერიამ აკრძალა ყოველგვარი კრება, რომელშიც 5 კაცზე მეტი მონაწილეა, მაშინ როდესაც ერთი კანდიდატის წამოსაყენებლად 25 ამომრჩეველია საჭირო.

რადიჩმა დააწყნარა

ვენა, 15 თებ. რადიჩი გამოვიდა სკუპშჩინაში ახალი სიტყვით, რო[illegible] წინააღმდეგ წამოყენებული, და განაცხადა, რომ მასსა და კაბინეტის სხვა წევრებს შორის არავითარი უთანხმოება არ არის.

რადიჩის სიტყვამ დააწყნარა რადიკალები.

ჩეხო-სლოვაკიამ გადასწყვიტა საბჭოთა კავშირის ცნობა.

პრაგა, 15 თებ. შვეციის ერთ-ერთ გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ბენეშმა განაცხადა:

„ჩეხო-სლოვაკიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი გადაწყვეტილია. ცნობა მოხდება რამდენიმე კვირის განმავლობაში, უკიდურეს შემთხვევაში სამი თვის შემდეგ".

ვანდერველდე

ბერლინი, 16 თებ. ერთა ლიგის შემდეგ სხდომაზე ბელგიის წარმომადგენლად იქნება ვანდერველდე.

პოლონეთი და ერთა ლიგა

ბერლინი, 16 თებ. „ტანის" ცნობით საფრანგეთს მხარს დაუჭერს იტალია პოლონეთისთვის მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ ერთა ლიგის საბჭოში.

გერმანია და ერთა ლიგა

ბერლინი, 16 თებ. გერმანიის მთავრობამ მიანდო თავის ელჩებს ლონდონსა და პარიზში სთხოვონ ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობას გამოაქვეყნონ ოფიციალური [illegible] გაფართოების შესახებ მასში გერმანიის შესვლის შემთხვევაში.

გაძარცვა

ბერლინი, 16 თებ. საქსონში გაძარცვეს გადასახადის ამკრეფი, რომელსაც წაართვეს 400,000 ლირა.

არჩევნები ბულგარეთში.

ვენა, 15 თებერ. ბულგარეთში მოხდა ადგილობრივ თვითმართველობების არჩევნები. უკანასკნელი ცნობებით მთავრობის პარტიამ მიიღო 85.000 ხმა. სოფიაში მთავრობამ მიიღო 11,000 ხმა, ოპოზიციონურმა პარტიებმა კი—21,000 ხმა, დღევანდელ საარჩევნო სისტემის წყალობით მთავრობის პარტიამ მიიღო 32 მანდატი სამოც მანდატიდან.

შეიარაღების „შემცირება"

ლონდონი, 16 თებ. ხვალ პორტსმუტის ნავთსადგურში ჩაუშვებენ ახალ ჯავშოსანს „სუფოლკს". ეს პირველია იმ ხუთ ჯავშოსანისგან, რომელნიც უნდა აშენდენ 1924—25 წლის პროგრამის მიხედვით ვითომდა „ძველი გემების შესაცვლელად". ხუთივე ჯავშოსანი დამთავრებულ იქნება მიმდინარე წელიწადში. ეს პირველი გემებია, რომლებიც შენდებიან ინგლისის მთავრობის მიერ თანახმად ვაშინგტონში დადებულ ხელშეკრულებისა. თვითეულს წყალწყვა 10.000 ტონის უდრის. შეიარაღებულ იქნები ალბათ 8 დიუმიანი ზარბაზნებით.

გერმანია და ერთა ლიგა

ლონდონი, 15 თებ. რეიტერის სააგენტოს მიერ „მეტად სარწმუნო წყაროებიდან" მიღებულ ცნობების თანახმად, საზღვარ გარეთ გავრცელებული ხმები თითქოს ინგლისი დასთანხმდა, რომ ერთა ლიგის საბჭოში გერმანიასთან ერთად პოლონეთსა, ესპანეთსა და ბრაზილიას მისცემოდა მუდმივი ადგილი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

დრუმონდი ბერლინში

ბერლინი, 15 თებ. ბერლინში ჩამოვიდა ერთა ლიგის მდივანი ერიკ დრუმონდი.

მანდატი სირიაზე

რომი, 16 თებ. რომში შესდგება ერთა ლიგის სამანდატო კომისიის საგანგებო სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება მხოლოდ აფრანგეთის მანდატის საკითხი სირიასა და ლიბანზე.

ევროპა და ამერიკა

ამხ. ტროცკის მოხსენება

მოსკოვი, 16 თებერვ. 15 თებერვალს საღამოთი, ექსპერიმენტალურ თეატრში ევროპისა და ამერიკის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ტროცკიმ, რომელმაც მთელი ორი საათი ილაპარაკა. მან დაახასიათა უმთავრესი პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილებანი, რომელნიც განსაკუთრებით ევროპის მთავარ სახელმწიფოებსა და ამერიკის შორის მოხდენ უკანასკნელ წლების განმავლობაში.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მრავალი მოსურნე ვერ დაესწრო ადგილების უქონლობის გამო.

რიფები შეტევისათვის ემზადებიან

ლონდონი, 15 თებ. მაროკოდან „ტაიმსის" კორესპოდენტის ცნობით, მოსალოდნელია რიფების დიდი შეტევა.

საფრანგეთის ჯარებმა დასტოვეს ბიბანი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი.

დროშა № 20

ურიგდება დღეს, „კომუნისტი"-ს ყველა ხელის მომწერლებს

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ხის დამმუშავებელთა ყრილობა.

მოსკოვი, 16 თებ. ხის დამმუშავებელთა საკავშირო ყრილობაზე, რომელიც გაიხსნა 17 თებერვალს, ჩამოვიდენ უცხოეთის პროფორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჩამოსულთა შორის არიან ინგლისის ავეჯეულობის დარგის მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი მერსონი, ჩეხო-სლოვაკიის ხის დამმუშავებელთა კავშირის მდივანი კრაცკი, იტალიის ხის დამმუშავებელთა კავშირის მდივანი პრიმო და შვეციის ხის დამმუშავებელთა კავშირის მდივანი რეიხმანი. მოელიან საფრანგეთის, ბელგიის, ლატვიის, ფინეთის და რუმინეთის ხის დამმუშავებელთა კავშირის წარმომადგენლებს.

ადგილების შეფასება სანატორიუმებში

მოსკოვი, 16 თებერვ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა კურორტების მთავარ სამმართველოს მიერ დაწესებული ფასები სანატორიუმებში ამა წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრამდე; შეფასება განაწილებულია 3 კატეგორიათ. ადგილის ფასი კავკასიის მინერალურ წყლების სანატორიუმებში პირველ კატეგორიით უდრის 156 მანეთს, მეორე კატეგორიით 168 მანეთს, მესამე კატეგორიით 300 მანეთს თვეში. ყირიმის სამხრეთ ნაპირების სანატორიუმებში ადგილები შეფასებულია 132 მანეთად, 150 მანეთ და 240 მანეთათ თვეში.

პირველ მომგებიან სესხის მესამე ტირაჟისათვის

მოსკოვი, 16 თებერვ. საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით პირველ მომგებიან სესხის მესამე ტირაჟის მოგება სავსებით გადახდილია. სულ სესხით მიღებულია 4 მილ. მანეთი, რაც შეადგენს ყველა გასასტუმრებელ მოგებეთა 62 პროც.-ს. იმ პირებმა, რომლებსაც აქვთ ობლიგაციები უნდა შეამოწმონ ისინი მით უმეტეს, რომ გასტუმრების ვადათ დაწესებულია 3 წელიწადი, ხოლო პირველ ტირაჟების შემდეგ გავიდა უკვე წელიწად ნახევარი.

ლენინის და სხვა ამხანაგების სასამართლოს „საქმეების" აღმოჩენა

ლენინგრადი, 15 თებ. საგუბერნიო საარქივო ბიუროში, საარქივო მასალების გადარჩევის დროს, აღმოჩენილი იქმა მრავალი უცნობი დოკუმენტი, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს სასამართლოს „საქმე", რომელიც აღძრულია ლენინის წინააღმდეგ დროებითი მთავრობის იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის განყოფილების მიერ. საქმე დაწყებულია 1917 წ. 11 ივლისს. იგი აღძრული იყო პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორის მიერ; პალატა აწარმოებდა მიწერ-მოწერას გენერალურ შტაბის მთავარ სამმართველოსთან. [illegible] განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა გამომძიებელს ალექსანდროვს. ლენინის დაპატიმრების შესახებ ხანგრძლივი შიფრიანი მიწერ-მოწერა სწარმოებდა ყაზანის, კიევის და პეტროგრადის სასამართლო პალატების პროკურორებსა და გენერალურ შტაბის მთავარ სამმართველოს შორის. დროებითი მთავრობის განკარგულებით, მთელ რუსეთში დაგზავნილი ყოფილა დეპეშები, რომელშიაც ნაბრძანებია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ლენინი აღმოჩენილი იქნა, დაუყოვნებლივ დაპატიმრებული და გადმოგზავნილი იქნას პეტროგრადში.

საქმეს დართული აქვს რუსეთის სამხედრო აგენტის შიფრიანი დეპეშა პარიზიდან. ეს დეპეშა შეეხება ლენინის ჩამოსვლას პეტროგრადში. საქმეს აგრეთვე თანდართული აქვს გენერალურ შტაბის მთავარ სამმართველოსთან არსებულ კონტრ-დაზვერვის ცენტრალურ განყოფილების უფროსის მიმართვა პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორისადმი ლენინის საქმის გამოძიება ხელმძღვანელ განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეების გამომძიებელ ალექსანდროვისათვის გადასაცემად. ცნობებს ლენინის შესახებ ამ განყოფილების უფროსს აწვდიდა მოკავშირეთა ბიუროს რუსეთის განყოფილების უფროსი პარიზში პოლკოვნიკი გრაფი იგნატიევი მე-2.

პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორი 1917 წ. 19 სექტემბერს განსაკუთრებული მიმართვით უბრძანებს პრაპორშჩიკ აფანასიევს, რომელიც იმყოფება იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში, ბრალდებულების ლენინის და ზინოვიევის დაპატიმრების განხორციელებას. პროკურორი იუწყება, რომ მიღებულ ცნობების თანახმად ორივე ბრალდებული პეტროგრადში იმყოფებიან და ამიტომ სთხოვს მიიღოს ზომები მათ დასაპატიმრებლად და პეტრე-პავლეს ციხის ტრუბეცკის ბასტიონში გადასაგზავნად და სასამართლო გამომძიებლის ალექსანდროვის სახელზე ჩასარიცხავად.

საქმეში არის პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის ბარათი 1917 წ. 27 სექტემბრის თარიღით. ლენინის წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების შესახებ მისი წერილისათვის: **„На рабочем пути"**,—რომელიც შეიცავს „აშკარა მოწოდებას პეტროგრადის ქუჩებში შეიარაღებულ გამოსვლებისაკენ.

იუსტიციის მინისტრი მალანტოვიჩი თავისი ხელისმოწერით 1917 წ. 18 ოქტომბრის მიმართვაში წინადადებას აძლევს პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორს მიიღოს ზომები დაუყოვნებლივ შეასრულოს საგამომძიებლო ხელისუფლების დადგენილება ამხ. ლენინის დაპატიმრების შესახებ 1917 წ. 3—5 ივლისს შეიარაღებულ აჯანყების მოწყობისათვის პეტროგრადში.

აღმოჩენილია აგრეთვე განსაკუთრებული „საქმე" ამხ. ტროცკის დაპატიმრების შესახებ. საქმესთან დართულია პეტროგრადის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის კირპიჩნიკოვის პატაკი პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორისადმი. პატაკში დაწერილია ამხ. ლუნაჩარსკის და ტროცკის დაპატიმრება 22 ივლისს ღამით. ორივე დაპატიმრებულნი ცალკ-ცალკე იყვნენ მოთავსებული ციხეში („კრესტი"). აღმოჩენილია აგრეთვე საქმე ამხ.ამხ.ტროცკის და ლუნაჩარსკის დაპატიმრების შესახებ; ამ საქმეს აწარმოებდა დროებითი მთავრობის იუსტიციის მინისტრი. საქმესთან დართულია ამხ. ტროცკის ხელით დაწერილი განმარტებითი ბარათი 1917 წ. 25 ივლისის თარიღით, „კრესტი"-ში დაპატიმრების დროს. ბარათში, რომელიც მიმართულია იუსტიციის მინისტრისადმი ამხ. ტროცკი ილაშქრებს პეტროგრადის სასამართლოს პროკურორის ცნობის წინააღმდეგ 3—5 ივლისის ამბებს გამო.

აღმოჩენილია „საქმე" კამენევის დაპატიმრების შესახებაც. ისიც „კრესტი"-ში იყო მოთავსებული. თავის ბარათში 1917 წ. 26 ივლისის თარიღით ამხ. კამენევი სწერს იუსტიციის მინისტრს, რომ ის ორ კვირაზე მეტია ზის ცალკე კამერაში და მისთვის სასამართლოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ წარუდგენია არავითარი ბრალდება. საქმეს თანდართული აქვს მუშათა დეპუტატების საბჭოს ბარათი 1917 წ. 7 აგვისტოს თარიღით პეტროგრადის სასამართლოს პალატის პროკურორის სახელზე. ამ ბარათში საბჭო სთხოვს პროკურორს აცნობოს, რა მდგომარეობაშია ამხ. კამენევის საქმე. აღმოჩენილია აგრეთვე „საქმე" ამხ. კოლონტაის დაპატიმრების შესახებ.

განათლების მუშაკთა სრულიად საქართველოს მეხუთე ყრილობა

15 თებერვალს საღამოს სხდომა არ შემდგარა, რადგან დელეგატები დაესწრენ საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ემიგრანტების მოხსენებას. მეათე სხდომა გაიხსნა 16 თებერვალს დილის ათ ნახევარ საათზე.

მეათე სხდომა

სახალხო განათლების საქმე აფხაზეთში

(ამხ. ჭოჭუას მოხსენება)

სახალხო განათლების დარგში აფხაზეთში, შეიძლება ითქვას, ბევრიც არის გაკეთებული და ცოტაც. თუ ავიღებთ საყოველთაო განათლების, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და სხ., ამ მხრივ ძალიან ცოტაა გაკეთებული, მაგრამ სამაგიეროთ გვაქვს საგრძნობი მიღწევები სხვა დარგებში.

ცარიზმისა და მენშევიკების დროსთან შედარებით ამ 5 წლის განმავლობაში, რომელთა შორის სამი წელი საორგანიზაციო მუშაობას მოუნდა, განათლების საქმე აფხაზეთში მტკიცე ნიადაგზე დადგა. საბჭოთა ხელისუფლების დროს გაცოცხლდა მენშევიკების ბატონობის ხანაში მკვდარი სკოლა. ასე, მაგ., 1914 წ. აფხაზეთში სულ იყო 148 სკოლა, მენშევიკების დროს იყო 146, ეხლა კი ჩვენ 272 სკოლა გვაქვს. მათ შორის 209 ს ინახავს მთავრობა, ხოლო დანარჩენი ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე იმყოფება.

ამხ. მომხსენებელმა შემდეგ აღნიშნა, რომ სკოლები არ არიან მომარაგებული სასწავლო ნივთებისა და ხელსაწყობებით. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე სკოლის შენობებიც. 33 სოფელში ისინი ნაქირავებ სახლებში არიან მოთავსებული. 48 სკოლის შენობა სრულიად უვარგისია, 65—უნდა საფუძვლიანი რემონტი და გაფართოვება, მხოლოდ 18 შენობა არის ისეთი, რომელთაც მცირეოდენი შეკეთება ესაჭიროებათ. ასეთ მდგომარეობაშია სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი სკოლები. რაც შეეხება მოსახლეობის ხარჯზე არსებული სკოლებს, მათი მდგომარეობა, ცხადია, უკეთესი არ არის.

მომხსენებელი ხაზს უსვამს კიდევ იმ გარემოებას, რომ მეფის მთავრობის დროს მოსახლეობა დაშინებული იყო, ის უფლება აყრილი იყო და არც სკოლებს ეკარებოდა. არც მენშევიკების დროს გამოსწორებულა ეს მდგომარეობა. პირველი ორი წლის განმავლობაში აფხაზები საბჭოთა სკოლასაც სკეპტიკურად უყურებდენ. 1923 წლის შემდეგ კი მდგომარეობა გამოიცვალა და მოსახლეობამ გადაჭრით იბრუნა პირი სკოლისაკენ. მან აქა-იქ თვითონ [illegible] ლი სკოლების რიცხვი თანდათანობით მატულობს და ამჟამად, როგორც ვსთქვით, მათი რიცხვი 272-მდე აღწევს. მათ შორის ათი საშუალო სასწავლებელია, 8 საბავშო ბაღი და სამი საბავშო სახლი. გაიზარდა, რასაკვირველია, მასწავლებელთა და მოწაფეთა რიცხვი. 1914 წელში მასწავლებელთა რიცხვი აფხაზეთში იყო 204, მოწაფეთა რიცხვი—7.885.; 1626 კი მასწავლებელთა რიცხვი 677 არის, ხოლო მოწაფეთა 19.237. ეროვნების მიხედვით სკოლებისა და მოწაფეთა რიცხვი შემდეგნაირად არის განაწილებული: აფხაზური სკოლები 48—3407, ქართული 72—6,994 მოწაფით, რუსული 14—1.394 მოწაფით, სომხური 67—3,757 მოწაფით, ბერძნული 48—2845 მოწაფით, ესტონური სამი, გერმანული ერთი და შერეული 18.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსახლეობა ძალიან მიილტვის სკოლისაკენ, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს საშუალება სავსებით დავაკმაყოფილოთ ეს ლტოლვა და ამის გამო სასწავლო ასაკის ახალგ. თითქმის ერთი ნახევარი სკოლების გარეშე არის დარჩენილი. მომხსენებელი შეეხო შემდეგ მასწავლებელთა კვალიფიკაციას და აღნიშნა, რომ მათი კვალიფიკაცია საერთოდ ძალიან დაბალია, განსაკუთრებით აფხაზური სკოლების მასწავლებლობა. აქ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მასწავლებელს არ ესმის მოწაფეთა ენა და პირიქით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ნაკლის გამოსასწორებლად მიღებულია ზომები. გახსნილია პედაგოგიური ტეხნიკუმი, საიდანაც გამოვლენ ამ საქმისათვის საკმაოდ მომზადებული მუშაკები. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე სახელმწიფო გამომცემლობის საქმეს აფხაზეთში და აღნიშნა, რომ ის შეფერხებულია საჭირო თანხების უქონლობის გამო. გამომცემლობის განვითარებას ხელს ისიც უშლიდა, რომ აფხაზური ანბანი არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამჟამად შემოღებულია ლათინური ასოები.

დასასრულ, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კულტურული საქმიანობისათვის ნიადაგი აფხაზეთში უკვე მომზადებულია და განათლების სახ. კომისარიატი უახლოესი ხნის სამუშავო ამოცანად [illegible] გამაგრებას და სასკოლო საქმის წესიერ კალაპოტში ჩაყენებას.

სახალხო განათლების საქმე საქართველოში

ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება

ამხანაგებო, გასული წლის მუშაობის დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ ჩვენ ფრიად ნერვიულ ატმოსფერაში გვიხდებოდა საქმიანობა. ჩვენ ნავარაუდევი გვქონდა დაახლოებით ის ფინანსიური შესაძლებლობანი, რომელნიც საერთოდ არსებულ პირობებიდან გამომდინარეობდენ და ამის მიხედვით შესაფერისი გეგმა გვქონდა შედგენილი.

თქვენ უკვე იცით, რომ ჩვენი მოლოდინი ნაწილობრივ არ გამართლდა და ამის გამო მოგვიხდა შედგენილ გეგმის გადასინჯვა და შემოკლება. ემ მდგომარეობა, ამხანაგებო, საერთო იყო და მარტო ჩვენს კომისარიატს არ დამართია ასეთი ამბავი. გარდა ამისა, სამწუხაროთ, გამოირკვა, რომ საორგანიზაციო საკითხები სავსებით არ იყო მოგვარებული და ამ დარგშიაც მოგვიხდა მუშაობა. მესამე ხელისშემშლელი გარემოება ის იყო, რომ მასწავლებლობა ხელფასის მიღების საკითხში გაყოფილი იყო ორ ნაწილად: ერთი ნაწილი სახელმწიფო მომარაგებაზე იმყოფებოდა და ის თავის დროზე იღებდა ხელფასს, ხოლო მეორე ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტის შემყურე იყო და თვეობით ვეღარ იღებდა ჯამაგირებს. ამ მდგომარეობის გამო, ჩვენ იძულებული ვიყავით გვეზრუნა იმაზე, რომ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ მასწავლებლობას დროზე მიეღო ხელფასი.

მიუხედავად ამ ხელისშემშლელ პირობებისა, საანგარიშო ხნის განმავლობაში ჩვენ მაინც ბევრი რამ გავაკეთეთ.

თქვენ მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ ცარიზმის დროს საქართველოში და მთელ ა/კ. შემოღებული იყო სწავლა-განათლების ჰუმანიტარული სისტემა. მასწავლებლობაც მხოლოთ ასეთ სკოლებისათვის იყო მომზადებული. ეს გარემოება ცარიზმის საერთო პოლიტიკიდან გამომდინარეობდა, რომელიც ცდილობდა არ დაეშვა საწარმოო ძალთა განვითარება ჩვენში და, მაშასადამე არც შესაფერი სპეციალისტების მოსამზადებელი სკოლები არსებობდა. ჰუმანიტარულ სკოლების გავლენა ღრმად იყო ფეხგადგმული ჩვენში არა მარტო ინტელიგენციის ფართე წრეებში, არამედ გლეხობაშიაც. ეს სისტემა ჩვენ შრომის სკოლებით შევცვალეთ. მაგრამ მათ განმტკიცებას მრავალი მიზეზები გადაეღობა წინ. სხვათა შორის, არც მატერიალური ბაზა გვქონდა იმისათვის, რომ შრომის სკოლა ფორმითაც და შინაარსითაც ნამდვილ შრომის სკოლად გადაგვექცია. საქართველოში ძალიან დიდი ლტოლვაა სწავლა-განათლებისაკენ. ამან გამოიწვია სასკოლო ქსელის არანორმალური გაფართოვება. ჩვენ იძულებული ვიყავით ნაწილობრივ გვებრძოლა ამის წინააღმდეგ. ჩვენში ამ ჟამად 280 შვიდწლედია, 60 ცხრაწლედი, რომელთაც პარალელური განყოფილებები აქვთ. გარდა ამისა არის კიდევ ერთწლედი, ორწლედი და სხვ. უპირველესი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას დღეს, ეს ის არის, რომ მოვახერხოთ 4 წლედების ქსელის გაფართოვება. მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ 7-წლედი და საერთოდ მეორე საფეხურის სკოლები ისეთნაირად გადავაკეთოთ, რომ ახალგაზრდობა, რომელიც ამ სკოლას გაათავებს, გამოსადეგი იქნეს საქმისათვის. ამ მხრივ დღეს არ არის კარგი მდგომარეობა. გასულ წელს ჩვენში 10 ათასმა ახალგაზრდამ გაათავა 9 -წლედები, მათგან მხოლოდ ორი ათასი მოთავსდა სასწავლებლებში და შესძლო სწავლის გაგრძელება. 8 ათასი კი გარეთ დარჩა. ეს ახალგაზრდობა ცენტრებს მოაწყდა და სამუშაოს ეძებს, მაგრამ, რადგან არავითარი კვალიფიკაცია არა აქვს, სამუშაოს შოვნა ძლიერ უძნელდება. ისინი სოფლად მუშაობასაც გაურბიან და ამრიგად სოფელიც იცლება ერთგვარი კულტურული ძალისაგან. 7-წლედი, ან გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა ისეთნაირად უნდა მოვაწყოთ, რომ სკოლა დამთავრებულ ახალგაზრდობას შეეძლოს დაუბრუნდეს თავის გლეხურ მეურნეობას და სასარგებლო იქნეს მისთვის. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა არ უნდა წავაქეზოთ და არ მივსცეთ საშუალება შემდეგშიაც განაგრძოს სწავლა.

გ/წ. ჩვენში გლეხურ ახალგაზრდობის 7 სკოლა იყო, ჩვენ უნდა შევძლოთ და გადავაკეთოთ ჩვენი 7 წლედები თანდათანობით გლეხურ-ახალგაზრდობის სკოლებათ. ეს უნდა მოვახერხოთ არა დეკრეტების საშუალებით, არამედ ისე, რომ ეს სკოლები თავის შინაარსით დასახულ მიზანს ემსახურებოდენ. მართალია, ამ საქმეს რამოდენიმე წელი მოუნდება, მაგრამ სჯობს ნელა და გარკვეულად წავიდეთ დასახულ მიზნისაკენ. გარდა ამისა, 9-წლედებში უნდა გავატაროთ ერთგვარი განხრა. ამ სკოლებმა უნდა მოგვცენ ჩვენ შეგნებული მასიური საზოგადო მუშაკები. ქუთაისის ერთ-ერთ 9 წლედში, მაგალითად, უკვე გატარებულია კოოპერატიული განხრა: იქ მოწყობილია კოოპერატივი, სადაც ყოველგვარი საქონელი არის და ამ კოოპერატივში მოწაფეები ეჩვევიან კოოპერაციაში მუშაობას.

შეეხო რა პროფტეხნიკურ განათლებას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ სკოლების ქსელის გაფართოება მჭიდროდ უნდა იქნეს დაკავშირებული საწარმოო ძალთა განვითარების გეგმასთან. ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალურ ტეხნიკუმებში სწავლის წესიერ კალაპოტში ჩაყენებას და მათ უზრუნველყოფას შესაფერისი პედაგოგიური პერსონალით.

საქართველოში დიდი ნაკლებობაა სპეციალური საგნების პედაგოგიურ ძალებისა. ამით აიხსნება, რომ ამ საგნების მასწავლებლები ძალიან დატვირთულნი არიან და ხელფასსაც დიდს იღებენ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ განათლების დონე საქართველოს მასწავლებლობის არ არის დამაკმაყოფილებელი. ასე, მაგ. სოციალური აღზრდის სკოლებში უმაღლესი განათლებით არის 723 მასწავლებელი, დაუმთავრებელი უმაღლესი სწავლა აქვს 430-ს, საშუალო—3.375-ს, დაუმთავრებელი საშუალო ცოდნა—290-ს, დაბალი—2.533 და შინაური განათლება 126. ასეთია მასწავლებლობის კვალიფიკაცია. კომისარიატს განზრახული აქვს მთელი რიგი ღონისძიებების გატარება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე მეცნიერების მთავარ საბჭოს მუშაობას და აღნიშნა, რომ ახალგაზრდა ქართული მეცნიერება სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ.

შემდეგ ამხ. კანდელაკი გადავიდა ხელფასის საკითხზე. აქ ბევრი ითქვა ხელფასის გარშემო,—ამბობს მომხსენებელი,—ამხანაგები საყვედურს გამოსთქვამდენ იმის გამო, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ხელფასის საჭირო დონემდე აყვანა. ჩვენ გვესმის, რომ მასწავლებლობის მოთხოვნილება სრულიად სამართლიანია მაგრამ კომისარიატს არა აქვს საშუალება დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება. რაც შეეხება სიჭრელეს ხელფასში და იმ კორექტივებს, რომელზედაც აქ ამხანაგები ლაპარაკობდენ, კომისარიატი უსათუოდ მიიღებს მათ მხედველობაში. (ტაში.)

მოხსენების შემდეგ ამხ. ამხ. ქუთათელაძემ, ჭოჭუამ და კანდელაკმა პასუხი გასცეს შეკითხვებზე.

მეთერთმეტე სხდომა

კამათი

16 თებერვლის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი აჭარისტანის, აფხაზეთის და საქართველოს განათლების სახალხო კომისართა მოხსენებების გარშემო.

ამხ. ულენტი (დუშეთი)

აღნიშნავს, რომ პროგრამები და გეგმები სკოლებს გვიან ეგზავნებათ. სკოლებში კომპლექსიური მეთოდი შემოიღეს, მასწავლებლები კი არ არიან მომზადებული ამ მეთოდით სწავლებისათვის. ცენტრიდან ადგილების გამოსაკვლევად გამოცდილი ინსტრუქტორები უნდა მოდიოდენ, რათა სოფლის მასწავლებელს მისცენ შესაფერისი რჩევა დარიგება საჭირო საკითხებზე.

ოთხწლედების ქსელი უნდა გაფართოვდეს და უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებს, რომლებიც ეხლა გამოფხიზლდენ, მოითხოვენ სკოლების დაარსებას, თუნდაც მათ ხარჯზე. ჯამაგირები თავის დროზე მოდის, მაგრამ მიღების სისტემა არ ვარგა. ჯამაგირები ახალი წესით თვითეული სკოლის გამგემ ცალკე უნდა მიიღოს სამფინგანიდან. ეს არ არის მოსახერხებელი, რადგან გა[illegible]

ამხ. თალაკვაძე

აღნიშნავს, რომ აფხაზეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების საქმე ვერ არის მოწესრიგებული, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება. იქ ვერც აბხაზურ სკოლებში ყოფილა საქმე რიგიანად, რადგან თურმე დარჩენილან ისეთი სკოლები, სადაც მოწაფეებს და მასწავლებელს ერთმანეთის ენა არ ესმით. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება და განათლების საქმე აფხაზეთში შესაფერის სიმაღლეზე უნდა იქნეს აყვანილი. ოთხწლედების რიცხვი ჯერჯერობით მცირეა. მათი ქსელი უნდა გაფართოვდეს. განათლების სახალხო კომისარიატი სუსტ ხელმძღვანელობას უწევდა სკოლებს. საჭიროა ინსტრუქტორთა აპარატის გაძლიერება.

ამხ. ხუციძე (თელავი)

აღნიშნავს, რომ მასწავლებლები რამოდენიმე ჯგუფს ასწავლიან ერთად და მოითხოვს ამ მდგომარეობის მოწესრიგებას.

ამხ. ხუნდაძე ტრ.

კომისარიატმა უნდა შეამციროს ყოველგვარი ხარჯები და გამონახოს საშუალება სახალხო მასწავლებლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამხანაგი მოითხოვს პედაგოგიური ჟურნალის დაარსებას. გარდა ამისა ის მოითხოვს ფილოლოგიური ყრილობის მოწვევას ქართული ტერმინოლოგიის შესამუშავებლად, რომელიც, მისი აზრით, ძალიან არეული არის. დასასრულ ამხანაგი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აფხაზეთის სკოლებში ქართული ენის სწავლება ვერ არის მოწესრიგებული და გარდა ამისა სკოლებისათვის შედგენილი პროგრამა არ შეეფერება თავის დანიშნულებას.

ამხ. ვ. ხუროძე

აღნიშნავს ზოგიერთ ნაკლს სახელგამის მუშაობაში და მოითხოვს ქართველ კლასიკების ნაწარმოებთა სრული კრებულის გამოცემას და არა მარტო რჩეული ნაწერების, როგორც დღეს, მაგალითად, აკაკის ნაწერებია გამოცემული.

ამხ მალაშხია

მოითხოვს, რომ აფხაზეთის ქართული სკოლები უზრუნველყოფილი იქნენ მომზადებული მასწავლებლებით მით უმეტეს, რომ აქ არიან უმუშევარი პედაგოგები.

სასკოლო რეფორმის გატარების და კერძოთ ცხრაწლედების დაკეტვის ან გადაკეთების საქმეში ამხანაგი მეტ სიფრთხილეს ურჩევს კომისარიატს.

ამხ. სანიკიძე

აქცევს კომისარიატის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ჯავახეთის ქართული სოფლები არა რიან უზრუნველყოფილი ქართული სკოლებით და მასწავლებლებით. ის მოითხოვს, აგრეთვე, ამ მხრივ ყურადღების მიქცევას საინგილოსა და ფერეიდნელ ქართველთათვის.

ამხ. გაჩეჩილაძე

ეხება შორაპნის მაზრის სკოლების მდგომარეობას და ამბობს, რომ სკოლები დაზიანებულია, არ არი აგრეთვე სასწავლო ხელსაწყოების მაზრაში ერთი ინსტრუქტორია, რაც არ არის საკმარისი.

ამხ. ნუცუბიძე (პროფესორი).

მიაქცევს კომისარიატის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სკოლები არ იძლევიან უნივერსიტეტისათვის საკმაოთ მომზადებულ ახალგაზრდობას. მართალია, ამ მხრივ წინანდელთან შედარებით მდგომარეობა უკეთესია, მაგრამ რაც არის, ის მაინც არ კმარა.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ გამომცემლობა უნივერსიტეტს საკუთარი თანხებით აქვს მოწყობილი, რაც არ არის ნორმალური და მოითხოვს, რომ განათლების კომისარიატმა გამონახოს თანხები ამ საქმისათვის.

შეეხო რა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისრის მოხსენებას, მან აღნიშნა ამ კომისარიატის მიერ შედგენილ პროგრამის დეფექტები და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროგრამით არ არის გათვალისწინებული საქართველოს შესწავლა შრომის სკოლებში. ორატორმა მოითხოვა ამ ნაკლის გამოსწორება.

შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **წილოსანმა, შარაშიძემ, კაკუშაძემ, ჯიბლაძემ** და **მარიამ ორახელაშვილმა.**

ამხ. ორახელაშვილის სიტყვა.

აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარმა სთქვა, რომ იქ არსებობს ორნაირი სკოლა: ერთი საბჭოთა სკოლა, ხოლო მეორე სასულიერო, ე. წ. მედრესე. ჩვენ ვერ ვიტყვით და ვერ მოვითხოვთ, რომ ამხანაგებმა ეხლავე მოსპონ ეს მედრესეები, მაგრამ საჭირო არის ზოგიერთი ღონისძიებების გატარება. პირველყოვლისა უნდა გაიზარდოს განათლების საქმის ბიუჯეტი. საჭიროა აჭარისტანში მოვამზადოთ პირობები კულტურული მუშაობისათვის, როგორც მოზარდ თაობაში, ისე დიდებს შორის. ამისათვის საჭიროა პოლიტგანათლების ორგანოების მუშაობის გაძლიერება. მტკიცე ნიადაგზე უნდა დავაყენოთ აგრეთვე სასკოლო ასაკამდე ახალგაზრდობის აღზრდის საქმე. უნდა გავხსნათ საბავშვო სახლები და ამ სახლებში მოუყაროთ თავი აჭარის ფუხარა ხალხის შვილებს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე პედაგოგიურ ძალების მომზადებას.

ეხლა ორიოდე სიტყვა აფხაზეთის შესახებ. აქ ილაპარაკეს პროგრამაზე. მართალია ამ პროგრამაში არის შეცდომები, მაგრამ ჩვენც და აფხაზეთში მომუშავე ამხანაგებმაც შევამჩნიეთ ეს შეცდომები და ისინი გამოსწორებულ იქნებიან. საერთოდ შეცდომები ყველგან არის შესაძლებელი. ჩვენც შევადგინეთ პროგრამები და ამ პროგრამებში იყო შეცდომები. რასაკვირველია, ისინი გამოსწორებულ იქნებიან.

შემდეგ ამხანაგი ორახელაშვილი შეეხო მასწავლებელთა დატვირთვას, ცხრაწლედების რიცხვის შემოკლების საკითხს, მასწავლებელთა გადამზადების საქმის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ინსტრუქტორების უკეთ მომზადების მიზნით, კომისარიატი ხსნის საგანგებო კურსებს.

დასასრულ ამხანაგი შეჩერდა სახელმძღვანელოების საკითხზე და სთქვა, რომ ახალი სახელმძღვანელოები, თუ კი ისინი უკეთესი იქნებიან, ვიდრე ძველი, კვლავაც იქნებიან გამოცემული და კომისარიატი ვერავის მისცემს პირობას, რომ ერთხელ მიღებული სახელმძღვანელო წიგნი სამუდამოდ დარჩება. რასაკვირველია, კომისარიატი არ სცვლის სახელმძღვანელოებს სამოსწავლო წლის განმავლობაში.

მეთერთმეტე სხდომაზე დამთავრდა კამათი სახ. გან. კომისართა მოხსენებების გარშემო.

შეცდომის გასწორება

1) „კომუნისტის" № 36 მოთავსებულ ამხ. გაჩეჩილაძის სიტყვაში გაპარულია შეცდომა. სწერია: „ოთხწლედის გამგეს დაკისრებული აქვს ორი ჯგუფის ხელმძღვანელობა და იმდენსავე ხელფასს იღებს, რამდენსაც შვიდწლედის გამგე". ხაზგასმული სიტყვის მაგიერ უნდა იყოს: „მასწავლებელი".

2) ჩვენ ანგარიშში შეცდომით გამორჩა, რომ ც. გამგეობის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს, გარდა ჩამოთვლილ ამხანაგებისა, ამხ. კვილაძემ და უგულავამ.

ეკონომიური ცხოვრება

ჩვენი მრეწველობა

საფეიქრო შინამრეწველობა

ამ ჟამად მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის შინამრეწველობის განყოფილება აწარმოებს მუშაობას საფეიქრო საქმის გამოსაკვლევად. ამავე დროს სწარმოებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საფეიქრო შინამრეწველობის მოწყობის ორგანიზაცია, შინამრეწველობის დარგი ყველგან გავრცელებულია და ამ ჟამად იგი საჭიროებს გაუმჯობესებას და რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას.

განყოფილების მიერ შინამრეწველთა არტელები უკვე მოწყობილია აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ პუნქტებში: მცხეთასა, ქარელსა და გორში, სადაც შალების და მაუდის ყოველთვიური დამუშავება — 8 ათას მეტრს აღემატება.

დასავლეთ საქართველოში ყოველთვიურად შინაური წესით მზადდება 4 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

ფინანსთა სახ. კ-მის მიერ საქ. შინამრეწველობისთვის სასოფლო - სამეურნეო ბანკში გახსნილია 35 ათასი მანეთის კრედიტი.

შინამრეწველობის გასანვითარებლად მიწათ-მოქ. სახ. კ-მის მიერ შეძენილია აუცილებელი ინვენტარი და იარაღები, შესყიდულია 1.000 ფუთი მატყლი, აბრეშუმის ძაფი და შეკვეთილია ლენინაკანში ყოველთვიურად ას-ასი ფუთი ნართი.

გარდა ამ მუშაობისა, განყოფილების მიერ შეკეთებულია კერამიკული სახელოსნო მცხეთაში და განზრახულია ამ მოკლე ხანში მოწყობილ იქნეს შემდეგი არტელები: კერამიკული თიხების და წნულ კალათების საწარმოო არტელები.

ბიურო ნივთიერ დახმარებას უწევს აგრეთვე ქალაქის შინამრეწველობასაც.

ტყიბულის ქვა-ნახშირი

ხუთწლიანი პრესპექტიული გეგმის მიხედვით, მიმდინარე საოპერაციო წელში ქვა-ნახშირის ამოღება ტყიბულის მაღაროებში გადიდებული იქნება 6.000 000 ფუთამდე. მომავალ საოპერაციო წელში განზრახულია ამოღებული იქნეს 6.800.000 ფუთი, შემდეგ წლებში კი 7.500.000 ფუთი.

ქვა-ნახშირის ამოღების გადიდება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ უკანასკნელ ხანებში მოთხოვნილება ტყიბულის ქვა-ნახშირზე საგრძნობლად გაიზარდა როგორც ადგილობრივ, ისე საკავშირო ბაზარზე. მოთხოვნილების გადიდება კი აიხსნება ტყიბულის ქვა-ნახშირის ზოგიერთი ქიმიური თავისებურებებით.

ამ ნახშირში ბევრია ისეთი ნივთიერებანი, რომლებსაც ჩქარა ეკიდება ცეცხლი, ამას კი დიდი მნიშვნელობა ცემენტის მრეწველობისათვის, რომელიც მრავლათ ხმარობს ტყიბულის ქვა-ნახშირს.

მიმდინარე წელში ტყიბულის ქვა-ნახშირის მთავარი მომხმარებელი იქნება ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო, რომელსაც დაკვეთილი აქვს 2.250.000 ფუთი ნახშირი; ამას გარდა ტყიბულის ქვა-ნახშირი დაკვეთილი აქვთ ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველოს — 185.000 ფუთი, თბილისის ტრამვაის —500.000 ფუთი, ნოვოროსისკის ცემენტის ქარხნებს—1.600.000 ფუთი, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სამმართველოს—120.000 ფუთი, თბილისის აგურის ქარხნებს—300.000 ფუთი, ქუთაისის კირის ქარხანას—200 ათასი ფუთი და ქუთაისის მაუდის ფაბრიკას—90.000 ფუთი.

გარდა აღნიშნული ორგანიზაციებისა, ტყიბულის ქვა-ნახშირს ხმარობენ რუსეთის ფაბრიკა - ქარხნებიც; ასე, მაგალითად, მიმდინარე წელში ვოლგის ცემენტის ქარხნების საჭიროებისათვის გაიგზავნება 1.000.000 ფ. ქვა-ნახშირი. ამას გარდა საზოგადოება „რუსსოტიურკ"-ს განზრახული აქვს შეიძინოს გემების ქვაბების გასახურებლად 125.000 ფუთი ნახშირი.

სათბობი მასალის მარაგი

საქართველოს სამრეწველო დაწესებულებანი მუშაობენ საბჭოთა კავშირიდგან, — უმთავრესად აზერბეიჯანიდან შემოტანილი სათბობი მასალით და აგრეთვე ტყვიბულის ქვანახშირით.

საქართველოს სამრეწველოები ამ ჟამად არ განიცდიან სათბობი მასალის ნაკლებობას, და მოსალოდნელი არ არის სათბობი მასალის კრიზისი, თუ შეკვეცილი არ იქნა სათბობი მარაგის შემოტანის გეგმა.

1925—26 წლის მტკიცე გეგმით საქართველოში შემოტანილ უნდა იქნეს 25.220 ტონა სათბობი. აქედან მაზუთი შეადგენს 16.500 ტონას.

გარდა ამისა ამ ჟამად წარმოებებს საკმაოთ აქვთ ნარჩენი—სათბობი მასალა. ახალი მარაგის მიწოდებაც შეუფერხებლად სწარმოებს, ასე რომ წარმოებათა ნორმალური მუშაობა არ დაირღვევა.

თუ მომავლისათვის მოწყობილი იქნება ახალი წარმოებები, ისინი აუცილებლად უნდა დაეყრდნონ ადგილობრივ სათბობ მასალას—ქვანახშირს.

ვინაიდან საერთო მასშტაბით სათბობი მასალის დეფიციტს აქვს ადგილი, მორიგ ამოცანად სდგას საქართველოში წარმოებათა ქვანახშირის ხმარებაზე გადასვლა. პირველ რიგში ქვანახშირზე გადაყვანილ უნდა იქნეს ცემენტის ქარხნები.

ის წარმოებები, რომლებიც ახლო მომავალში უნდა მოეწყონ საქართველოში, უნდა შეუფარდდენ ტყვიბულის ქვანახშირის ხმარებას.

სწორედ ქვანახშირის ხმარებაზე გადასვლა აუცილებლივ ხდის ქვანახშირის მოპოვების გაფართოებას. ამ მიზნით მიღებულია ზომები, რომ ამ უახლოეს ორ წელში მოპოვება გადიდებულ იქნეს 20 პროცენტით.

მზადება ლიონის ბაზრობისათვის

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო ემზადება ლიონის საერთაშორისო ბაზრობისათვის, რომელიც გაზაფხულზე გაიხსნება. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო ამ ბაზრობაზე გამოაფენს შემდეგ საექსპორტო საქონლის ნიმუშებს:

პირველ ყოვლისა გაგზავნილ იქნება ნიგვზის ხე, ბზა, და აგრეთვე ნიგვზის ფანერი. ამ საქონლის ექსპორტი ფართო მასშტაბით მხოლოდ წელს დაიწყო. ნიგვზის ხე და ბზა იგზავნება გერმანიასა, საფრანგეთსა და ამერიკაში. გარდა ამისა ლიონის ბაზრობაზე გაიგზავნება ხალიჩები, უმთავრესად ყუბის, ყარაბაღის და ყაზახის. ამიერ-კავკასიის ხალიჩები ამჟამად იგზავნება ევროპის ქვეყნებში.

გარდა ამისა, ლიონის ბაზრობაზე გამოფენილი იქნება ამიერ-კავკასიის აბრეშუმის პროდუქტები, ხიზილალა, თევზის წებო, ჯაგარი და მისი ნახევარ-ფაბრიკატები, აგრეთვე ბეწვეული (უმთავრესად კვერნის და მელიის) თხილი, სამკურნალო ბალახები.

ლიონის ბაზრობის დამთავრების შემდეგ, ამიერ-კავკასიის საქონლის ნიმუშები გადატანილი იქნება მილანის საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც იმავე გაზაფხულზე გაიხსნება.

ავტომობილების შემოტანა

აპრილში „ზაკავტომპრომტორგი" მიიღებს ზაურის მარკის 22 საბარგო 3 ტონიან ავტომობილს. ეს ავტომობილები განაწილებული იქნება რესპუბლიკებს შორის.

ამჟამად სწარმოებს მზადება საზღვარგარეთიდან 42 ავტობუსის მისაღებად.

გარდა ამისა აპრილშივე მიღებული იქნება 4 22 ადგილიანი ომნიბუსი. საკითხი მათი ექსპლოატაციის ადგილის შესახებ ჯერ არ არის გამორკვეული. განზრახულია თბილისის აღმასკომთან შეთანხმება ამ ავტომობილების თბილისში გამოყენების შესახებ.

განზრახულია „ზაკავტოპრომტორგ"-ის პარკების რიცხვის გადიდება და აგრეთვე ახალ საავტომობილო ხაზების გახსნა.

1926 წ. იმპორტის გეგმაში სხვათა შორის შეტანილია ტაქსომოტორები, რომლებიც პირველად იქნება გამოყენებული ამიერ-კავკასიაში.

სააქციო ს-ბა „საქართველოს ჩაი"

ამ დღეებში სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს მიერ მოწვეული იყო თათბირი, რომელსაც დაესწრენ სამეცნიერო მუშაკები და ჩაის საქმის პრაქტიკოსები.

თათბირმა აუცილებლად სცნო დაუყონებლივ მოხდენილი იქნეს ჩაის რაიონების, თესლის მარაგის, ჩაის ფურცლის გადამუშავების საქმის და ჩაის ფაბრიკების მდგომარეობის გამოკვლევა. თათბირზე აღძრული იყო აგრეთვე საკითხები საცდელი საქმის ლაბორატორიის მოწყობის შესახებ; ეს საკითხები დაწვრილებით [illegible] იქნება განსაკუთრებულ სხდომაზე სპეციალისტების მონაწილეობით.

თათბირზე გამოირკვა, რომ ჩაის მამულებში მუშების ბინები ცუდ მდგომარეობაშია; ამის გამო საზოგადოების გამგეობამ ამხ. ავალიშვილთან ერთად ჩაის მამულებში გაგზავნა ხუროთმოძღვარი, რომელმაც უნდა შეადგინოს არსებული შენობების შეკეთების და ახალი ბინების აგების გეგმა.

ამ ჟამად ინჟ. გეგეჭკორი ადგენს მდ. ჩაქვზე დანგრეული ჯებირის აღდგენის პროექტს; ამ ჯებირს გამოიყენებს აგრეთვე ადგილობრივი ჰიდრო - ელექტრო სადგური.

ახლო მომავალში გამგეობა შეუდგება ხიდის აგებას მდ. ჩაქვზე; ამ ჟამად ხიდის უქონლობის გამო პლანტაციების მოვლა და ჩაის ფურცლის გადაზიდვა შეფერხებულია.

საზოგადოების გამგეობამ მიწატყის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად შეიმუშავა კოლექტიური ხელშეკრულება მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელიც საბოლოოთ ჩამოყალიბებული იქნება ამ დღეებში; გარდა შრომის ხელფასის საკითხებისა, კოლექტიური ხელშეკრულება უზრუნველყოფს საბინაო პირობების გაუმჯობესებას, სპეც-ტანისამოსის მიცემას და სხვა. ამავე დროს მოგვარებულია მუშების და მოსამსახურეების დაზღვევის საკითხი, უფრო ფართოდ, ვიდრე ეს აქამდი იყო.

საფეიქრო მრეწველობა

საზ. „აბრეშუმი"-ს სახვევი ქარხანა სამტრედიაში

საზ. „აბრეშუმი"-ს სახვევი ფაბრიკა სამტრედიაში ამუშავებულ იქნა 1925 წლის აგვისტოში. გასული სექტემბრიდან მიმდინარე წლის თებერვლამდე დაამუშავა 1.100 ფუთი ხმელი პარკი და დაამზადა 182 ფუთი აბრეშუმის [illegible]. აქედან მოსკოვში გადაგზავნილი იქნა 160 ფუთი, ხოლო 20 ფუთი ინახება ადგილობრივ ფაბრიკის საწყობში.

ფაბრიკა მოწყობილია ძველი იტალიანური სისტემის დაზგებით, რომელიც 1900 წელში არის გამოშვებული.

აბრეშუმის პარკის მოსახარშად ფაბრიკას აქვს 26 აპარატი, სადაც პარკის გამოხარშვა სწარმოებს მექანიკურად ორთქლის საშუალებით. აპარატები დალაგებული არიან ორ რიგად, ამავე წესით ჩამწკრივებულ დაზგების პარალელურად დაახლოებით ერთი არშინის დაშორებით.

იმ გარემოების გამო, რომ ორთქლით მუშაობა სწარმოებს მთელი რვა საათის განმავლობაში, შენობაში დიდი სისველეა, ფანჯრები გაორთქლილია და იატაკი დასველებული, შენობას არ გააჩნია ვენტილიაცია, ფანჯრების გაღებაც სახიფათოა, ამიტომ სუნთქვაც სჭირს. ამ ნიადაგზე ხელოსან ქალებს შორის ხშირია დაავადმყოფება. ხელფასიც მეტად მცირეა: ხელოსანი ქალი იღებს თვიურად 30 მანეთს, ამომრთველი 14 მან. 40 კაპეიკს.

ფაბრიკას მაინც ზარალი აქვს, რადგან ძველი დაზგების მუშაობა ნაკლებ ნაყოფიერია—სულ დღიურად ამზადებს ნახევარ ფუთ თესლს.

წელს მასალით ქარხანა უზრუნველყოფილია ახალის მოსვლამდე.

საზ. „აბრეშუმ"-ს განზრახვა აქვს გადააკეთოს ფაბრიკა. უკვე მიღებულია ზომები ახალი დაზგების შესაძენად.

საბჭოთა აღმშენებლობა

აფხაზეთში

ახალი შენობების აგება

ამ დღეებში გაგრაში დამთავრდა ორი დიდი კომუნალური სახლის აგება; სახლებში მოთავსებული იქნება სხვადასხვა დაწესებულებები.

გალში დამთავრდა ბამბის საწმენდი ქარხნის მოწყობა; გუდაუთში შენდება არაყის სახდელი ქარხანა და სწარმოებს ქალაქის სახლების შეკეთება; ახლო ხანში გალში დამთავრდება საავადმყოფოს და სამაზრო აღმასკომის სახლის აგება.

გასული წლის განმავლობაში აფხაზეთის სოფლებში განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილ გეგმის თანახმად აგებული იქნება 10 ახალი შენობა; ამას გარდა, ეხლა სწარმოებს კიდევ 10 სკოლის შენობის შეკეთება. განათლების სახალხო კომისარიატში აურაცხელი განცხადებები მიდის სოფლის საბჭოებიდან ახალი სკოლების აგების შესახებ.

ახალი ქარხნები დზიბის რაიონში

აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილი აქვს დზიბის რაიონიდან შექმნას ერთი დიდი სამრეწველო კომბინატი, რომელშიაც შევა ქაღალდის ფაბრიკა, ნავების წარმოება და ხის მშრალათ საგრეხი ქარხნები.

გადაწყვეტილია აგრეთვე დზიბში გაგრიდან გადატანილი იქნეს ბალაშოვის ყოფ. ხე-ტყის სახერხი ქარხანა და სოხუმიდან—გრეხილი ავეჯი- [illegible]

აფხაზეთის ს. მ. უ. ს. რუსეთის ტყავის სინდიკატისაგან მიიღო განცხადება, რომელშიაც სინდიკატი აღნიშნავს, რომ მას აფხაზეთის ს. მ. უ. საბჭოსთან ერთად განზრახული აქვს დზიბის რაიონში მოაწყოს ფეხსაცმელების კალაპოტის დამამზადებელი ქარხანა; ქარხანა თამამად დააკმაყოფილებს საკავშირო ბაზრის მოთხოვნილებას.

სოხუმის ელექტროფიკაცია

სოხუმში ამჟამად ერთი ჰიდრო-ელექტრო-სადგურია, რომელიც მოწყობილია მდ. ბესლეტკაზე. უკანასკნელ ხანებში წყალის დონემ მდ. ბესლეტკაში იკლო, ამას გარდა გაცვდა და დაძველდა ჰიდრო-ელექტრო სადგურის მანქანები, რამაც კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა ქალაქის განათების საქმე. სადგურმა დროებით შესწყვიტა ახალი აბონენტების მიღება.

აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის ელექტრო-საგეგმო კომისიის წინაშე, რათა სოხუმის ჰიდრო-ელექტრო სადგურის მანქანების გამოსაცვლელად გადადებული იქნეს 75.000 მანეთი.

ელექტრო-საგეგმო კომისიამ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა; ამასთანავე მან დაავალა ელექტროფიკაციის განყოფილებას წარადგინოს საგეგმო კომისიაში მოხსენება აფხაზეთის ელექტროფიკაციის შესახებ

ა.-კ. უმაღლეს ეკ. საბჭოში

მუშათა გამოგონებების შესახებ.

ა.-კ. მუშ. და გლეხთა ინსპექციის მიერ შემოტანილი ცირკულიარის პროექტი მუშათა გამოგონებების შესახებ მიიღო უმ. ეკ. საბჭომ და გადასცა ა.-კ. შრ. სახ. კომისარიატს გამოსაქვეყნებლად, საკავშირო ს. მ. უ. ს. სამმართველოსა და ა.-კ. პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

ტრაქტორების განაწილება.

ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატს წინადადება მიეცა მისდოს „ზაკსელმაშ"-ს შეასრულოს ხელშეკრულება, დადებული რ. ს. ფ. ს. რ. სახელმ. ვაჭრობის კომისარიატთან ტრაქტორების განაწილების შესახებ.

ამასთანავე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი საიმპორტო სას.-სამ. მანქანების მთელი რაოდენობა გადაეცეს „ზაკსელმაშს". ამის გამო წინადადება მიეცა ა.-კ. საგ. ვაჭ. კომისარიატს შეუთანხმდეს „ზაკსელმაშს".

მტვირთავთა გაერთიანება.

მიზანშეწონილად იქნა ცნობილი მოხდეს აზერბეიჯანის რკინის გზის მტვირთავთა და ა.-კ. რკინის გზის მტვირთავთა (ზაკპროგრუზის) გაერთიანება ერთ სააქციონერო საზოგადოებაში.

კოოპერაცია

წარმოკავშირში

მოანგარიშეთა მოსამზადებელი კურსები

მიმდინარე წლის 23 თებერვალს წარმოკავშირი ქალ. ახალქალაქში (ჯავახეთი) ხსნის განმეორებით კურსებს კარაქის და თუშური ყველის დამამზადებელ ტექნიკოსებისათვის და კურსებს მერძეობის არტელების მოანგარიშეების მოსამზადებლად.

კურსები მოწყობილი იქნება არტელებში მომუშავე ტექნიკოსებისა და მოანგარიშეებისათვის; იმ შემთხვევაში, თუ არტელებში მოანგარიშეები არ არიან, მაშინ კურსებზე მიღებული იქნებიან არტელების წევრები, რომლებსაც დაევალება კურსების გათავების შემდეგ ანგარიშწარმოება. მეცადინეობა იწარმოებს სამი კვირის განმავლობაში.

ბინის და სახელმძღვანელოების მიცემას კურსანტებისათვის კისრულობს წარმოკავშირი, კურსანტების შენახვა და მათი საგზაო ხარჯები უნდა იკისრონ სათანადო არტელებმა.

მოსამზადებელი ტექნიკოსები გააუმჯობესებენ არტელების პროდუქციის ღირსებას და ამით გაადიდებენ მათ ღირებულებას და მოთხოვნილებას ამ პროდუქტებზე.

თამბაქოს თესლის მიღება

წარმოკავშირმა ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საშუალებით საზღვარგარეთიდან მიიღო 20 ფუთი „სამსუნის" და „ტრაპიზონის" წმინდა თამბაქოს თესლი, რომელიც დაურიგდება სამეგრელოს მეთამბაქოებს.

წარმოკავშირის მიერ მოხდენილ გამოკვლევის მიხედვით, თამბაქოს კულტურა სამეგრელოში დიდ იმედებს იძლევა. სათანადო ღონისძიებების გატარების, თამბაქოს კულტურის გაუმჯობესების და წმინდა თესლის შემოღების შემდეგ სამეგრელოს თამბაქო ღირსების მხრივ გაუსწორდება აფხაზეთის საუკეთესო თამბაქოს.

კოოპერატიული კურსები.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი, წარმოკავშირთან ერთად ა.-კ. სას.-სამ. ბანკის დახმარებით 1-ლ მარტს ხსნის სამკვირიან კურსებს ქვედა საფეხურის საკრედიტო ქსელის მოანგარიშეების გადასამზადებლათ.

კურსები გახსნილი იქნება თბილისში და ქუთაისში. თბილისის კურსებზე იქნება ორი ჯგუფი—ქართული და რუსული.

ნაწლავების დამზადება

წარმოკავშირის მიერ მოწყობილ ნაწლავების ქარხანაში გრძელდება მსხვილფეხა საქონლის, ცხვრების და ღორების ნაწლავების დამზადება. ქარხანა დღე და ღამის განმავლობაში ამზადებს 50 მსხვილფეხა საქონლის, 50 ცხვარის და 25 ღორის ნაწლავს.

ოზურგეთის რაიონის მთლიანი კოოპერატივი

ამ რამოდენიმე ხნის წინად მოხდა ოზურგეთის რაიონის მთლიანი კოოპერატივის გამგეობის არჩევნები. როდესაც ახალმა გამგეობამ ჩაიბარა კოოპერატივი, ის ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. კოოპერატივი და მისი განყოფილებები გაქურდული იყო. გატაცებული იყო დაახლოებით 5.000 მანეთი.

ამის გამო გასულ წელში კოოპერატივის მუშაობა შეფერხდა, ფინანსიურმა სივიწროვემ ხელი შეუშალა მის ნორმალურ საქმიანობას. საქონლის მიწოდება გლეხობაზე ვერ იყო დამაკმაყოფილებელი.

ასეთ პირობებში შეუდგა მუშაობას ახალი გამგეობა. მოკლე ხნის განმავლობაში გამგეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

გამგეობამ გახსნა ახალი განყოფილებანი: საზითუმო სავაჭრო ფქვილით და გასტრონომიული განყოფილება, გარდა ამისა მოეწყო თემებში მანუფაქტურის მოძრავი სავაჭროები.

კოოპერატიულ სავაჭროებიდან პირველ მოთხოვნილების საქონელი ეძლევა ყველა მოქალაქეებს, გამონაკლისს შეადგენს, მხოლოდ ისეთი საქონელი, რომელიც ნაკლებათ იშოვება ბაზარზე. ასეთი საქონელი მხოლოდ წევრებზე იყიდება. უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატიულ სავაჭროებში საკმაოთ არის როგორც პირველი მოთხოვნილების საქონელი, ისე სხვა.

კოოპერატივის წევრთა რიცხვი თანდათანობით იზრდება.

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჩაეწერა 600 წევრი. წევრებს 5 პროც. შეღავათით ეთმობა საქონელი.

ადგილობრივი ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევს კოოპერატივის მუშაობას.

ივა.

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანა ამიერ-კავკასიაში

ამიერ - კავკასიაში დაარსდა ახალი დაწესებულება — „ზაკსელმაში", რომლის მიზანია სასოფლო - სამეურნეო იარაღების, ინვენტარის, მიწის გასანოყიერებელი მასალების და მავნებლებთან ბრძოლის საშუალებების მიწოდება სოფლის მეურნეობისა და სასოფლო - სამეურნეო მრეწველობისათვის.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს საზ—ბის დირექტორის მოადგილემ ი. ნ. [illegible] განაცხადა, რომ საკითხი ამიერ - კავკასიისათვის სასოფლო - სამეურნეო იარაღების და ინვენტარის მიწოდების შესახებ დიდი ხანია იდგა დღის წესრიგში, მაგრამ განსაკუთრებით მწვავეთ წამოიჭრა ის შარშან, როდესაც ნათლად გამოირკვა, რომ სასოფლო - სამეურნეო იარაღების და მანქანების შემოტანაში არ იყო ერთიანი სისტემა და გეგმა.

ამ საკითხის მოგვარების ინიციატივა იკისრა ამიერ - კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკმა, რომელიც უშუალოდ დაინტერესებულია ამ საქმეში.

„ზაკსელმაშის" დამაარსებელნი არიან: ამიერ - კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკები და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო და ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტი.

საზოგადოების ძირითადი კაპიტალი უდრის 500.000 მანეთს, რომელიც დაყოფილია 5.000 აქციათ თვითეული 100 მანეთად ღირებული; ამ თანხიდან ჯერჯერობით განაღდებულია 250.000 მანეთი.

საზ—ბის გახსნის პირველი დღეებიდანვე საზ—ბას ამიერ - კავკასიის ყველა კუთხეებიდან მოდიოდა აუარებელი შეკითხვები და შეკვეთები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მო[illegible], როგორც პირველი საფეხურის გლეხთა ორგანიზაციების, ისე სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიული გაერთიანების მხრიდან. ამ შეკვეთების დასაკმაყოფილებლად და მიწათ - მოქმედების სახალხო კომისარიატების გეგმებთან შესათანხმებლად, „ზაკსელმაშთან" გაიხსნა საკონსულტაციო ბიურო, რომელშიაც შედიან ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების მიწათ-მოქმედების სახკომატების წარმომადგენლები და კვალიფიციური სპეციალისტები — აგრონომები.

„ზაკსელმაშს" განზრახული აქვს შეიძინოს ამიერ - კავკასიის საჭიროებისათვის 250 ტრაქტორი „ფორძონის" სისტემისა.

ამას გარდა, „ზაკსელმაში" ახლო ხანში მიიღებს ერთ მილიონ მანეთის სასოფლო - სამეურნეო იარაღებს და მანქანებს, რომლებსაც განაწილებს სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის.

ნათესების მდგომარეობა

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით მიმდინარე წლის პირველ თებერვლისათვის საზამთრო ნათესების, უმთავრესად, ხორბალის მდგომარეობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ათ მაზრაში და ოსეთში განისაზღვრება საშუალო ნიშნით—4,0.

კარგი ზამთარი ხელს უწყობს საზამთრო ნათესების მდგომარეობას.

კერძოთ, მაზრებში საზამთრო ნათესების, უმთავრესად, ხორბალის მდგომარეობა განისაზღვრება შემდეგი ნიშნებით. ახალციხის—3,6; ბორჩალოს —5,0; გორის —4,0; დუშეთის —3,0; სიღნაღის—4,0; თბილისის—4,0. საზამთრო ნათესების საშუალო ნიშანი აღმოსავლეთ საქართველოსთვის იქნება 4,1; სამხრეთ-ოსეთისათვის 2,0.

დასავლეთ საქართველოში ნათესების მდგომარეობა შემდეგია: ზუგდიდის მაზრა—3,0; ლეჩხუმის—2,2; ქუთაისის—3,0; შორაპნის—4,0: საზამთრო ნათესების საშუალო ნიშანი დასავლეთ საქართველოში ამა წლის პირველ თებერვლისათვის არის 2,8.

მერძეობა

მერძეობის განვითარება საქართველოში იწყება 1864 წლიდან, როდესაც წალკაში დაარსებული იქნა პირველი ქარხანა შვეიცარული ყველის დასამზადებლად. პირველ ქარხანას მოყვა სამი ქარხანა, რომლებიც გახსნილი იქნა ბორჩალოს მაზრაში. ყველა ეს ქარხნები გახსნილი იყო გერმანელების მიერ და იქ მუშაობდენ გერმანიიდან მოწვეული სპეციალისტები.

საქართველოს გასაბჭოებამდე რძის მეურნეობას არ ჰქონია ფართო ხასიათი, რადგან კერძო მრეწველები კარჩაკეტილათ აწარმოებდენ ყველის დამზადებას და არ სცდილობდენ ყველის დამზადების ტეხნიკა გაევრცელებიან ადგილობრივ მოსახლეობაში.

გასაბჭოების შემდეგ რძის მეურნეობაში იწყება ახალი პერიოდი; ამ დროიდან რძის მეურნეობას ეძლევა სამრეწველო - საარტელო ხასიათი.

გასაბჭოების პირველ წლებში ყველის წარმოება ქანაობდა შემდეგ ციფრებში: 1921 წელს დამზადებული იქნა 3.500 ფუთი, 1922 წელს—4220 და 1923 წელს — 3650 ფუთი.

1924 წლიდან, როდესაც წარმოკავშირმა რძის მეურნეობას სერიოზული ყურადღება მიაქცია, ყველის წარმოება ჩქარის ნაბიჯით იზრდება, რასაც შემდეგი ციფრ. ადასტურებენ: 1924 წელს დამზადებული იქნა 9.352 ფუთი, 1925 წელში კი — 11.470 ფუთი.

სწორეთ ამგვარადვე იზრდება ჩვენში თუშური ყველის წარმოება, უმთავრესად საარტელო ქარხნებში.

რაც შეეხება რძის სხვა ნაწარმოებს —კარაქს და ყველს, მათი დამზადება საქართველოში არასოდეს არ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს. რუსეთის და ციმბირის რაიონების შემდეგ საქართველოსთვის არ იყო ხელსაყრელი ამ პროდუქტების დამზადება. კარაქის და ერბოს დამზადება ჩვენში შეიძლება განვითარდეს მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც ბუნებრივ - ისტორიულ და სხვა პირობების გამო შეუძლებელია ყველის წარმოება.

ყველის დამზადების გარდა ჩვენში ფართოთ განვითარებულია რძის დამზადება, რომელსაც აწარმოებენ სხვადასხვა არტელები და თბილისის მუშათა კოოპერატივი; ეს არტელები რძეს აწვდიან როგორც თბილისს, ისე აგარაკებს. ასე, მაგალითად, 1925 წელს წარმოკავშირის მიერ სოფ. ციხის-ჯვარში დაარსებული იქნა არტელი, რომელიც საკმაოდ აწვდიდა რძეს აგარაკ წაღვერს და ცემს.

ჩვენი რძის პროდუქცია, ადგილობრივი ბალახების კარგი შემადგენლობის გამო, მაღალი ღირსებისაა. ეს დაამტკიცეს სხვადასხვა გამოფენებმა, რომლებიც რუსეთში იმართებოდა.

ამ ჟამად წარმოკავშირი იღებს მთელ რიგ ღონისძიებებს ჩვენი რძის პროდუქციის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, რაც ხელს შეუწყობს მის ფართოდ გასაღებას უცხოეთის ბაზარზე.

საბჭოთა არჩევნები

სად როგორ მიმდინარეობს არჩევნები

(ცნობები ერთი კვირის განმავლობაში)

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 13 თებერვლამდე მიღებული ცნობებით არჩევნები დაიწყო თელავის, დუშეთის, გორის, სიღნაღის და ქუთაისის მაზრებში. ცნობები არჩევნების შესახებ მოდის მხოლოდ თელავის და დუშეთის მაზრებიდან.

თელავის მაზრაში არჩევნები უკვე მოხდა წინანდლის, შაშიანის, შრომის, აკურის და ახმეტის თემებში. არჩევნების შედეგი ასეთია: საშუალოდ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 61 პროც., ყველა თემებში არჩეული იქნა სულ 249 წევრი, მათ შორის 214 მამაკაცი, (85,9 პროც.); 35 ქალი (14,1 პროც.); 20 კომპარტიის წევრი (8,1 პროც.) 19 პარტიის კანდიდატი (7,6 პროც.); 25 კომკავშირელი (10,0 პროც.); 185 უპარტიო (74,3 პროც.);

დუშეთის მაზრაში არჩევნები ჩატარდა: ყაზბეგის, ანანურის, ნატახტარის (მისაქციელი) და ყინვალის თემებში. არჩევნების შედეგი: საშუალოდ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 50 პროც.; საბჭოებში არჩეული იქნა სულ 139 წევრი. მათ შორის—132 მამაკაცი (95,0 პროც.); 7 ქალი (5,0 პროც.); 13 კომუნისტი (9,3 პროც.); 13 პარტიის კანდიდატი (9,3 პროც.); 19 კომკავშირელი 13,7 პროც.); 94 უპარტიო (67,6 პროც.);

ქუთაისის მაზრაში სამაზრო საარჩევნო კომისიის შუამდგომლობის თანახმად არჩევნების ვადა გაგრძელებული იქნა მარტის დამლევამდე.

სენაკის სამაზრო საარჩევნო კომისიამ აღძრა შუამდგომლობა, რათა შემცირებული იქნას სანახევროთ საარჩევნო უფლებამოკლებულთა სიის გამოქვეყნების ვადა. (არჩევნების დაწყებამდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ინსტრუქციის მიხედვით, არჩევნების უფლებას მოკლებულთა სია უნდა ქვეყნდებოდეს 20 დღით ადრე). ცენტრ. საარჩ. კომისიამ ნება დართო მხოლოდ ვადის რამდენიმე დღით შემოკლების.

სამხრეთ ოსეთში არჩევნები დაიწყო 15 თებერვალს.

რაჭის სამაზრო საარჩევნო კომისიის შუამდგომლობა არჩევნების 1-ლ მარტისათვის დაწყების შესახებ უარყოფილი იქნა და წინადადება მიეცა რაჭის სამაზრო საარჩევნო კომისიას არჩევნები დაიწყოს ცენტრ. საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრულ დროს.

ცენტრ. საარჩევნო კომისიის მდივანი
ქაჩრულორია.

თბილისის მაზრა

საარჩევნო კამპანია თბილისის მაზრაში მიმდინარეობს ძლიერ ცოცხლათ. ზოგიერთ თემებში არჩევნები უკვე დასრულდა.

ერწოს თემში დამთავრდა სასოფლო და სათემო საბჭოს არჩევნები. 7 თებერვალს მოხდა თემაღმასკომის არჩევა.

დიღომის თემში არჩევნები სწარმოებდა 9 ადგილას. აირჩიეს ორი სასოფლო საბჭო: დიღომის და ლისის. სულ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის 80 პროცენტი. არჩევნებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდინ ქალებიც. 14 თებერვალს მოწვეული იყო სათემო საბჭოს სხდომა, რომელზედაც აირჩიეს სათემო აღმასკომი.

ქუთაისის მაზრა

— **მუხიანის თემი.** არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 77 პროცენტმა, სულ აირჩიეს 19 დეპუტატი. მათ შორის 3 ქალია და 1 კ. პ. კანდიდატი.

— **ცხუნკურის თემი.** არჩევნები დასრულდა. სათემო საბჭოში არჩეული იქნა 67 წევრი. მათ შორის 50 უპარტიოა და 6 ქალი.

— **მაღლაკის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 57 წევრი. მათ შორის 7 ქალი და 7 პარტიული. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 55 პროც.

— **ქვედა სიმონეთი.** საბჭოში აირჩიეს 60 წევრი, მათ შორის 5 ქალია, 1 პარტიული, დანარჩენი უპარტიო.

თელავის მაზრა

— **ფშაველის თემი.** არჩევნები წარმატებით ჩატარდა. თემსაბჭოში არჩეული იქნა 30 წევრი. მათ შორის 3 კომ., 3 კ. პ. კანდიდატი, 6 კომკავშირელი, 18 უპარტიო, აქედან 6 ქალია.

— **ზემო ალვანის თემი.** საბჭოში არჩეული იქნა 36 წევრი, მათ შორის 36 მამაკაცი, 6 ქალი, აქედან 8 პარტიული, 1 კ. პ. კანდიდატი, 33 უპარტიო.

ლეჩხუმის მაზრა

საარჩევნო მზადება დამთავრდა 1 თებერვალს. მაზრა დაყოფილია 15 უბნად. მოზარდ თემ-სოფლებში ჩატარებული იქნა საგანგებო მოსამზადებელი კამპანია პარტიულებს, კომკავშირელებს, დელეგატ-ქალებს, მოჯამაგირეებს, ღარიბებსა და საშუალო გლეხობას შორის.

ახალსენაკის მაზრა

ახალსენაკის მაზრაში არჩევნები დაიწყება მოგვიანებით. დაახლოებით 1 მარტს, ვინაიდან წინასწარი საარჩევნო კამპანია ვერ იქნა თავის დროზე ჩატარებული სხვადასხვა მიზეზების გამო.

2 თებერვალს მოხდა თემაღმასკომების თავმჯდომარეთა და საარჩევნო კომისიის მდივნების სამაზრო თათბირი, სადაც გაკეთებული იქნა ვრცელი მოხსენება არჩევნების შესახებ და თათბირის წევრებს მიეცათ დავალებები და ინსტრუქციები არჩევნების ჩასატარებლად ადგილებზე. მაზრა დაყოფილია 15 საარჩევნო რაიონად.

ზუგდიდის მაზრა

ზუგდიდის მაზრაში საარჩევნო კამპანია უკვე დამთავრდა. მოწვეულ იქნა ყველა თემში ყრილობები, სადაც კეთდებოდა მოხსენებები თემისა და მაზრის აღმასკომის მუშაობის შესახებ. მოხსენებათა გარშემო იმართებოდა გაცხოველებული კამათი, რაშიაც განსაკუთრებულ აქტიობას იჩენდენ ღარიბი გლეხები. არჩევნების წარმატებით ჩატარებას აფერხებდა ის, რომ ჯერ კიდევ პარტიული ორგანიზაციები არ არიან სათემო სისტემაზე გადასულნი და თემაღმასკომებს და საარჩევნო კომისიებს კავშირის დაჭერა უხდებოდათ რაიონულ და სამაზრო პარტიულ ორგანიზაციებთან.

მაზრა დაყოფილია 176 საარჩევნო პუნქტად. არჩევნები დაიწყო (14 თებ.) და დასრულდება 7 მარტს. 15 თებერვალს მოწვეული იქნება სამაზრო ყრილობა.

ახალქალაქის მაზრა

არჩევნები ახალქალაქის მაზრაში დაიწყო 10 თებერვალს. არჩევნების დაწყებამდე მთელ მაზრაში წარმატებით ჩატარებული იქნა საარჩევნო კამპანია.

მაზრა დაყოფილია 134 საარჩევნო პუნქტად. ზოგიერთ მოზრდილ სოფლებში გამოყოფილია 2—3—4 საარჩევნო პუნქტები გლეხებისათვის არჩევნებში მონაწილეობის გასაადვილებლად. თვითონ ახალქალაქი დაყოფილია 7 საარჩევნო პუნქტად.

ფოთის რაიონი

საარჩევნო კამპანია დასრულდა როგორც თვით ფოთში, ისე მის ფარგლებში შემავალ თემებში.

თვით ფოთი დაყოფილია 18 პუნქტად. უკვე მოწვეული იქნა ამრჩეველთა ყრილობები.

[illegible] მოყოფილია თითო საარჩევნო უბანი, სადაც ფოთის მსგავსად მოწვეული იქნა ამრჩეველთა ყრილობები.

დუშეთის მაზრა

— **ოგრემის ხევის თემის** საბჭოში არჩეულ იქნა 23 წევრი, მათ შორის, 2 ქალი, 1 კომ., დანარჩენი უპარტიო.

ხალხი საბჭოთა მუშაობას [illegible]

(ფარცხანაყანევი, ქუთ. მ.

1662 კაცისგან არჩევნებზე გამოცხადდა 883. ამათგან მამაკაცები იყო 653, ხოლო დედაკაცები 230. საბჭოს წევრათ გაყვანილია 30 კაცი, მათ შორის 2 ქალია.

მეორე უბანში ამრჩეველთა რიცხვი უდრის 663 კაცს. აქედან კრებაზე გამოცხადდა 436. მათ შორის 305 მამაკაცი და 131 დედაკაცი. არჩეულია 13 საბჭოს წევრი და 4 კანდიდატი. დედაკაცი არცერთი.

მესამე უბანში ამრჩევლების რიცხვი უდრის 515 კაცს. ამათგან კრებაზე გამოცხადდა 356 კაცი. არჩეულ იქნა 10 საბჭოს წევრი. მათ შორის 2 ქალია.

არჩევნების შემდეგ შესდგა გაერთიანებულ ახლად არჩეულ საბჭოს ორგანიზაციული კრება. კრებაზე დაესწრო წევრების დიდი უმრავლესობა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: აღმასრულებელ კომიტეტის არჩევა, დელეგატების გაგზავნა სამაზრო ყრილობაზე და სექციების ჩამოყალიბება. აღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დ. ნუცუბიძე, უპარტიო გლეხი. სამ. ყრილობაზე დასასწრებლათ საბჭომ აირჩია 6 კაცი. ჩამოყალიბდა 8 სექცია: სასოფლო-სამეურნეო; კულტურულ - განმანათლებელი; საექიმო-სასანიტარო; საფინანსო-საგადასახადო; საგზაო; საალმშენებლო; საარხო და სარევიზიო კომისია. ამით არჩევნები დამთავრდა მუხიანის თემში.

კ. ნ.

საჭიროა საბუთები

(ქვალონის თემი, ზუგდ. მ.

ამ დღეებში ჩატარდა ქვალონის თემის ორი სასისთავოს კრება, სახელდობრ: გვიმარონხასი და ჭითაუშქურის. კრებაზე გამოცხადდა თემის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე პ. პაპავა, რომელმაც გაუკეთა ხალხს მოხსენება აღმასკომის მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. იყო მრავალი შეკითხვები. სხვათა შორის გლეხი თომა ალანია ეუბნება მომხსენებელს: „შენი მოხსენება არის სიტყვიერი და უსაფუძვლო: სად წავიდა მოტორის წისქვილი რომ გაყიდეთ, მისი ფული? სად წავიდა საწყობი რომ გაყიდეთ, მისი ფული? მოგვეცით საბუთიანი ანგარიში"-ო.

მომხსენებელი უპასუხებდა, მოვა მაზრიდან სარევიზიო კომისია, გაგვიკეთებს რევიზიას და ის მოგცემთ ალბად ცნობასო.

გლეხები ამბობდნენ: „მოვიწონებთ თქვენს მუშაობას მაშინ, როდესაც საბუთიან ანგარიშს მოგვცემთო".

მართლაც რომ ვსთქვათ, გლეხების ჩივილი სამართლიანი იყო, ვინაიდან უბრალო სიტყვებით საქმე არ კეთდება. საჭიროა, როდესაც თემსაბჭოს მუშაობის შესახებ მოახსენებენ, ასეთივე მოხსენებით გამოვიდეს სარევიზიო კომისიაც.

ნატაშვილი.

მუშაობას ვერ დაუწუნებთ

(სურამის თემი, გორ. მ.)

წარსული წლის მუშაობისათვის ჩვენს აღმასკომს ვერ დავემდურებით.

აღმასკომმა შესაძლებლობის ფარგლებში შესძლო დიდი მუშაობის ჩატარება კულტურულ-განმანათლებელ და აღმშენებლობითი დარგში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთელ მაზრაში ყველაზე ადრე სურამმა შეიტანა.

ბევრი რამეა გასაკეთებელი კიდევ. თუ ასე ენერგიულად ვიქნებით, როგორც წელს, და უსაქმობას არ მივეცემით, თანდათანობით ყველაფერი გაუმჯობესდება.

მაგრამ ერთი მთავარი საკითხი, რომელიც [illegible] გაუშვას, არის სურამის საზაფხულო თეატრის დამთავრება. ეს მხედველობაში უნდა ჰქონდეს აგრეთვე მომავალ სამაზრო აღმასკომის შემადგენლობას, ვინაიდან სურამის თეატრს სამაზრო მნიშვნელობა აქვს.

თემში ახალი არჩევნები უკვე მიმდინარეობს.

ი. გაგოშიძე.

სახალხო ჯანმრთელობისათვის

სამკურნალო აბანოების მდგომარეობა

(წერილი ქუთაისის მაზრიდან)

მაზრაში არსებობს რამოდენიმე ადგილას ცხელი სამკურნალო და მჟავე წყლები, რომელნიც ეს მესამე წელიწადია გარდა წყალტუბოს აბანოისა სამაზრო გლეხკომის ხელში იმყოფება. სამაზრო გლეხკომს, შემოსული ფულები, გარდა განსაზღვრული პროცენტისა, რომელსაც მაზრა წაიღებდა საორგანიზაციო ხარჯებისათვის, ადგილობრივად აბანოს მოწყობილობისათვის უნდა დაეხარჯა. სანამ ამხ. იოსებ ხარაბაძე ხელმძღვანელობდა სამაზრო გლეხკომს, ეს ასეც ხდებოდა, მაგრამ წასული წლის აგვისტოდან ხარაბაძე თბილისში გადაიყვანეს და იმ დღიდან აბანოების მდგომარეობა სულ შეიცვალა. შემოსული ფულები, გარდა უმნიშვნელო თანხისა, მაზრამ წაიღო. ადგილობრივად მაინც და მაინც არაფერი გაკეთებულა.

ამ 27 წლის წინეთ გაკეთებული **ზეკარის აბანო,** საუცხოვოდაა მოწყობილი. ამოყვანია რამოდენიმე ვანები, თითეულში შეუძლიათ ბანაობა ათამდე ადამიანს. ოთახები პარკეტის იატაკითაა. აშენებულია ათოთახიანი საუცხოვო სახლი ბინებისათვის. უკვე მახლობლათ არის სამი ხის დიდი შენობა თავისი ფურნით და სასადილოთი. 1924 წელს აბანოს შემოსავლით შეკეთებულ იქნა ეს შენობები და მომზადებული ხე-ტყის მასალა, ღირებული არა ნაკლებ 600—700 მანეთის, რომელიც აქვე აწყვია. 1925 წელს აბანოები იჯარით გაიცა 2340 მანეთად. ეს ფულები, გარდა უმნიშვნელო თანხისა, მაზრამ წაიღო. აბანო ისეთ მდგომარეობაშია, რომ მომავალი სეზონისათვის ძალიან დაზიანებული იქნება და შესაძლებელია საცხოვრებლადაც არ გამოდგეს.

დვალიშვილების აბანო პირდაპირ პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფება: უბრალო გამოქვაბულ კლდეში, სადაც არავითარი ჰიგიენის დაცვა არ შეიძლება,არ არის საკმაო საცხოვრებელი ბინები. 1924 წ. ხარაბაძის ხელმძღვანელობით გაკეთებულ იქნა აბანო. 1925 წ. აბანო გაიცა იჯარით 1.500 მან. ამ ფულიდან ხარაბაძის წინადადებით შეძენილ იქნა ერთი ოთხ თვალიანი ხის შენობა, ღირებული 870 მან. დანარჩენი თანხა მაზრამ წაიღო. აბანო კი, რომ ის იყოს სათანადოთ მოწყობილი, წელიწადში 5—6 ათას მანეთამდი შემოიტანს, რაც გლეხობას ფეხზე დააყენებს. საჭირო იქნება ტეხნიკის მოყვანა და გეგმის შედგენა, როგორც ვანების მოსაწყობად, ისე ბინებისათვისაც. მასალა ადგილობრივად იშოვება. აბანოს მდგომარეობა ისეთია, რომ ის უთუოდ საუკეთესო კურორტის სახელს მოიხვეჭს.

უხუთის თემში არსებული აბანო ისეთ მდგომარეობაშია, როგორც დვალიშვილების. აბანოს 1924 წ. შემოსული ფულით მაზრამ გააკეთა ქვის შენობა, რომელიც ნახევრად მოთავებულია. 1925 წელს აბანო იჯარით გაიცა 827 მ. კერძო პირებზე. ამ თანხიდან 450 მან. სამაზრო გლეხკომმა წაიღო, ადგილობრივმა გლეხკომმა და აღმასკომმა რა კი დაინახეს, რომ ფული მაზრას მიაქვს და არაფერს არ აკეთებს, თბილისში აფრინეს შეკითხვა, თუ აბანოს შემოსავალი ვის უნდა მოხმარდეს. ამაზე ამხ. ხომერიკისაგან მიიღეს განმარტება, რომ ადგილობრივ გლეხკომს უნდა ჩაბარდეს. ამით ისარგებლეს მოიჯარადრეებმა და არც მაზრის და არც თემის გლეხკომებს არაფერი არ მისცეს. უხუთის გლეხკომს აქვს რამოდენიმე ათასი აგური, იქვე გამზადებული დაწყებული შენობის დასამთავრებლად, მაგრამ ამნაირი კინკლაობის გამო საქმე გაუკეთებელი რჩება. როგორც დვალიშვილების, ისე უხუთის აბანოს ამღები პირები იგივე არიან, რომელთაც შეუძლიათ საჭირო თანხის გამოღება აბანოს კეთილმოწყობისათვის. თემს შემოსავალი გაუდიდდება და გლეხობას ფეხზე დააყენებს.

ხრესილშიაც არსებობს რამოდენიმე ადგილას გოგირდის წყლები, რომლებსაც ხელოვნურად ათბობენ. ყოფილ ქარქაშაძეების აბანოზე შემოსავლით 1924 წ. მაზრის გლეხკომმა გააკეთა ერთი შენობა, ექვსი ოთახისაგან, რომელიც კრამიტით ეხურა. 1925 წლის შემოსავალი კი, გარდა უმნიშვნელო თანხისა, მაზრამ წაიღო. ადგილობრივი აბანოს შენობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მომავალი სეზონისათვის საეჭვოა, რომ გამოდგეს. ყოფილ ქორქოლაძის აბანოს 1924 წ. შემოსავლიდან დაახარჯეს 450 მან. 1925 წ. კი არც მაზრაში შემოსულა სახეიროთ რამე და არც იქ გაკეთებულა. ასეთივე უნუგეშო მდგომარეობაშია ჭიშურის პირზე მდებარე აბანოც.

საირმეს მჟავე წყალი, როგორც ამბობენ, საქართველოში არსებულ სხვა მჟავე წყლებს არ ჩამოუვარდება, მაგრამ უგზოობა ძალიან უშლის ხელს. 1924 წელს მაზრას ჰყავდა თავისი კაცი ისიდორე ენდელაძე, რომელსაც შემოსავლიდან უნდა გაეკეთებინა გზა. ენდელაძემ მართლაც იმ ციცაბო კლდეში გაიყვანა 3—4 ვერსამდე მშვენიერი გზა. საჭირო იყო კიდევ ორი—სამი ვერსის გაკეთება, რომ გზა დამთავრებულიყო ბოსტანიის მიმართულებით, საიდანაც უფრო მოსახერხებელია და დასავლეთ საქართველოდან მეტი ხალხი ეტანება, მაგრამ აგვისტოს უკუღმართმა გამოსვლამ ხელი შეუშალა. 1925 წელს მაზრამ ეს წყალი მისცა ყოფილ მემამულეს, ალ. ერისთავს, რომელიც იმ წლის შემოსავლით ვალდებული იყო ენდელაძის დაწყებული გზა დაემთავრებინა, როგორც სჩანს პირობა ჯერ არ შეუსრულებია. მისთვის პასუხიც არავის მოუთხოვია. ადგილობრივად არ არის საცხოვრებელი ბინები, გარდა ერთი ხის შენობის, რომელიც 20—30 სულამდე თუ დაიტევს. იქვე არის უთვალავი ხე-ტყის მასალა, მაგრამ ჯერ არავინ არ გამოჩნდა, რომ საცხოვრებელი ბინები გააკეთოს.

ზაფხულობით კი ხანდახან 200—300 სულამდე ავადმყოფი იყრის აქ თავს, რომლებსაც გაშლილ ჰაერზე, ნაძვნარში უხდებათ ღამის გათევა. საერთოდ ამ მჟავე წყლით უმეტესად დასავლეთ საქართველოს ღარიბი მოსახლეობა სარგებლობს, ვინაიდან ახლოა და დიდ ხარჯს არ მოითხოვს. ამისათვის საჭიროა და აუცილებელიც საბჭოთა ხელისუფლება ყურადღებას მიაქცევდეს და სათანადო ზომებს მიიღებდეს მის მოსაწესრიგებლად.

ნოე დ. სანიკიძე.

სამკურნალო ბალახების დამზადება

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ამიერ-კავკასიაში ჯერჯერობით განვითარებული არ არის მედიკამენტების დამზადება (მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო მედიკამენტებით ვაჭრობის სახელმწიფო სამმართველომ ზოგიერთ წამლეულობის დამზადება); ამიტომ ყველა ის სამკურნალო ბალახები, რომლებიც მრავლათ იზრდება ამიერ-კავკასიაში და, კერძოთ საქართველოში, მიდის საზღვარ-გარეთ.

სამკურნალო ბალახებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამიერ-კავკასიის ექსპორტში. ასეთი ბალახები იზრდება თითქმის ყველგან. ისინი არ მოითხოვენ არავითარ მოვლა-პატრონობას, ამიტომ მათი დამზადება დიდ სარგებლობას აძლევს ადგილობრივ გლეხობას.

სამკურნალო ბალახების დამზადება და საზღვარ-გარეთ გატანა ამიერ-კავკასიაში დაიწყო ჯერ კიდევ ომამდე; მაშინ უმთავრესად მზადდებოდა (ვარდისფერი) გვირილა, ძაღლყურძენა და მსუქანი ბალახი (scopolia), რომელიც მრავლად იგზავნებოდა რუსეთში და, უმთავრესად, საზღვარ-გარეთ.

ამ ბალახების დამზადება სწარმოებს ეხლაც. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს, რომელიც აწარმოებს ამ ბალახების დამ- დააყენოს ჩვენში სამკურნალო ბალახების დამზადების საქმე, ამიტომ იგი ზედებას, განზრახული აქვს ფართოდ, ამჟამად წინასწარ მუშაობას აწარმოებს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მოსახერხებელია ჩვენში აღნიშნული ბალახების გარდა სხვა სამკურნალო ბალახების დამზადებაც.

მიმდინარე წელში განზრახულია სკოპილიის, კატაბალახას, ბელიანას, კომშის კურკის, შროშანას და სხვა ბალახების დამზადება.

გასული წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ დაამზადა და საზღვარგარეთ გაიტანა 600 ფუთი გვირილა, 200 ფუთი ძაღლყურძენა და 500 ფუთი ფიტოლიაკი (ფერაფერა).

მომავალში დამზადებულ სამკურნალო ბალახების ნაწილი დარჩება ადგილობრივ, რადგან ამიერ-კავკასიის ფარმაცევტიულ მრეწველობას უკვე ჩაეყარა საფუძველი და მისი განვითარება სწრაფი ნაბიჯებით წავა.

პარტიული ცხოვრება

დისციპლინის განმტკიცებისათვის

ჩვენი პარტია წევრთა შორის დისციპლინის განმტკიცებას უაღრეს მნიშვნელობას აძლევს. მხოლოდ მტკიცე დისციპლინის დაცვით შეიძლება პარტიის მთლიანობის დაცვა, შინაური სიმშვიდის შენარჩუნება.

ამას მით უმეტეს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ჩვენს პარტიას დიდი მოვალეობა აწევს თავზე—მან უნდა სწორედ უხელმძღვანელოს საბჭოთა რესპუბლიკებს; ამას კი ის შესძლებს მაშინ, თუ მის რიგებში მტკიცე დისციპლინა იქნება დაცული.

ამიტომ, როდესაც წევრთა პოლიტიკურ აღზრდაზე ვლაპარაკობთ, დისციპლინის საკითხებიც არ უნდა იქნეს დავიწყებული. ამ საკითხების გაშუქებას მეტი ყურადღება სოფლის ორგანიზაციებში უნდა მიექცეს, რადგან სოფლად ბევრი წევრი ახალი მიღებულია პარტიაში, რომელთაც არ გაუვლიათ ძველი ბოლშევიკური სკოლა, არ უმუშავიათ არალეგალურათ. მათ შორის უფრო შესაძლოა დისციპლინის დარღვევა. მეორე კიდევ, სოფელში მომუშავე კომუნისტები მოშორებული არიან მუშურ რაიონებს, გარშემო კი წვრილმესაკუთრული მასები ჰყავთ გარშემორტყმული, ამიტომ ისინი უფრო ადვილად შეიძლება გადასცდენ ბოლშევიკურ გზას. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრებმა, მათმა რწმუნებულებმა მაზრებში ხშირათ უნდა ჩამოიარონ სხვადასხვა რაიონები და პარტიის წევრთა საერთო კრებებზე წაიკითხონ მოხსენება კომისიის მუშაობაზე, მის მიზნებსა და დანიშნულებაზე, უნდა განუმარტონ პარტიის ფართო მასებს დისციპლინის მნიშვნელობა და სხვ.

ამ ერთი კვირის წინათ საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისიის ერთ-ერთ წევრს ჭიათურის ორგანიზაციის საერთო კრებაზე გაუკეთებია მოხსენება საკონტროლო კომისიის მუშაობაზე, მის მიზანსა და დანიშნულებაზე. კორესპონდენტი იწერება ამის შესახებ, რომ ასეთი მოხსენებები რომ ხშირათ მოეწყობოდეს პროვინციის ორგანიზაციებში, წევრთა შორის დისციპლინის დარღვევის შემთხვევა ძლიერ შემცირდებაო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს არ იქნება უკანასკნელი შემთხვევა. საკონტროლო კომისიის წევრები ამ მუშაობას უფრო გააფართოვებენ და გადაიტანენ უფრო ჩამორჩენილ და მიყრუებულ კუთხეებში, რაც უსათუოდ ხელს შეუწყობს პარტიაში დისციპლინის გამაგრებას.

„ზარია ვოსტოკას" უჯრედში

პარასკევს, 12 თებერვალს შესდგა „ზარია ვოსტოკას" უჯრედის ღია მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციაზე პროფკავშირების შესახებ; 2) აგიტპროპკოლეგიის მოხსენება, 3) საშეფო კომისიაში ამხანაგის გაგზავნა და სხვ.

პირველ საკითხზე მომხსენებელმა სათანადოთ გააშუქა პროფმოძრაობის მნიშვნელობა და ამოცანები დღეს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ასეთ საინტერესო საკითხზე მოხსენეამ, როგორიცაა პროფმუშაობის ამოცანები, მკრთალად ჩაიარა. წარმოიდგინეთ არც ერთი შეკითხვა არ ყოფილა; კამათზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. სხვა წვრილმან საკითხების გარჩევის შემდეგ კრებამ განიხილა ერთი ამხანაგის განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. უნდა ითქვას, რომ უჯრედის წევრები პარტიაში მიღების საკითხს ძლიერ სერიოზულათ უყურებენ, ყოველი წევრი ცდილობს კარგათ გამოარკვიოს ამხანაგის წარსული და ეხლანდელი მდგომარეობა და მხოლოდ შემდეგ სწყვეტს საკითხს.

იქაური.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

ხიდისთავის (გურია) ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება

4 თებერვალს შესდგა ხიდისთავის რაიონის კომპარტიის და კომკავშირის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა მოხსენება გურიის კომიტეტის პ/გ მდივნის ამხ. გ. კვაჭაძის მე-14 პარტყრილობის შედეგების შესახებ. ამხანაგ მომხსენებელი ვრცლად შეეხო მე-14 პარტყრილობის მუშაობის მიმდინარეობას და განმარტა ყველა ის სადაო საკითხები, რომლებიც წამოჭრილი იყვენ ყრილობაზე, ოპოზიციის შემცდარი გამოსვლები, გამოწვეული უმცირესობის მიერ მიმართული ცენტრალური კომიტეტის ხაზის და პოლიტიკის წინააღმდეგ, რის შემდეგაც კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა მოხსენება ამხ. კვაჭაძის მე-14 პარტყრილობის მუშაობის შესახებ, ხიდისთავის რაიონის პარტიის და კომკავშირის გაერთიანებული კრება ადგენს მე-14 ყრილობაზე ოპოზიციის გამოსვლა თანამოხსენებით უნდა ჩაითვალოს დაუშვებლათ ბოლშევიკურ პარტიაში. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა და მე-14 პარტყრილობის დადგენილებანი აგებულია სწორ ლენინიზმის პრინციპებზე. ყრილობის დადგენილებებს სავსებით ეთანხმება სარაიონო კრება და აღიარებს მის ცხოვრებაში გატარების აუცილებლობას.

რაიონული კრება იმედს გამოსთქვამს, რომ ლენინგრადის დელეგაციის შეცდომებს გაასწორებს თვით ლენინგრადის პარტორგანიზაცია და კვლავ გახდება პარტიის და ცენტრალური კომიტეტის ურყევ ფუძეთ.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

ზესტაფონის რაიკომის საქმიანობა

ზესტაფონის რაიკომი აერთიანებს 12 კომუჯრედს, რომელშიაც შედის 260 პარტიის წევრი და კანდიდატი. უჯრედების სოციალური შემადგენლობა შემდეგია: 6 გლეხურია, ორი მუშური, ორი სატრანსპორტო, ერთი სამხედრო და ერთი საბჭოთა უჯრედი. უნდა ითქვას, რომ მდივნებად ყველას შერჩეული ამხანაგები ყავს, რომლებსაც შეუძლიათ ხელმძღვანელობის გაწევა; მეტი საქმიანობის და აგრეთვე პარტიის ხაზის გატარების მიზნით ყველა უჯრედებზე მიმაგრებული არიან რაიკომის წევრები და პასუხისმგებელი ამხანაგები. უჯრედებმა დიდი აქტივობა გამოიჩინეს და ხელმძღვანელობა გაუწიეს მომავალ საბჭოთა არჩევნების წინასწარ კამპანიის ჩატარებას.

რაიკომი ხშირად იწვევს როგორც პლენუმებს, აგრეთვე თათბირებს, რომელზედაც ესწრებიან პ/მ. მდივნები და აგრეთვე პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც დიდ აქტივობას იჩენენ საკითხების გადაჭრაში. ამ უკანასკნელ ხანებში პარტდისციპლინის დარღვევას არ აქვს ადგილი; ამან გამოიწვია პარტიის რიგებისკენ ლტოლვა. უპარტიო გლეხებს და მუშებს ყოველ უჯრედის სხდომებზე შემოაქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთი უჯრედები ძლიერ ჩამორჩენილი არიან პოლიტცოდნის მხრით, რისთვისაც ადრევე მიაქცია სამპარტკომმა ყურადღება და გადმოაგზავნა პოლიტ - სკოლების ხელმძღვანელი, რომლის დახმარებით ამ მოკლე დროში ეს ნაკლიც გამოსწორდება. თვით რაიკომთან კი არსებობს მარქსისტული წრე. დარწმუნებული ვართ რომ ასეთი ენერგიული მუშაობით რაიკომი კიდევ მეტის გაკეთებას შესძლებს.

ყოსუ.

ჩვენი ვითარება

(გურია, ჯუმათის თემი)

ამ თემში პარტორგანიზაცია ძლიერი იყო ჯერ კიდევ 1917 და 18 წლებში. გასაბჭოების შემდეგ ამხანაგების მცირე ნაწილი გავიდა სოფლიდან ქალაქებში სამუშევრად. დღეს ჩვენს ორგანიზაციაში ირიცხება 68 კომუნისტი და 33 კანდიდატი. პირველ ოქტომბრიდან დღემდე შემოსულია კომპარტიის კანდიდატად ჩარიცხვის შესახებ 28 განცხადება. წევრთა პოლიტიკური ცოდნა ამ თემში დაბალია, ამიტომ მოძრავი პოლიტსკოლა პირველად გურიის კომიტეტის განკარგულებით აქ დაარსდა. ჩვენს თემში არის 7 კომ-უჯრედი. მას შემდეგ რაც თემის სისტემაზე გადავედით, მუშაობა უფრო გამოცოცხლებულია, კრებები სისტემატიურად იმართება, როგორც ღია, ისე დახურული. ღია კრებებზე უპარტიო გლეხობა პარტ-ამხანაგებთან კამათში იღებენ მონაწილეობას; პარტიულთა და უპარტიოთა შორის კარგი განწყობილებაა.

კომკავშირის მუშაობა დამაკმაყოფილებელია; კომპარტიას და კომკავშირს შორის არსებობს წარმომადგენლობითი სისტემა.

ქალთა შორის მუშაობა ჯერ—ჯერობით მოისუსტებს, მაგრამ მიღებულია სათანადო ზომები საქმის მოსაგვარებლად. ამ ცოტა ხანში მოხდა თემის ქალების საერთო კრება და აირჩიეთ 18 დელეგატი ქალი.

არსებობს წერა-კითხვის უცოდინართა სკოლები, გვაქვს სამკითხველო, არსებობს მის ირგვლივ სხვადასხვა წრეებში, არჩეულია საბჭო, ამ თემში გამოწერილი არის სხვადასხვა გაზეთები.

თებრონეშვილი.

დაუმსახურებელი ბრალდების გამო

20 იანვარს გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებული იყო კორესპონდენცია თითქოს მე, ანანურის პარტ-თემკომის მდივანი, არავითარ მუშაობას არ ვაწარმოებდე, რის გამოც ორგანიზაციული მუშაობა მიძინებული იყვეს, მასთან დასძენს რომ ერევა ადმინისტრატიულ საქმეებშიო.

მკითხველის წინაშე ვაცხადებ, რომ ეს სრულებითაც არ დამიმსახურებია. ამის გამო აუცილებლობა მოითხოვს გავაშუქო მდგომარეობა, რაც იყო ანანურის თემში ჩემამდი და რაც არის ახლა.

მე გამოგზავნილი ვარ ანანურის პარტ-თემკომის მდივნათ 1925 წ. 1 ოქტომბრიდან. დანიშვნისთანავე მე შევუდექი საქმეს ანანურის თემში. აქ კოუჯრედის მუშაობა მართლაც მიძინებული იყო, კრებები არ ხდებოდა, სრული უდისციპლინობა სუფევდა, გლეხკომის მუშაობა მართლაც მიძინებული იყო, საგლეხო ქონება უთავბოლოდ იფლანგებოდა; ტყის საქმე უარეს მდგომარეობაში იყო, ტყის მცველები ტყეს აჩეხვინებდენ და ფულს კი თვითონ იღებდენ ჯიბეში, და სხვა მრავალ ბოროტმოქმედების ბუდეთ ითვლებოდა ანანურის თემი, რასაც ადგილობრივათ ყურადღებას არავინ აქცევდა. მხოლოდ ერთი-მეორეს ჰფარავდნენ ბოროტების გამჟღავნებაში. ოქტომბრის თვიდან კი მუშაობას აღნიშნულ თემში გამოცოცხლება დაეტყო ყოველივე მხრივ, მაგ. ორგანიზაციული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე სდგას, კომუჯრედის კრებები უფრო ხშირად ხდება, სადაც ირჩევა მნიშვნელოვანი საკითხები. აგრეთვე ადგილობრივი დაწესებულებებთან შეთანხმებულად სწარმოებს მუშაობა. მუშაობის გამოცოცხლებასთან ერთად, აღმოჩენილ იქნენ ბოროტმოქმედნი პარტ-ორგანიზაციის დახმარებით, ამხანაგებმა განსაჯონ რამდენათ შეეფერება სიმართლის შ. ო. მიერ ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება.

კ. თალაკვაძე.

ქალთა შორის

თემკომები და ქალთა შორის მუშაობა

(ნაგომარი, გურია)

ქალთა შორის მუშაობა ნაგომრის თემში თავიდან კარგათ იყო დაყენებული. ქალთა სადელეგატო კრებები ხდება კვირაში ერთხელ და სწარმოებს მეცადინეობა.

დელეგატ ქალებიდან კომკავშირის თემკომს გამოყოფილი ყავს ქალთა შორის მომუშავე. დღეს ნაგომრის თემის დელეგატ - ქალთა ორგანიზაცია აერთიანებს 71 ქალს. ეს კი თვალსაჩინო მიღწევაა.

„კიდევ გნახავ".

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

კომკავშირის აქტივის კრება

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

ამ ერთი კვირის წინ სოფ. საგარეჯოში შესდგა ახ. ლ. კ. კ. ყველა უჯრედების აქტიურ წევრების კრება. დღის წესრიგი იყო შემდეგი: 1) ინსტრუქტორული მოხსენება, თუ როგორი მუშაობა უნდა აწარმოოს აქტივმა, 2) აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ, 3) კომკავშირის მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში.

პირველ თემაზე მოხსენება გააკეთა თემკომის პ. მგ. მდივანმა ამხ. ვაშაკიძემ, რომელმაც მიუთითა გეგმიანი მუშაობისაკენ ყოველ დარგში, როგორიც არის მოჯამაგირეთა შორის მუშაობის გაძლიერება, მათი კავშირში ჩათრევა; კომკავშირის მიერ პიონერთა ხელმძღვანელობა, გლეხობაში აქტიური წევრების მიერ გაზეთების წაკითხვა და ახსნა-განმარტების მიცემა; პოლიტწრეში პასიური წევრების ჩათრევა, კლუბის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღება, აქტიური წევრების საშუალებით, ქალთა შორის მუშაობის გაღრმავება და მათი გამოყენება სხვადასხვა დარგში და სხვა.

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ აქტიურ წევრებმა უნდა ჩაითრიონ მუშაობაში პასიური წევრებიც, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის განმტკიცებას და წინსვლას, აგრეთვე საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის მიღება კულტურულ დარგში.

შემდეგ მომხსენებელი აცნობს კრებას, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ კომკავშირელებმა საბჭოთა არჩევნებში, რას უნდა მიექცეს ყურადღება და როგორია პარტიის ხაზი ამ არჩევნებში.

შემდეგ მოხსენება გააკეთა აღმზრდელობითი მუშაობაზე, ახალ. კ. კ. თემკომის წევრმა გ. ბაბილაშვილმა. მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუციები.

მატარებელი.

ახალგაზრდობა ჩვენს მხარეზეა

(ნაგომარი, ოზურგეთის მაზრა)

ნაგომრის ა. ლ. კ. კ. მუშაობის შესახებ მრავალი შეიძლება ითქვას. თემის კომიტეტი აწარმოებს საქმიან მუშაობას. ჩვენი თემკომი აერთიანებს 71 წევრს ორი უჯრედით.

თემკომმა დაარსა თემის პროფკოლექტივი, პოლიტწრე, ახკორთა წრე, უშვებს კედლის გაზეთს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კედლის გაზეთის საქმიანობა; მან შესძლო შეესრულებია თავისი მოვალეობა და მრავალი ნაკლი იქნა გამოსწორებული კედლის გაზეთის მითითებით. ყველა ამას, რასაკვირველია, ხედავს უპარტიო ახალგაზრდობა და კედლის გაზეთშიც ისინი უკვე თანამშრომლობენ. პარტიის ხელმძღვანელობა გასულ თვეებთან შედარებით უკეთესია. ხდება კომკავშირისა და პარტიის შეერთებული კრებები, სადაც ირჩევა საზოგადოებრივი საქმეები. წარმომადგენლობითი სისტემაც დაცული არის. უპარტიო ახალგაზრდობა თემში ჩვენს მხარეზეა. ასე რომ, დღეს კომკავშირის ნაგომრის ორგანიზაცია მასიურია. ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა წინასწარ არჩევნებში.

„კიდევ გნახავ".

პარტიული ქრონიკა

პიონერთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა

საგიტ. კოლეგიამ, მოისმინა რა მოხსენება პიონერების თბილისის ბიუროს მუშაობის შესახებ, დაადგინა კვლავ ხელი შეუწყოს პიონერთა ორგანიზაციების ზრდას და ორგანიზაციაში მიიზიდოს მკვიდრ მცხოვრებთა ბავშვები. ამავე დროს საგიტაციო კოლეგიას საჭიროთ მიაჩნია გადიდებული იქნას კომკავშირილთა კადრების პროცენტი ყველაზე უფრო ღირსეულ პიონერების გადაყვანით კომკავშირის რიგებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგ. კომკავშირში პიონერთა გადაყვანას.

საჭიროა გაძლიერებული იქნას პარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობა პიონერთა კომისიებისადმი (კომკავშირის უჯრედებთან) და აგრეთვე სერიოზული ყურადღება მიექცეს გამყოლთა ხარისხობრივ შერჩევას.

პიონერთა ჯანმრთელობის დაცვა

პიონერთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საგიტ. კოლეგია საჭიროთ სთვლის მოაწყოს მუდმივი დახმარება პიონერთა ორგანიზაციისათვის საქიმო საზოგადოებათა, წითელი ჯვრის, მედ-სანშრომის კავშირის და სხვ. მხრივ. დახმარება უნდა გამოიხატოს იმაში, რომ დაინტერესებულმა დაწესებულებებმა თავიანთ შეფობის ქვეშ უნდა აიყვანონ პიონერთა ორგანიზაციები, მიაწოდონ მათ საქიმო მასალები, საქიმო პერსონალით უზრუნველჰყონ პიონერთა კოლექტივები და დახმარება გაუწიონ მათ სხვადასხვა გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა, როგორც მაგ. ბანაკის, პიონერთა-მოედნების და სხვ. შექმნის საქმეში.

„ბავშვების მეგობართა" კონფერენციის მოწვევა

„ბავშვების მეგობართა" საზოგადოების კონფერენციის მოწვევა განზრახულია თებერვლის დამლევს. საზოგადოების თბილისის საბჭოს წინადადება მიეცა აწარმოოს წინასწარი მუშაობა კონფერენციის მოსაწვევად.

პოლიტ-ცოდნის ახალ შემოკლებულ სკოლების გახსნა საქართ. კომპ. თბილისის ორგანიზაციაში ახლად შემოსულ კანდიდატებისათვის

მიზანშეწონილად სთვლის რა ახალ პოლიტ-ცოდნის სკოლების გახსნას პარტიის კანდიდატებისათვის, საგიტაციო კოლეგიამ წინადადება მისცა რაიკომების საგიტ. საპროპაგ. განყოფილებებს 1 მარტამდე ჩაატარონ მთელი საორგანიზაციო მუშაობა იმ ვარაუდით, რათა სკოლებმა დაიწყონ მეცადინეობა არა უგვიანეს 7 მარტისა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ყოფ. მენშევიკების კრება

ახალ-სენაკი, 13 თებერვ. შესდგა ყოფ. მენშევიკთა კრება. დაესწრო 45 კაცი. კრების მიზანი იყო—ყოფილ მენშევიკების დამოკიდებულების გამორკვევა საბჭოთა მომავალ არჩევნებისა და აგრეთვე ევროპაში გადახვეწილ ემიგრანტების საკითხისადმი.

კრებამ დაადგინა ხელი შეუწყოს არჩევნებს და მიიღოს მასში აქტიური მონაწილეობა კომუნისტურ ორგანიზაციებთან ერთად.

სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი

ქუთაისი, 13 თებერვ. დასავლეთ საქართველოს სასამართლოს პროკურატურაში პროკურორ გაბუნიას თავმჯდომარეობით გაიმართა სამეურნეო ორგანიზაციების თათბირი ამ ორგანიზაციებში არსებულ ნაკლისა და იმ დახმარების შესახებ, რომლის მიღება მათ შეუძლიათ პროკურატურისა და ადმინისტრაციისაგან. აღნიშნულ იქნა მრავალი ნაკლი სხვადასხვა სამეურნეო ორგანოების, სასამართლოს და ადმინისტრატიულ დაწესებულებათა მუშაობაში.

კრებამ დაადგინა: ეთხოვოს დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამოსცეს ბრძანება რომ დაჩქარებულ იქნეს სასამართლოს გამოძიებანი. ეთხოვოს სამაზრო აღმასკომს გასცეს ბრძანება თემების მიმართ, რათა სასწრაფოდ აკრეფილ იქნეს ის მოსავალი, რომელშიაც გლეხობას მიცემული აქვს ავანსები საკრედიტო ამხანაგობათა მიერ; გატარებულ იქნეს საკრედიტო ამხანაგობათა პოპულიარიზაციის კამპანია. გაეწიოს ბამბის კომიტეტებს ყოველგვარი დახმარება კერძო შემსყიდველების და სპეკულიანტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბრძოლა მფლანგველობის წინააღმდეგ

ქუთაისი, 13 თებერვ. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს პროკურატურაში გაიმართა თათბირი კოოპერატიული თანხის გაფლანგვისა და მითვისების შესახებ. თათბირმა დაადგინა გამოჰყოს სასამართლოს სამი წევრი მფლანგველობასთან საბრძოლველად.

სვანეთის ბეწვეული

ლახამულა, 13 თებერვ. სოხუმიდან ჩამოვიდნენ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს წარმომადგენელნი კაიკინი და ჯღამაია, რომელთაც შემოიარეს ზემო სვანეთის უმთავრესი სოფლები. ისინი გლეხებში აგიტაციას ეწეოდენ რომ მათ ბეწვეული ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ზუგდიდის განყოფილებას მიჰყიდონ დაწესებულ ფასებში. გლეხობა, რომელიც დარწმუნდა, რომ კერძო შემსყიდველები სპეკულიაციას ეწევიან, თითქმის ყველგან სიხარულით შეხვდა ამხ. კაიკინის და ჯღამაიას წინადადებას. საქმის გასაადვილებლად გლეხები განყოფილების გახსნას ითხოვენ სვანეთში.

კოოპერატიული „გაერთიანება"

ლიუქსემბურგი, 16 თებერვალი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „გაერთიანება" (სოფ. მარნეული) შეუდგა 8 ოთახიან შენობის აგებას.

ამ შენობაში მოთავსებული იქნება გამგეობის კანტორა, კოოპერატივის საწყობები და სამკითხველო გლეხებისა და კოოპერატივის წევრებისათვის. სამკითხველოში პერიოდულათ წაიკითხება ლექციები სასოფლო-სამეურნეო თემაზე.

ღვინის ფასები

ქუთაისი, 16 თებერვალი. ღვინის მოთხოვნილების გადიდების გამო ფასები ძალიან აიწია. თეთრ ღვინოს გლეხები ყიდიან 50 მანეთად. წითელს—70 მანეთად საპალნეს (12 ფუთი, ანუ 16 ვედრო).

სახერხავ ქარხანაში

ქუთაისი, 16 თებერვალი. რაჭის აღმასკომის სახერხავ ქარხანაში დადგმულია მალცევის სახელმწიფო ქარხნების ლაკომობილები 70 ცხენის ძალისა. ქარხანა ამუშავდება 1 მარტიდან.

ამჟამად ქარხანაში სდგამენ 4 დაზგას, ერთ სახერხავ ჩარჩოს და ცირკულიარულ დაზგას. სწარმოებს ხეების ინტენსიური დამზადება. ხეების ჩამოტანა შეფერხებულია რიონის დაკლების გამო.

მეცხვარეების საზოგადოება „მწყემსი"-ს კონფერენცია

თელავი, 16 თებ. 14 თებერვალს პროფკავშირთა კლუბში გაიხსნა მეცხვარეების საზოგადოება „მწყემსი"-ს რაიონული კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო ცენტრალური გამგეობა სრული შემადგენლობით და მეცხვარეების და მწყემსების ასამდე დელეგატი.

„მწყემსი"-ს გამგეობის თავმჯდომარემ მანაშვილმა მოხსენება გააკეთა საზოგადოების მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საზოგადოების წევრთა რიცხვი 4500 კაცამდე აღწევს, აქედან თბილისის მაზრაზე მოდის 1200 კაცი, თელავის—1100 კაცი. და სიღნაღის—2200.

1925 წლის განმავლობაში საზოგადოებამ დაამზადა 47,000 ფუთი მატყლი და 9,000 ფუთი ბატკნის ტყავი.

კონფერენციამ მოიწონა გამგეობის მუშაობა, ამოირჩია რაიონული საბჭო 9 პირისაგან და 55 დელეგატი სრულიად საქართველოს ყრილობაზე, რომელიც უნდა შესდგეს 15 აპრილს წითელ წყაროში.

მაუდის ფაბრიკა.

ქუთაისი, 16 თებერვ. ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საჭიროებისათვის აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველოდან შეძენილია 2,000 მანეთად ორი შუხოვის სისტემის საორთქლე ქვაბი.

აპოლონის თავგადასავალი

(ს. მუხიანი, ქუთ. მ.)

ვის რისთვის მოსწონს ფოსტა სოფლად და ვის რისთვის? ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებაზე განსაკუთრებული შეხედულება აქვს მუხიანის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს აპოლონ ნოსელიძეს. ფოსტა-ფოსტაა. რა სჯობია სოფელში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება გქონდეს!

მაგრამ კიდევ უკეთესი, თუ ამ ფოსტას განაგებს ცოლიანი პირი და რაღა უნდა ისურვო იმაზე უკეთესი, თუ ფოსტა - ტელეგრაფის განყოფილება და მით უფრო ამ განყოფილების გამგის ბინა მოთავსებულია ერთ შენობაში აღმასკომთან.

ჰო და სწორეთ ასეთი სანატრელი საქმე აუხდა აპოლონ ნოსელიძეს. ყველაფერი ხელს უწყობდა მას. საჭირო იყო მხოლოდ დროის შერჩევა.

შუა ღამე შრომისაგან მოქანცული მუხიანის გლეხობა გულის ძილშია. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა. არ სძინავს მხოლოდ აპოლონს. მან იცის, რომ ფოსტის გამგე სადგურზე უნდა წავიდეს მატარებლის შესახვედრათ.

მაშასადამე ვინღა რჩება, რომ მას ჟინის მოკვლაში ხელი შეუშალოს. სოფელს სძინავს, ქმარი სადგურზეა. დარჩა ერთი ფიცრული კედელი, რომელიც მას წინ ეღობება და საყვარელ ადამიანისაგან მიჯნავს.

აპოლონი კედელს როგორ შეეპუებოდა? ადგა დაიწყო ფიცრების რღვევა. კედლის ჭრიჭინმა გამოაღვიძა მძინარე ქალი. ის მაშინვე მიხვდა, რომ აღმასკომის თავმჯდომარე კარგს არაფერს აპირებდა, თორემ კარებს გვერდს არ აუქცევდა და წინდაწინვე გაფრთხილებით ეწვეოდა თუ რაიმე აუცილებელი საჭიროება იქნებოდა.

მით უფრო გასაკვირი იყო აპოლონის დაუპატიჟებელი სტუმრობა შუაღამისას. მაგრამ შეშინებული ქალი არ დაიბნა. ბევრი ფიქრის დროც აღარ რჩებოდა. მივარდა ფანჯარასთან და ფეხაკრეფით გაიპარა საცვლების ამარა მეზობელ ქალთან...

არ გუვლია ნახევარ საათსაც, რომ დიასახლისი დაბრუნდა მეზობელი ქალის თანხლებით. გააღეს კარები, მაგრამ, ვაი საკვირველებავ! აღმასკომის თავმჯდომარე ისევ აქ არის. ეძებს და ვერ უპოვნია ის, ვისი ნახვის იმედიც ჰქონდა. ხან ლოგინის და ხან სუფრის ქვეშ შეიხედავს. ხან კიდევ შკაპის კარსაც გამოაღებს.

გაიღო თუ არა კარები—ის იყო აპოლონი უნდა სცემოდა გულის სატრფოს, რომ მან მის გვერდით მეორე ქალიც დაინახა და ხელები ძირს ჩამოუშვა.

თავჩაქინდრული აპოლონი დარცხვენილი გამოვიდა მეზობლის ოთახიდან. ასე კარგია ფოსტა სოფელში, და ასე ცუდია, როცა სოფლის სათავეში აპოლონები დგანან.

ვინარი.

ახალი კომუნა ფშავ-ხევსურეთში

(სოფ. ზემო და ქვემო ქედი).

დღევანდელს სოფელს სამი თვე რომ ჩამოშორდე, ისე გამოიცვლება ვეღარ იცნობ: ან სკოლა აუშენებიათ, ან კოოპერატივი გაუხსნიათ, ან არტელი დაუარსებიათ და სხვა.

გასული წლის ოქტომბერში, სოფ. ქვემო-ქედში დაარსდა „მშრომელი არტელი", სადაც ოცდა ათამდის მცხოვრები გაერთიანდა. მათ შეიძინეს სამი ტრაქტორი და მუშაობაც დაიწყეს. ამან ხალხი ძლიერ დააინტერესა და ტრაქტორი ყველას მოეწონა.

გავიდა ხანი და ზემო-ქედში მუშაობაც გაფართოვდა. ოცამდის გლეხი შეგროვდა, გააერთიანეს ქონება და კომუნის წევრები გახდენ. თითქმის ერთი თვეა, რაც მათ მუშაობა დაიწყეს: მუშა საქონელი ერთად ჰყავთ, ერთად მუშაობენ, ერთად ხნავენ და სხვა. ამ ჟამად კი კომუნის საერთო სახლის საჭირო მასალაზე მუშაობენ. 100 კუბ. საჟენი ქვა ეხლავე შეაგროვეს; ზოგნი ტყეში ხის მასალაზე მუშაობენ და ზოგნი კიდევ კირს სწვავენ. კომუნაში ოცი კომლია გაერთიანებული. რაც შეადგენს 92 სულს. კომუნას არჩეული ჰყავს საბჭო 7 კაცისაგან, კომუნაში შედის 8 სრულიად უმიწაწყლო გლეხი.

ჯერ-ჯერობით კომუნას აქვს 5 ქვითკირის ორ სართულიანი სახლი, 5 სამკალი მანქანა, 4 სათიბი, 160 დესეტინა ნახნავი, 140 სული საქონელი, ასე რომ კომუნის უძრავ - მოძრავი ქონება დაახლოებით უდრის 27.000 მანეთს..

კომუნის საფუძვლის ჩამყრელი და დამაარსებელია ცენტრალურ პარტსკოლის კურსანტი, ამხ. იაკობ ჩოხელი. ის არდადეგების დროს ჩამოვიდა სოფელში და ორი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ მართავდა საუბრებს გლეხებში, უხსნიდა არტელის, კოლექტიური მუშაობის მნიშვნელობას.

ამხ. ჩოხელი ისევ სკოლაში დაბრუნდა, მაგრამ კომუნამ იგი ისევ უკან მოითხოვა ხელმძღვანელად.

საჭიროა ამას მთავრობამაც მიაქციოს ყურადღება და ზემო-ქედის ნორჩ კომუნას გაუწიოს შესაფერისი დახმარება ტრაქტორების და სხვა მანქანების სახით.

ი. ნაკვეთაური.

მეურნეობა ეცემა

(ს. ჩიბათი, გურია)

ჩვენს მიწებს უხსოვარ დროიდან არც დასვენება და არც სასუქი ღირსებია. გამოფიტული ნიადაგი შრომის ფასსაც აღარ ანაზღაურებს. ბევრი ოჯახი სიმშილს განიცდით.

ამბობენ რაღაც ხელოვნურ სასუქებზედ, მანქანებზე, ტრაქტორებზე, მაგრამ ეს სიზმარი გვგონია.

მებაღეობა უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება. ძველი ნამყენები გადახმა.

მანდარინის და ვენახების მოშენებაც ვცადეთ, მაგრამ ისევ გადავთხარეთ. სხვა რაიმეს გაშენებაზე არაფერს ვფიქრობთ. როგორც სჩანს, ამას ცოდნა და თანხაც ესაჭიროება.

ჩვენთვის ორივე ესენი „ქაჯის სავარცხელია". მახლობელ თემებშიაც დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა.

საჭიროა მეტი თვითმოქმედება, გლეხთა კოოპერატიულ გაერთიანებების დაარსება და საერთო ძალით ბრძოლა მეურნეობის ჩამორჩენილობასთან. ამას უნდა მეთაური ადგილობრივად და დახმარება მაზრიდან.

მიწის მუშა.

ერთი წლის მიღწევები

(წერილი ონიდან)

სწორედ ერთი წელი შესრულდა მიმდინარე თებერვალში, რაც რაჭაში შექმნილია რემედასის დროებითი სამაზრო კომიტეტი. წინად რაჭაში არ მოიპოვებოდა რემედასის არც ერთი უჯრედი. მიუხედავათ დიდი დაბრკოლებებისა: უსახსრობა, გეოგრაფიული პირობები და სხვ. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ იქნა 36 უჯრედი, 1.200 წევრით. მუშაობა უჯრედში დამაკმაყოფილებელია, თუმცა უკეთესი ხელმძღვანელობით შესაძლებელი იყო ამ მუშაობის გაცილებით გაუმჯობესება.

30 იანვარს (ამ ორგანიზაციის დაარსების წლის თავზე) ქ. ონში მოწვეულ იქნა რემედასის სამაზრო კონფერენცია, რომელიც, მიუხედავათ ცეკას წარმომადგენლის არ დასწრებისა, ძლიერ საქმიანად და ცოცხლად ჩაიარა. დელეგატები კატეგორიულად მოითხოვდენ მეტ ხელმძღვანელობას და მწუხარებით აღნიშნავდენ, რომ ცეკამ ამ ერთი წლის განმავლობაში და განსაკუთრებით კონფერენციაზე ვერ გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი.

კონფერენციამ პრეზიდიუმში საპატიო თავმჯდომარეებად აირჩია: ლანცუცკი, დორიო, ლეპეშინსკი და ჩოდრიშვილი.

ახალ სამაზრო კომიტეტში გაიყვანა: პ. ვაჩაძე, ს. შავლაძე, შ. გურგენიძე, ნ. კანდელაკი, ხ. მინდელი, გ. მელიძე და ი. იაგორაშვილი.

დამსწრე.

გლეხმა რა დააშავა

(ჭიათურა)

ქ. ჭიათურაში არის ერთი საავადმყოფო, რომელსაც აქვს ავადმყოფთა სასინჯი განყოფილება. წინათ, სანამ მრეწველთა საბჭო არსებობდა, ამ საავადმყოფოთი სარგებლობდა მუშასთან ერთად გლეხობაც, რომელიც იხდიდა გასინჯვის საფასურათ 25 კ. დღეს კი მდგომარეობა სავსებით შეიცვალა და საავადმყოფოში ღებულობენ მხოლოთ კავშირის წევრებს.

რა ქნას იმ გლეხმა, რომელიც მეურნეობას ეწევა სოფლად და არ არის კავშირის წევრი. მას არ ღებულობენ გასასინჯათ და ეუბნებიან: „მიდი კერძოთ ბინაზე ექიმთან და იქ გაესინჯეო", რის შემდეგაც გლეხი იძულებულია სახლში დაბრუნდეს, რადგან სამისო მანეთები, რომელიც ექიმს უნდა მისცეს; მას არ აქვს.

ნუთუ არ შეიძლება საავადმყოფოში ისეთი პირობების შექმნა, რომ გლეხისთვისაც მისაწდომი იქნეს ექიმის ნახვა და საექიმო რჩევა დარიგების მიღება.

ჭიათურელი.

სოფლის მილიციის ტკივილები

(წერილი რაჭიდან)

ბევრი რამ ითქვა მილიციაზე, მაგრამ მის პირობების გაუმჯობესებას მაინც არაფერი ეშველა. ხშირად გაიგონებთ მილიციის გაჯანსაღებაზე ლაპარაკს, მაგრამ სინამდვილეში ბევრი არაფერი გაკეთებულა. მილიციელი ღებულობს 27 მ. 90 კ. თვეში, ამასაც სამი თვის განმავლობაში ერთი თვისას მხოლოდ. ნუ თუ არის შესაძლებელია, რომ სამი თვე კაცმა პური არ სჭამოს? თუ მილიციელი მშრომელი არის, არ გაჩერდება სამსახურში და, თუ გაჩერდა, ეკონომიური პირობები მას აიძულებს დააპატიჟებინოს ვისმეს თავი და ზოგჯერ შეიძლება ქრთამიც აიღოს. თუმცა ასეთ შემთხვევას ძალიან ცოტას შეხვდებით, მაგრამ მისი შესაძლებლობა თავიდან აცილებული არაა.

ეხლა ტანისამოსზე. ზოგიერთ მაზრებში მილიციას ან სულ არ მიუღია ტანსაცმელი, ან თუ მიიღეს, რამდენიმე მაზრებმა, ზაფხულისა ზამთარში და ზამთრისა კი ზაფხულში.

25—26 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში იქნა შეტანილი ერთ მილიციელზე 40 მ. ტანსაცმელის შესაძენად. ეს თანხა ყოფნის შინელს და ფეხსაცმელს, დანარჩენი მილიციელმა სადაც უნდა იქ ეძიოს. არავის ამის გარშემო კრინტი არ დაუძრავს..

ესეც დიდი დანაკლისია.

მილიციას არ ჰყავს ცხენები. ესეც ერთი დამაბრკოლებელი მიზეზთაგანია. მილიციისათვის აგრეთვე არ არის შესაფერისი ბინები. როდესაც მაზრების ბიუჯეტებზე გადაიტანეს მილიციის შენახვა, ამან ძალიან დასწია მილიციის ეკონომიური მდგომარეობა. მართალია ჯამაგირები წარსულ წლებშიდაც ცოტა იყო, მაგრამ თავის დროზედ მაინც ღებულობდენ. ეხლა კი სამი თვეობით ვერ ღებულობენ.

მილიციის მდგომარეობა ყურადღებას ითხოვს. საჭიროა დროზე გამოსწორდეს ის ნაკლულევანებანი, რომელზედაც მე ზემოთ მიუთითებდი. უამისოთ სოფლის ადმინისტრაციის მუშაობა წარმატებით ვერ იწარმოებს.

ა. გურგენიძე.

ძველები მიდიან—მოადგილენი არ სჩანან

(წერილი გორიდან)

გორში ამჟამად შინამრეწველთა და ხელოსანთა რიცხვი 800-დე აღწევს, რაც პროვინციალურ ქალაქისათვის დიდ რიცხვად უნდა ჩაითვალოს. ამ ხუთი წლის წინეთ საშინელმა მიწის ძვრამ თითქმის მთლად დააზიანა მთელი ქალაქის შენობები. მრავალი მათგანი სრულიად დაანგრია; ხალხი ამან არ დააღონა, ხელახლა დაიწყო ქალაქის მშენებლობა.

პირველი შეხედვით ასეთი დაკვრითი მუშაობას თითქოს უნდა გამოეწვია მუშა-ხელოსან და შინამრეწველთა გამრავლება, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ. მაგრამ ხელოსანთა და მრეწველთა რიცხვი მეტად კლებულობს. რა არის ამის მიზეზი, ამას არც კი კითხულობს ვინმე.

ეს გახლავთ ახალგაზრდა მრეწველ-ხელოსანთა სიმცირე. ამის მიზეზია პირობების გამოუმუშავებლობა ოსტატებსა და შეგირდთა შორის.

მეტად ემძიმება დღეს ოსტატს შეგირდის აყვანა. შეგირდიც ვერ ეგუება ოსტატის უფროსობას და ასე ერთი მეორეს გაურბიან.

სანამდე ჯერ კიდევ გვიან არ არის, საჭიროა სათანადო ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს.

ძველები მიდიან თანდათანობით, ხოლო მათი მოადგილენი კი არ სჩანან.

სამსონ გეგელაშვილი.

წერილებიდან

ჭიათურა.

— **იშვიათი მომვლელი.** აქაურ საავადმყოფოში მსახურობს ამხ. ნატალია ხირსელი. ის განსაკუთრებული სათნოებით და თანაგრძნობით ექცევა ავადმყოფებს. ამხ. ხირსელმა საერთო სიყვარული დაიმსახურა თავისი იშვიათი მზრუნველობით ავადმყოფებზე. ვისურვებდი, რომ ასეთი მუშაკები მრავლათ ყოფილიყვნენ ჩვენს საავადმყოფოებში.

ლვანკითელი ანთიმოზი.

საგარეჯო (გარე კახეთი).

— **მზარეულები არ ვარგანან.** გვაქვს წითელი სასადილო, მაგრამ მას ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს. ყოველ თვეში იცვლება მზარეულები და არც ერთ მათგანს საჭმელის დამზადება არ იცის. ბორშჩი სოუზიდან არ განირჩევა, სოუზი ბორშჩისაგან. დროა ამის მოგვარებაზე იზრუნოს გამგეობამ.

თ. თ—ძე.

ს. ობუჯი (ზუგდ. მ.)

— **ბავშვები სკოლის გარეთ დარჩენ.** დიდი ხანია ობუჯის გლეხობა ცდილობს შვიდწლედის აშენებაზე, მაგრამ შედეგი ამ ზრუნვიდან არაფერი მიგვიღია. წელს თემის ყრილობამ ერთხმად გადასწყვიტა ააშენოს ახალი შენობა შვიდწლედისათვის. ადგილობრივი ორგანოები გაცხოველებულ სამზადისშია. იმედია მაზრაღმასკომიც დაგვეხმარება ამ დიდ საქმის გაკეთებაში.

აქ ვარ.
აქვარ.

წინასწარი დასკვნები ამიერ-კავკასიის რკინის გზების აღმოსავლეთ რაიონის გამომკვლევი კომისიისა

(საუბარი კომისიის თავმჯდომარესთან ამხ. [illegible])

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის აღმოსავლეთის რაიონის მდგომარეობის გამოკვლევა, გაემგზავრა 12 თებერვალს, რომ უშუალოდ დაეთვალიერებია და გამოერკვია უბედურ შემთხვევების მიზეზები; აღმოსავლეთ რაიონში ამ მხრივ ყველაზე-უფრო დაავადებული პუნქტები არიან აქსტაფა, განჯა, ბალაჯარა და ბაქო. კომისიამ მუშაობა დაამთავრა 15 თებერვალს და დაბრუნდა თბილისში. ამით რასაკვირველია კომისიის მუშაობა არ დამთავრებულა, კომისიას მოუხდება დიდი მუშაობის გაწევა აქ, ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოში, და აგრეთვე დათვალიერების და გამოკვლევის მასალების საერთო დამუშავება და საჭირო ზომების გამომუშავება უბედურ შემთხვევებთან საბრძოლველად. მიუხედავად ამისა, კომისიამ ახლა უკვე გამოიტანა მთელი რიგი წინასწარი უდაო დასკვნები.

მატარებლის დამტვრევა თუ უბედური შემთხვევები. პირველ ყოვლისა კომისიამ აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების აღმოსავლეთ რაიონებში ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებს, რომელმაც მიიღო მასიური ხასიათი, და ცალკე შემთხვევებს მატარებლის დამტვრევისას (2—3 უკანასკნელ თვეში). მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს არა მატარებლების სისტემატიურ დამტვრევებთან, არამედ მასიური ხასიათის უბედურ შემთხვევებთან, როგორც რონოდების გადაცდენა რონოდიდან, ისრის გადაწევა და სხვ. რომლებიც ასევე სახიფათოა, რადგან ამას მასიური ხასიათი აქვს, და არევ-დარევა შეაქვს გზის ნორმალურ მუშაობაში.

უბედურ შემთხვევათა მიზეზები. უბედურ შემთხვევათა მასიური ხასიათის მიზეზათ აღმოსავლეთ რაიონში კომისია სთვლის: რკინის გზის აგენტების გულცივობას, დისციპლინის დაცემას მათში, მოსამსახურეთა პერსონალის სიმცირეს, რაც იწვევს ზოგიერთ მომუშავეთა ზედმეტათ დატვირთვას, ლოთობა, განსაკუთრებით სადგურების ადმინისტრაციაში და ორთქლმავალთ და მატარებლების ბრიგადაში, უპასუხისმგებლობა, რაც ჩაგონებული ჰქონდათ ადგილკომების, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების და ზედამხედველობის ბიუროების მიერ, რომლებიც უბედურ შემთხვევათა აშკარა დამნაშავეებს ამართლებდენ. ასე, მაგალითად: მემანქანე, რომელმაც დაწვა ორთქლმავალი, გაანთავისუფლეს დასჯისაგან (სამსახურიდან დათხოვნიდან), რადგან ის სისტემატიურათ არ სჩადიოდა დანაშაულს. აქედან სჩანს: რომ დამნაშავე დაესაჯათ, საჭირო ყოფილა, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ხუთი ორთქლმავალის დაწვა. ასევე ხდება ლოთობისთვის პასუხისგებაში მიცემაც და სხვა.

შემდეგ, აღმოსავლეთ რაიონის არასაკმაო მომარაგება ტეხნიკური მასალებით: ა) შპალების სიმცირე საფრთხეში აგდებს ბალაჯარის რაიონს, ლამპის მინების უქონლობა, ისრებისთვის საკეტის სიმცირე და სხვ. ცხადია, გზის სამმართველო დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს აღმოსავლეთ რაიონის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მასალების მხრით. და ბოლოს ერთ უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს მოსამსახურეთა პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია აღმოსავლეთ რაიონში.

აი ეს არის უმთავრესი მიზეზები აღმოსავლეთ რაიონში უბედურ შემთხვევათა მასიური ხასიათისა. კომისია მუშაობის გათავების შემდეგ გამოაქვეყნებს დაწვრილებით თავის მუშაობის ანგარიშს და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებული იქნება უბედურ შემთხვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავისათვის

საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავზე თბილისში გაიხსნება მუსლიმანური პედაგოგიური ტეხნიკუმი. ამავე დროს მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში მოხდება კულტურულ დაწესებულებათა გახსნა.

5 წლის თავის წინა დღით თბილისში გაიმართება საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის საზეიმო სხდომა ორგანიზაციების თანდასწრებით 25 თებერვალს თბილისსა და სამაზრო ცენტრებში გაიმართება მუშა-მოსამსახურეთა დემონსტრაციები, სამხედრო აღლუმები ტერიტორიალურ ნაწილების მონაწილეობით და აგრეთვე აღმასკომების (მაზრებში) საზეიმო სხდომები.

„კომუნისტი"-ს რედაქცია
გადავიდა
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩაზე
№ 68.

ქართველ მწერალთა
ყრილობა
ხელოვნების საქმეთა მთავარი
საბჭო
ამით აცხადებს, რომ
კვირას, ა | წ. 21 თებერვალს, საღამოს 7 საათზე
ხელოვნების სასახლეში
დანიშნულია
ქართველ მწერალთა ყრილობა
წესრიგი:
1) მიმდინარე მომენტი და ქართულ მწერლობის ამოცანები,
2) სახელმწიფო გამომცემლობა,
3) ხელოვნების სასახლის შესახებ,
4) ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს მუშაობა,
5) მწერალთა კავშირის საბჭოს არჩევნები,
6) ხელოვნების სასახლის საბჭოს არჩევნები.
ყრილობას დაესწრებიან ქართველ მწერალთა სათანადო კავშირების მიერ არჩეული დელეგატები.
ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭო.
ნ. 759 3—1

პროფკავშირებში

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის სრულიად საქართველოს მე-4° ყრილობა

მეორე სხდომა

სხდომის გახსნისას წაკითხული იქნა მისასალმებელი დეპეშები სოხუმიდან, ქუთაისიდან, ჭიათურიდან და ბათომიდან.

კამათი ც. გ. მოხსენების გარშემო

16 თებერვლის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი კავშირის ცენტრ. გამგეობის მოხსენების გარშემო.

პირველად ილაპარაკა ამხ. კაჭარავამ (ახალ-სენაკი), რომელიც გამგეობის მუშაობას საერთოდ დამაკმაყოფილებლად სთვლის და საჭიროდ სცნობს მიუთითოს გამგეობას იმ არანორმალურ მოვლენებზე, რომლებსაც ადგილი აქვს მაზრებში.

შემდეგ ორატორი შეეხო კავშირის ორგანიზაციებს. და აღნიშნა, რომ ადგილებზე არ იყო დაგზავნილი ინსტრუქციების შეცდომები გამოსასწორებლად.

ამხ. ჭყონია (ხაშური) შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მუშაობის შესახებ ამბობს, რომ მთელი რიგი დადგენილებები ცენტრის მიერ არ ტარდება ცხოვრებაში, რაიც საფუძვლიანად სცემს ადგილობრივი ორგანიზაციების პრესტიჟს.

შეეხო რა კავშირის გენერალურ კოლხელშეკრულებას, ორატორმა აღნიშნა, რომ სრულიად გამოტოვებულია ხელშეკრულებაში მივლინებაში მყოფ მომუშავეების შრომის დაცვის საკითხი.

კავშირის წევრთა ბინების მდგომარეობის შესახებ ორატორმა სთქვა, რომ არავითარი ზომები არაა მიღებული ამ ბინების გასაუმჯობესებლად. რაც შეეხება კავშირის ზოლებათ დანაწილების საკითხს, ორატორს საჭიროთ მიაჩნია მომავალში ამ ზოლების ორამდე შემცირება.

ამხ. კობაიძე (თბილისი) აღნიშნავს, რომ საქართველოს განსაკუთრებული კლიმატიური პირობების გამო ის სპეც-ტანსაცმელი, რომელიც იგზავნება ცენტრის მიერ („ვალინკები" საქართველოს პირობებში მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება ხაზებზე მომუშავე მექანიკოსების და ზედამხედველების მუშაობას, კოლხელშეკრულებაში სრულიად დავიწყებულია მათი შრომის დაცვის საკითხი.

შეეხო რა დროებით მომუშავე მუშებს, ორატორმა საჭიროთ სცნო, რომ მთელი 100 პროც. ამ მუშებისა მომავალში ჩაბმული იქნან კავშირში.

ამხ. ყუფარაძე (ფოთი). ორატორი აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც ფოთის რკინისგზელები მითვლილი არიან სამალიარო ზოლზე, ფოსტა-ტელ. მუშაკთა კავშირში ეს ჯერ ჯერობით არაა გატარებული ცხოვრებაში. რაც შეეხება შვებულებებს კავშირის დაწესებულებებში, ორატორი საჭიროდ სცნობს, რომ იმ დროს, როცა ადგილობრივ მომუშავის გამოსაცვლელად არაა სათანადო კვალიფიკაციის მომუშავე. საჭიროა ასეთების გაგზავნა ცენტრიდან.

ამხ. დუდაევი (თბილისი). ორატორი ეხება საწარმოო თათბირების მუშაობას და ამბობს, რომ ამ თათბირებს დადებითი შედეგები მოჰყვა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი დადგენილებები არ არის გატარებული ცხოვრებაში იმის გამო, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებს არ აქვთ სათანადო თანხები და ყოველი საკითხი მოითხოვს ცენტრთან შეთანხმებას.

შრომის დაცვის დარგში ორატორს საჭიროთ მიაჩნია კავშირის წევრთა დასასვენებელ სახლებში გაგზავნის გაფართოება. ცენტრის საშუალებით უნდა იქნეს მიღებული ზომები, რათა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კურორტებზე მასიურად იგზავნებოდნენ კავშირის წევრები.

ამხ. ბერძნიშვილი (თბილისი) ორატორი ეხება კავშირებში ფართო დემოკრატიის გატარების საკითხს, და აღნიშნავს, რომ საქ. ფოსტელ გამგეობას არ ჰქონდა სათანადო პირობები თავისი მუშაობის გასაფართოებლად.

შეეხო რა უმუშევრობას კავშირის წევრთა შორის, ორატორმა აღნიშნა, რომ მათი კვალიფიკაციის აწევის მიზნით არაფერი არ გაკეთებულა და მომავალში საჭიროთ სცნობს პროფტეხნიკური სკოლების დაარსებას. კავშირის წევრთა 40 პროც. შეადგენენ ქალები, მათი აქტივობის გამოსაჩენად კი ბევრი არაფერი გაკეთებულა; ამისათვის საჭიროა მომავალში რაც შეიძლება მეტი ქალები იქნან ჩაბმული კავშირის მუშაობაში.

ამხ. ჯანიბახჩიევი (თბილისი). ორატორი ეხება შვებულებების საკითხს და აღნიშნავს, რომ ჩვენში მაინც დარჩენილია ბევრი მომუშავე შვებულების გარეშე: დღეს ისინი მოითხოვენ ფულად კომპენსაციას; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კავშირისთვის ყოველი კაპეიკი ხელფასის ფონდიდან წინასწარ გათვალისწინებულია და ეს კომპენსაცია მძიმე ტვირთად დააწვება ამ ფონდს; ამისათვის საჭიროა შვებულებების ახალ წელში გადატანა.

აღნიშნული ამხანაგების შემდეგ ილაპარაკეს ამხ. პარძიმაშვილმა და მარგველაშვილმა, რომლებმაც ყრილობას მიუთითეს ც. გ. მუშაობის ზოგიერთ სუსტ მხარეებზე.

ჭიათურის სამთომადნო მუშაკთა კავშირის ინჟ. ტეხნიკოსთა ბიუროში

ინჟ ტეხნიკოსთა ბიურო დაარსდა წ. წლის 10 მაისს. ბიუროში შედის სამი წევრი და ორი კანდიდატი. ბიურო თავიდანვე შეუდგა ენერგიულ მუშაობას და ამ ექვსი თვის განმავლობაში სექციას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა. ამ ხნის განმავლობაში მოწვეული იყო კრება 4-ჯერ. გაირჩა 10 საკითხი. ბიუროს 26-ჯერ ჰქონდა სხდომა, რომელზედაც—76 საკითხი გაირჩა. საორგანიზაციო მუშაობის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო ინჟინერთა და ტეხნიკოსთა პროფესიონალურ მუშაობაში ჩაბმისაკენ, რაც გაატარა ცხოვრებაში. ბიურომ დაარსა ბიბლიოთეკა; ტეხნიკური წიგნებით. გამოწერილია ჟურნალები ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებზე. ბიბლიოთეკა ივსება მეცნიერული და მეტად ძვირფას წიგნებით.

მიღებულია ზომები მრეწველთა ყოფილ საბჭოს ტეხნიკურ წიგნების ბიუროსთვის გადასაცემად. ბიურომ პირველად დაარსა ჭიათურაში გეოლოგიურ - მინერალოგიური მუზეუმი. ამ მუზეუმს დიდი მნიშვნელობა ექნება ჭიათურის მრეწველობისათვის, რომელიც, სამწუხაროდ, ძლიერ ნაკლებადაა შესწავლილი, მიუხედავათ იმისა, რომ იგი ნახევარი, საუკუნეა, რაც არსებობს. ამ მუზეუმში ინახება ასზე მეტი სხვადასხვა პალეონტოლოგიური ნაშთები და სხვა მადნეულობა, რომელიც უკვე შესაფერისადაა დალაგებული პროფესორ-გეოლოგ ყიფიანის დახმარებით.

ბიურომ შეადგინა რაიონის რუქა, მჭიდრო კავშირი დაიჭირა მუშებთან, რომლებთანაც წაკითხული იქნა ქარხანა - მაღაროებში—რგანში, თაბარგანში, ზედა-რგანში, პერევისაში და თვით ჭიათურაში—მთელი რიგი ლექციებისა როგორც შავიქვის, აგრეთვე ტეხნიკის სხვადასხვა საკითხებზე. ბიურომ შეიმუშავა გეგმა საათისთავო მოკლევადიანი კურსების დაარსების შესახებ და გადასცა სამთო-მადნო კავშირის ადგილობრივ ქვე-რაიკომს განსახორციელებლად. დაარსდა სატერმინოლოგიო კომისია. მან უნდა შეკრიბოს და შეიმუშავოს ტეხნიკური სიტყვარი, რომელიც სამთო ხელოვნებაშია საჭირო.

არჩეულია სარადიო კომისია. კომისია გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს მუშებში. რადიოს შესახებ წაკითხული იქნება ლექციები.

ბიუროს აზრად აქვს შავიქვის მარაგის დაწვრილებითი აღრიცხვა მოახდინოს მთელ ჭიათურის რაიონში.

სატარიფო - ეკ. დარგშიაც ბევრი რამ გააკეთა ინჟ.-ტეხ. ბიურომ ჭიათურაში.

25 ოქტომბერს მოხდა ჭიათურის ინჟ.-ტეხ. ბიუროში შემავალ წევრთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა დაწვრილებითი ანგარიში. კრებამ ბიუროს საქმიანობა დამაკმაყოფილებლად სცნო და ბიუროს ახალი გამგეობა აირჩია.

გამგეობაში შევიდნენ **ა. გოგავა** (თავმჯდომარეთ), **ფ. საფონოვი**, **ა. ა. ნემსაძე** მდივანი) და სხვ.

კრებამ აირჩია აგრეთვე სარევიზიო და სალექციო კომისიები.

პროფკავშირელი.

პროფმუშაობის ქრონიკა

ხელოვნების მუშაკთა კავშირში

— **ჯამაგირების დაგვიანების წინააღმდეგ.** ვინაიდან მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირები სისტემატიურად უგვიანდებათ, კავშირმა საკითხი გასარჩევად გადასცა შრომის კომისარიატის სამედიატორო სასამართლოს.

— **სატარიფო-საეკონომიო საკითხების გადასაწყვეტად.** კავშირის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ა.-კ. რესპუბლიკების ხელოვნების მუშაკთა კავშირების სატარიფო-საეკონომიო განყოფილებათა და საშუამავლო ბიუროების თათბირის მოწვევა. სატარიფო-საეკონომიო დარგში სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად.

— **ხუთი წლის იუბილე.** კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის 5 წლის იუბილე გადახდილ იქნეს კავშირის სრულიად საქართველოს მე-6-ზე ყრილობასთან ერთად. იუბილესთან ერთად აღნიშნულ იქნება კავშირის წითელ არმიის ნაწილებზე შეფობის სამი წლის შესრულება.

— **ჟურნალი „ხელოვნება" 4 ენაზე.** კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა ყრილობაზე და იუბილეზე გამოშვებულ იქნეს ჟურნალი „ხელოვნება" ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

— **საიუბილეო კომისია.** კავშირის პრეზიდიუმმა იუბილეს ჩასატარებლად აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა იუბილეს ჩასატარებელი გეგმის გამომუშავება.

— **უმუშევართა ფონდი.** კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო რა მხედველობაში წევრების მუშაობის სპეციალური პირობები, დაადგინა დროებით დატოვებულ იქნეს უმუშევართა ფონდი.

— **ჯამაგირების დასარიგებლად.** კავშირის პრეზიდიუმმა სახელმწიფო ოპერის ადმინისტრაციის სესხად გადასცა 1.500 მანეთი თეატრის მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირების დასარიგებლად.

— **მივლინება მუშაობის გამოსაკვლევად.** კავშირის პრეზიდიუმმა პროვინციის საანგარიშო წლის მუშაობის გამოსაკვლევად და მე-6-ზე ყრილობაზე დელეგატების საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად მიავლინა ამხ. ქურიძე. ამხ. ქურიძის მივლინების გამო, მის მოვალეობათა შესრულება დროებით დაეკისრა ამხ. კაპელნიცკის.

— **კავშირის ყრილობა.** თანახმად კავშირის ცენტ. გამგეობის დადგენილებისა ხელოვნების მუშაკთა კავშირის მე-6-ზე სრ. საქართველოს ყრილობა მოწვეულ იქნება 15 თებერვლისათვის.

— **ამხ. სლავინსკის მოწვევა.** ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა კავშირის მე-6 ყრილობაზე მოიწვიოს სრულიად საკავშირო ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. სლავინსკი.

— **საშუამავლო ბიუროს გამოკვლევა.** რადგანაც კავშირში ხშირად შემოდის საჩივრები საშუამავლო ბიუროს მუშაობის სისუსტის შესახებ ცენტ. გამგეობამ დაადგინა გამოკვლეულ იქნეს მისი მუშაობა და მიღებულ იქნეს შესაფერი ზომები ნაკლის გამოსასწორებლათ.

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირში.

— **ადგილკომების დეცენტრალიზაცია.** კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა მოხდეს სახლების მომუშავეთა ადგილკომების დეცენტრალიზაცია. ნაცვლად აქამდე არსებულ ოთხი ადგილკომისა, არსდება ხუთი ადგილკომი, რომელთა შორისაც განაწილებულ იქნება თბილისის ყველა სამილიციო უბნები. ქალაქში წყალსადენის ადგილკომში შეყვანილ იქნება პროფრწმუნებულები და წარმომადგენლები. სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებიდან. ცეცხლის მქრობელი რაზმის მე-2-რე, მე-3-მე და მე-4-ზე ნაწილებიდან და მილების მწმენდავ რაზმიდან პროფრწმუნებულები შევლენ ხანძრის მქრობ რაზმის ადგილკომში.

— **დახმარება უმუშევრებს.** კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა დახმარება არ მიეცეს იმ წევრებს, რომლებიც დახმარებას იღებენ დამზღვევ სალაროდან საშუამავლო ბიუროდან და სოც. უზრუნველყოფის კომისარიატიდან იანვრის თვის დახმარების გაცემის შემდეგ უმუშევრები, მამაკაცები 55 წლის ზევით და დედა-კაცები 45 წლის ზევით, გაგზავნილ იქნებიან საექიმო საკონტროლო კომისიაში, მათი შრომის უნარიანობის გამოსარკვევად და სოც. უზრუნველყოფაზე გადასაყვანად.

— **წარმომადგენლის გაგზავნა.** კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა, წარმომადგენელი გაგზავნოს აზერბეიჯანის კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის მე-6-ზე ყრილობაზე დასასწრებლად, რომელიც გაიხსნება 15 თებერვალს.

ფოთის სარაიონო პროფსაბჭოში.

— **იურისკონსულტის მოწვევა.** ფოთის პროფბიურომ მუშა-მოსამსახურეებისათვის იურიდიული რჩევა-დარიგების მისაცემად, ბიუროსთან მოიწვია იურისკონსულტი.

სურსათ-გემოვნების მუშაკთა კავშირში

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** კავშირმა გადასწყვიტა ზომები მიიღოს, რათა იმ მუშებისათვის, რომლებიც მუშაობენ საღამოობით გახსნილ იქნეს დილის ჯგუფები წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.

— **წითელი კუთხეები.** კავშირმა საჭიროდ სცნო წითელი კუთხეების დაარსება მსხვილ წარმოებებთან.

— **კლუბი ქალაქის სასაკლაოზე.** კავშირმა გადასწყვიტა დაჩქარებით დაამთავროს ქალაქის სასაკლაოსთან კლუბის მოწყობა და გახსნა.

საკრედიტო ფონდი

ულარიბესი გლეხობისათვის

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ამიერკავკასიის ულარიბესი გლეხობისათვის სესხის მისაცემათ სპეციალური ფონდის დაარსების გეგმის პროექტი.

ამ პროექტის და საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად შექმნილი იქნება სპეციალური ფონდი, საიდანაც ულარიბეს გლეხებს მიეცემათ სესხი. ამ სესხით ისარგებლებენ ამიერკავკასიაში მოსახლე გლეხებიც.

1925—26 საბიუჯეტო წლისათვის ეს სესხი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის განაწილდება შემდეგი სახით: ამ.-კავკასიისათვის გადიდებულ თანხიდან საქართველოს მიეცემა 50 პროცენტი, აზერბეიჯანს 30 და სომხეთს 20 პროცენტი.

სესხების გაცემა იწარმოებს მხოლოთ სას.-სამ. კრედიტის ხარჯთაღრიცხვის გეგმით და მიეცემათ იმ გლეხებს, ვინც წევრია სასოფლო საკრედიტო ამხანაგობებისა.

სესხის გაცემა იწარმოებს მარტო საწარმოო საქმისთვის და ულარიბესი საგლეხო მეურნეობების ძირითადი კაპიტალების გასაძლიერებლათ 4-დან 7 წლის ვადამდე. სესხის გადახდის ვადები შეთანაბრებული იქნება აღნიშნულ ნაწარმოებთა პროდუქციის გასაღების სეზონთან.

ცალკე რესპუბლიკებში აღნიშნული თანხები დანაწილებულ იქნებიან რესპუბლიკანურ სასოფლო-სამ. ბანკების მიერ და ამ დანაწილებას დაამტკიცებენ რესპუბლიკანური უმაღლ. ეკ. საბჭოები. ეს უკანასკნელები განსაზღვრავენ აგრეთვე ცალკე რაიონებისათვის გასაცემ სესხის რაოდენობას.

ულარიბეს საგლეხო მეურნეობათა სიას და სესხის უშუალო განაწილებას ახდენენ საკრედიტო ამხანაგობები, ადგილობრივ აღმასკომების წარმომადგენელთა თანდასწრებით. საკრედიტო ამხანაგობები ამასთანავე მოვალენი არიან თვალყური ადევნონ გლეხების მიერ სესხათ მიღებული თანხების მიზანშეწონილათ მოხმარებას.

ტყეების გადაცემა გლეხობისათვის

საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობების თანახმად, 1 თებერვლამდე მთელ რესპუბლიკაში გლეხობას გადაეცა 45,000 დესეტინა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყე. გარდა ამისა გამოყოფილია და გადასაცემად დამზადებულია 20,000 დესეტინაზე მეტი. იმავე რიცხვისათვის აზერბეიჯანში გლეხებს გადაეცათ 8,000 დესეტინაზე მეტი. სომხეთში დასრულდა მოსამზადებელი მუშაობა და ტყეების გადაცემა უკვე დაიწყო.

ამიერ-კავკასიაში განზრახულია გლეხობისათვის 323,260 დესეტინა ტყის გადაცემა. რეფორმა ჯერ-ჯერობით სავსებით არ არის გატარებული. ამის მიზეზი იყო ცუდი ამინდები და მთელი რიგი ადგილობრივ პირობებისა.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოყოფის ვადათ დანიშნულია 1 ივლისი. ტყის მოწყობის დასრულება განზრახულია მომავალი წლის 1 იანვრისათვის.

მიღებულ ცნობების თანახმად გლეხობა თითქმის ყველგან კმაყოფილებით შეხვდა ამ რეფორმას, რომელიც წარმოადგენს გლეხური მეურნეობის განმტკიცების ფაქტორს.

გლეხის ცენტრალურ სახლში

საქართველოს გლეხის ცენტრალურმა სახლმა მოაწყო მუდმივი ეზო თბილისში მოსიარულე გლეხებისათვის. ეზო, რომელიც 250 სულ საქონელს იტევს, მუდამ სავსეა.

ჩამოსული გლეხობა ყველაფრით უზრუნველყოფილია: აქვს გამთბარი ბინა საწოლით, ეზო ყოველთვის იკეტება, ასე რომ გლეხს არ ეშინია ეზოში დატოვებულ ქონების დაკარგვის. საღამოობით გლეხები ნახულობენ კინო-სურათებს და ისმენენ ლექციებს, რომელიც გლეხის სახლში ყოველდღე იმართება. გლეხები, რომელთაც ჯერ კიდევ არ უნახავთ კინო, აღტაცებაში მოდიან კინო-სურათებით.

სხვათაშორის, ერთ-ერთ სამილიციო რაიონის უფროსის შუამდგომლობის თანახმად, გლეხის ცენტრალურ სახლს განზრახული აქვს განყოფილების გახსნა თათრის მოედანთან. როგორც ვიცით, ამჟამად ეგრეთ წოდებულ თათრის მოედანის რაიონში არსებობს რამოდენიმე კერძო ყავახანა რომელნიც ოპიუმით ვაჭრობენ და გარყვნილების ბუდეებს წარმოადგენენ. ასეთ ყავახანის ერ-ერთ მეპატრონეს აქვს თორმეტი ოთახი, რომელსაც გლეხის სახლის განყოფილების უქონლობის გამო ხშირად თავს აფარებს ჩამოსულ გლეხების დიდი ნაწილი.

გლეხის ცენტრალურ სახლს განზრახული აქვს გამოჰყოს კახეთის მოედანზე სპეციალურად თბილისის მაზრის გლეხის სახლი.

ზაფხულში ცენტრალური სახლი დაიწყებს სპეციალურ შენობის აგებას საზაფხულო თეატრისათვის.

საქართველოს საალმშენებლო დარგის მუშათა კავშირთან არსებული საალმშენებლო სკოლა ახლო მომავალში დაასრულებს სახლთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის კაპიტალურ რემონტს, მუზეუმში წარმოდგენილი იქნებიან საქართველოს მაზრების სასოფლო-მეურნეობის ცალკე დარგები.

ამჟამად საწოლთა რიცხვი გლეხის ცენტრალურ სახლში 180-დე ადის. ერთი წლის წინ კი გლეხის სახლის გახსნის დროს სულ 65 საწოლი იყო.

7 მარტს, სახლის გახსნის წლის თავზე, მოწვეული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გლეხის სახლების მუშაკთა თათბირი. სულ ამიერ-კავკასიაში მოიპოვება 15 სახლი, აქედან საქართველოში 9, სახელდობრ: ქუთაისსა, ახალციხესა, ბორჯომსა, ოზურგეთსა, ზუგდიდსა, გორსა, ბათომსა, სოხუმსა და თბილისში. ამ თათბირზე შემუშავებული იქნება სახლების მუშაობის ერთიანი გეგმა ამიერ-კავკასიის მასშტაბით. ერთ-ერთი სახლი გამოყოფილი იქნება, როგორც ხელმძღვანელი ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებისათვის.

კომუნალური მეურნეობა

წყალსადენის ელექტროფიკაცია

წყალსადენის განყოფილების მიერ ამ რამოდენიმე კვირის წინად მიღებულ იქნა ზომები ავჭალის წყალსადენის მთავარი სადგურის მოსაწყობად და გასაუმჯობესებლად.

ამ ჟამად სადგური აღჭურვილია ახლად შეძენილი სხვადასხვაგვარი მანქანებით, სადგურს აქვს წყლის ახალი ტურბინები, რომელნიც 1.000 ვედროს იძლევიან 8 კაპიკად; ელექტრო — მამოძრავებელი — დიზელები, რომელნიც ყოველ 1.000 ვედრო წყალს უშვებენ 19 კაპიკად, და ორთქლ - ტურბინები, რომელთა მუშაობით ყოველი 1.000 ვედრო წყალი 27,4 კაპიკი ჯდება.

ზაჰესის დამთავრებასთან დაკავშირებით —(ერთი წლის შემდეგ თბილისის წარმოებანი უზრუნველყოფილნი იქნებიან ზაჰესის ელდენით) სდგას საკითხი ზაჰესის ენერგიის გამოყენების შესახებ წყალსადენის სადგურის საელექტროფიკაციოდ.

წყალსადენის სადგურის სავსებით და ნაწილობრივი ელექტროფიკაციის საკითხის გამორკვევა მინდობილი ჰქონდა თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიას, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა ყოველი მანქანის ექსპლოატაციის, ღირებულების და მოქმედების შესასწავლად წარმოებული.

საგეგმო კომისიამ განიხილა წყალსადენის ელექტროფიკაციის ორი ვარიანტი და დასასრულ უპირატესობა მისცა — ე. წ. მინიმუმ — ვარიანტს, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს წყალსადენის ნაწილობრივი ელექტროფიკაცია. ე. ი. უნდა მოხდეს წყლის ძვირფასიანი ტურბინების ელექტრო-საქაჩავებით შეცვლა.

ტრამვაის მუშაობა იანვარში

იანვრის თვის განმავლობაში თბილისის ტრამვაის ყველა ხაზებზე მუშაობდა 107 რონოდა, 27 პროც. მეტი, ვიდრე იყო გასული წლის იანვარში; ყველა რონოდამ გააკეთა 58,423 ბრუნვა, ე. ი. გაიარეს 391,722 კილომეტრი. 1925 წ. იანვართან შედარებით ბრუნვის რიცხვი გაზრდილა 56 პროც., ხოლო გავლილი მანძილი—41 პროც..

ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მგზავრთა რიცხვიც. 1925 წლის იანვარში გადაყვანილი იქნა 2,197,394 მგზავრი, ხოლო ამა წლის იანვარში გადაყვანილი იქნა მილიონით მეტი, სახელდობრ 3,593,742 მგზავრი.

მუშათა ცხოვრება

სამჭედლოში

(მუშის სიმღერა).

შრომა კუნთად ვარდნილი
გრდემლზე ჩაქუჩს აცეკვებს,
შანთი, წყალში ლანდივით
ჩე, შორდება საკეცეს!

გრდემლის ლაპლაპ ზურგზე
ჩაქუჩი სცემს რკინას,
ქურა კვლავ გუზგუზებს,
შანთი გადის ყირას.

ჰეი, მჭედელი ჰედავს,
ჰედავს რკინის ნალებს...
კამეჩს შიშველ ფეხზე
ხრეში აკანკალებს!

ჰეი, მჭედელი ჰედავს,
ჰედავს რკინის სახნისს,
გლეხებმა შეუკვეთა,
ალბად, მიწას დახნავს.

სახნისს ბასრი ჩარხი
ბაგეს გაუხეხავს...
საქმე გაიჩარხება,
ბელტებს გადახერხავს.

აღარ არის დაღლა...
მოსვენება წუთით—
შრომამ რკინა დაღრღნა
და დაკუმშა კუნთი.

ახკური **ჩაჩიბაია.**

გაუხსენით კრედიტი მუშებს

მეოთხე თამბაქოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს მთლიანი მუშკოოპში ჰქონდათ გახსნილი კრედიტი, საიდანაც გამოჰქონდათ ფართლეულობა.

როგორც ვიცით მუშებისთვის კრედიტი დიდი შეღავათია რადგანაც კრედიტით გამოაქვთ მათ მუშკოოპიდან ფართლეულობა და მოსავენ ცოლ-შვილს. და ვალს კი ნაწილობრივ იხდიან. მუშებს თუ კრედიტი არ აქვთ, ისინი ვერ შესძლებენ თავისი ჯამაგირით ერთბაშათ შეიძინონ ფართლეულობა.

მეოთხე თამბაქოს ქარხნის დირექტორმა კი მუშებს კრედიტი დაუხურა, რამაც მუშებში გამოიწვია უსიამოვნება. როდესაც მუშები შეეკითხნენ დირექტორს კრედიტის დახურვის მიზეზებზე მან სთქვა: „სანამ სხვა თამბაქოს ქარხნის მუშები არ გადაიხდიან ვალებს, თქვენი კრედიტი დახურული იქნებაო".

რა შუაში არიან აქ სხვა ქარხნის მუშები? მეოთხე თამბაქოს ქარხნის მუშებმა გადაიხადეს 80 პროცენტი ვალი და მათ კრედიტიც არ უნდა დახურვოდათ.

მეოთხე თამბაქოს ქარხნის დირექტორო, თქვენი წამოყენებული მიზეზი მუშების კრედიტის დახურვის შესახებ არ არის სამართლიანი.

მუშკორი **ვ. სა—ვაძე.**

ცოტა რამ სოც. დახმარების შესახებ

სადღესო და საჭირბოროტო საკითხად, გორის მაზრაში სდგას საკითხი სოციალურ დახმარების შესახებ.

მაგალითისთვის მოვიყვან შემთხვევას, რომელსაც ჰქონდა და აქვს ადგილი.

გორში არის საკონსერვო ქარხანა, „ცეკავშირი"-ს, რომელიც აწარმოებს თავის მუშაობას თითქმის 1923 წლიდან.

ზემოთ აღნიშნულ ქარხანაში მუშაობა სწარმოებს ზაფხულობით (სეზონიურია). ამ ქარხანაში მუშები აწარმოებენ სეზონიურ მუშაობას, თითეულ თითო სეზონზე მუშაობს არა ნაკლები ას ნახევარი მუშისა. მათი მთელი 100% ითვლება სურსათ-გემოვნების კავშირის წევრებად.

ამ ქარხანაში სეზონური მუშაობა სწარმოებს ყოველ წელს 7—8—9 და 10 თვესაც. ამ მუშების რიცხვიდან 25 % არის ძველი მუშა (თითქმის დღიდან ქარხნის დაარსებისა) ადმინისტრაცია მუშაობის მსვლელობის დროს კუთვნილ %% ანარიცხებს (მუშა-მოსამსახურეებისა) 18 % იხდის სისტემატურად თვიდან თვის ბოლომდე. სეზონის დამთავრების შემდეგ თითქმის 50 % მუშებისა რჩება უმუშევრად და დღიდან სამუშაოდან მოხსნისა—მეორე სეზონამდე. ეს უმუშევარნი არიან ყოველგვარ საექიმო დახმარებას მოკლებული), (ერთმევათ დამზღვევ სალაროს წიგნაკი) და არავითარ დახმარებას არც ერთ მათგანი ვერ ღებულობს.

არა ერთხელ მდგარა ეს საკითხი საერთო კრებებზე, კომ-უჯრედის ღია სხდომებზე. რის შემდეგ ყოფილა აღძრული შუამდგომლობა სამაზრო პარტკომის წინაშე და გორის სამაზრო პარტკომის წინაშე, აგრეთვე ცენტრალურ გემო-კვების კავშირის წინაშე ამ საკითხის გამოსარკვევათ და დასაბოლავებლად, მაგრამ ჯერ არსაიდან არავითარი შველა არ არის. ამ დღეებშიც განმეორებით იქნა აღძრული საერთო კრების მიერ სამაზრო გამგეობის წინაშე, რათა უკიდურეს შემთხვევაში საექიმო დახმარება მაინც აღმოუჩინონ მათ, მაგრამ მაინც არა ვართ დარწმუნებული, რომ მივაღწევთ სათანადო შედეგებს.

სეზონის დახურვის შემდეგ (დეკემბრის შუა რიცხვებიდან) ადგილკომში დღეში არანაკლები სამი ამხანაგია, რათა მათ აღმოუჩინონ საექიმო დახმარება. ჩვენი ვალდებულება, რათა გადავგზავნოთ დამზღვევ კასაზედ საექიმო დახმარებისთვის, მაგრამ ჩვენი მიმართვით უკან გვიბრუნებენ რეზოლიუციით: — **„როგორც უმუშევარნი უარი ეთქვას"-ო.**

არა ერთხელ მიგვიმართნია პასუხისათვის, რათა ეჩვენებიათ გზა, თუ რა საშუალებისათვის მიგვემართნა, მაგრამ ამაოა.

დამზღვევი კასის პასუხი არის: „ვინაიდან ერთი წელი არა აქვთ ნამუშევარი სისტემატიურად, ამისათვის დახმარება არ მიეცემათო". ეს მართალია, ამას გვიკარნახებს შრომის კანონები, რომელიც არის გამოშვებული, საკავშირო შრომის კომისარიატის მიერ, რითაც ამჟამად ვხელმძღვანელობთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დღიდან დაწყებისა ქარხანაში მუშაობის დღემდე მუშაობს 28 %, რომლებსაც თვითეულ მათგანს, როგორც აღვნიშნე ზევით, აქვთ ნამუშევარი თითოეულ სეზონში არა ნაკლები 7—8 თვისა და ყოველგვარი დახმარების, რომელიც არის დამზღვევ კასიდან არიან მოკლებულნი, არიან მოკლებული იმიტომ რომ არა ჰყავთ მათ პატრონი ისეთი, რომელიც შესძლებს ამ საკითხის მოგვარებას სადაც ჯერ არს.

ასეთივე მდგომარეობაა საალმშენებლო კავშირში, რომელიც თითქმის ორი წელიწადია, რაც სადაო საკითხადაა მათთვის და როგორც ირკვევა ბოლო ცნობებით მიზანს აღწევენ.

არის წვრილი პატარა კოოპერატიული და სამეურნეო დაწესებულებები, სადაც ამ საკითხს აქვს ადგილი.

ასეთივე მდგომარეობაში იქნება საკითხი ქუთაისის საკონსერვო ქარხნის, რომელნიც ამ სეზონზე ამუშავდება იქ, და იმუშავებს არა ნაკლები 200 მუშა-ხელისა.

ჩვენ კავშირის ც.-გ-ამ უნდა მიიღოს დაკვრითი ზომები.

ჟ. სურამელი.

შეაკეთეთ ეს „სასადილო."

ყველა სამქროებს აქვს თავიანთვის „სასადილო" ბინა, სადაც საუზმის დროს შავი მუშები თავს იყრიან და საუზმობენ. ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენილია სახარატო და გოგორ-სახარატო სამქროები, სადაც არა ნაკლებ 1000 შავ-მუშაზე მუშაობენ. ამითთვის აგებული „სასადილო" უფრო ადრე საქონლის შესადენ თავლას მოგვაგონებს, ვიდრე მუშათა სასადილოს. კარები მას არ უვარგა, დახურულია ფიცრულით როგორც წინა, აგრეთვე უკანა კედლები სანახევროდ ღიაა და ქარი თავისუფლად დაფარფაშობს. თუმცა ღუმელი სდგას, მაგრამ არავითარი სითბო არ არის. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ამის გამო მუშები ავად გამხდარან.

ამის შეკეთებას ბევრი არ დასჭირდება, მხოლოდ ერთნაირი მოწადინეობაა საჭირო. ეს უნდა იკისროს თვით შრომის ინსპექციამ.

მუშკორი ძია ლევანი.

მიაქციეთ ყურადღება!

(შავი ზღვის რკინისგზის სამმართვ. საყურადღებოთ).

ხეთიდან ქ. ახალსენაკში მოდის მატარებელი იმ დროს, როდესაც თბილისის მატარებელი უკვე წამოსულია, ხეთაში ბილეთ აღებული ხალხი იძულებულია სენაკში დარჩეს და აქ გაათიოს მთელი ღამე და უცადოს მეორე მატარებელს საღამოს 7 საათამდი. ეს კი მეტად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს მათ.

ეს დაუშვებელი მოვლენაა! თუ ხეთამდის მატარებელი დადის, ეს უნდა ეთანხმებოდეს საერთო მიმოსვლას, რომ მუშა-მგზავრი არ დაზარალდეს.

საჭიროა მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება, რომ სად. ხეთიდან წამოსული მატარებელი სენაკში მოსულ სხვა მატარებლებს ეთანხმებოდეს! ეს აუცილებლად საჭიროა.

მუშკორი ურო.

ვის ემსახურება დიდუბის „ზაკტპო"-ს დუქანი?!

ძალაუნებურად იბადება ესეთი შეკითხვა, თუ ვის ემსახურება დიდუბის „ზაკტპო"-ს დუქანი? რადგანაც მუშა-მასისათვის ხელმიუწდომელია აქ რაიმე ფართლეულობის შეძენა, რადგანაც 4 საათის შემდეგ ფართლეულობის განყოფილება იხურება. მუშა-მოსამსახურეები კი თავიანთი მუშაობიდან თავისუფლდებიან მხოლოდ არა ადრე 3—3 ნახ. საათზე, და ასე ამნაირად, ვისაც რაიმე დასჭირდება ფართლეულობის მხრივ, იძულებულნი არიან გასწიონ 2—3 ვერსის მანძილზე როგორც მაგალითად კიროჩნი ქუჩაზე ან და რუსთაველის პროსპექტზე.

ამ უხერხულობას ზედ ემატება საგულისხმო უსიამოვნება იმაზე, რომ ამ დუქანში ჩამოუყრიათ მხოლოდ დაბრაკული ჩითეულობა და ერთი ნაჭერიც ხეირიანი რამეს აქ ვერ იშოვნი, რაც შეეხება სასურსათოს საკითხს, ესეც კოჭლობს. აქ ჰყიდიან ყოვლად უვარგისს ხორცს. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და თუ ეს კოოპერატივი ემსახურება მუშათა მასსას, უნდა იქნეს გაგრძელებული საღმოს 8 საათამდე მაინც ვაჭრობა, და მასთან აუცილებლათ უნდა გააუმჯობესონ ფართლეულობის ხარისხი. აგრეთვე ხორციც.

მუშკორი **ლიაპისი.**

ერთგულ მუშაკის დაუმსახურებელ დასჯას ადგილი არ უნდა ჰქონდეს

სასწორივით და მისხლობამდის სისწორე სამართლიანობის დაცვა ისეთ დაწესებულებაში, სადაც რამოდენიმე ათეული ათასი მოსამსახურეა ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არც ისეთ აშკარა უსამართლობას უნდა ჰქონდეს ადგილი; რომლის შესახებ ქვევით მინდა ვილაპარაკო. ძველი გამოცდილი, ტრანსპორტის ერთგული მოსამსახურე, სილოვან სამსონია 1921 წ. გასაბჭოების თანავე, მისგან გაწეულ დაუზოგავი შრომისა და ერთგულების მიხედვით, უბნის რევიზორობიდან გადაყვანილ იქნა მეორე განყოფილების უფროსის თანაშემწედ და მის ალაგას კი გადმორიცხეს თბილისის სადგ. უფროსის თანაშემწე ვ. ნ.

1923 წელში, განყოფილების უფროსის ერთი თანაშემწის შემცირების დროს, თუ სხვა გამოსავალი არ იყო, ჩვენი აზრით, ამხ. სამსონია და აგრეთვე ისიც, ვინც მისი ალაგი დაიჭირა, დაქვეითებულ იყვნენ თავთავიანთ ძველ თანამდებობებზე, ე. ი. სამსონია—უბნის რევიზორად და მისი შემცვლელი—თბილისის დ. ს. პ-თ. მაგრამ რადაც, ჩვენდა გაუგებარი მიზეზით, მაშინდელი მოძრაობის უფროსი აგრე არ მოიქცა. მან სამსონია ჩამოაქვეითა სათადარიგო აგენტად, ე. ი. იმ თანამდებობაზე რომელზედაც ის 20 წლის წინედ იყო და მისი შემცვლელი ვ ნ. კი ამ ახალ თანამდებობაზე დასტოვა. ეს იყო ამხ. სამსონიას წინააღმდეგ ჩადენილი პირველი აშკარა უსამართლობა.

ასეთივე მიზეზით, ე. ი. შტატის შემცირების გამო ჩამოყენებულ იქნენ სათადარიგო რევიზორებად ყოფილი დ. ი. მოქ. იოსელიანი და დვ—ახვლედიანი. მაგრამ შემდეგ ეს თანამდებობა—სათადარიგო რევიზორისა გაუქმებულ იქნა და მოქ. იოსელიანი და ახვლედიანი გადარიცხულ იქნენ სათადარიგო აგენტებად, ისე, როგორც მოქ. სამსონია, მაგრამ მათ ეს თანამდებობა არ მიიღეს, აღძრეს საჩივარი და დატოვებულ იქნენ სათადარიგო რევიზორებად, ანუ ისეთ თანამდებობაზე, რომელიც უკვე დიდი ხანია გაუქმებულია.

მას შემდეგ დღემდის, მოქ. ახვლედიანს და იოსელიანს არავითარი მატერიალური დანაკლისი არ ქონიათ. პირიქით, წინანდელზე მეტსაც მუშაობდენ, ფულს მეტს იღებდნენ.

ამ დროს კი მოქ. სამსონია წინანდელზე სამჯერ ნაკლებს იღებდა და იღებს.

ეს მეორე უსამართლობა სამსონიას წინააღმდეგ.

ამასთან ჩვენს განკარგულებაშია საბუთები და მასალები, რომლებიც ამტკიცებენ მოქ. სამსონიას გამოცდილებას ტრანსპორტისადმი სიყვარულს, დიდი ხნის ერთგულ სამსახურს (1893 წლიდან) და იმასაც, რომ ადმინისტრაცია კმაყოფილია მისი სამსახურით. ყველა ამაების შემდეგ. ჩვენთვის გასაკვირია შემდეგი: რითი ხელმძღვანელობდა 1923 წელში ადმინისტრაცია, როდესაც მოქ. სამსონია განყოფილების უფროსის თანაშემწის ადგილიდან სათადარიგო ქმედით ჩამოაყენა და საშინაო ალაგზე გადაყვანილი, შედარებით ნაკლები სტაჟით და ხნოვანებით ვ. ნ. უბნის რევიზორათ დასტოვა?!.

მეორე, თუ მოქ. ახვლედიანის და იოსელიანის არ არსებული—სათადარიგო რევიზორის თანამდებობაზე ყოფნა კი შეიძლებოდა, რა დააშავა მოქ. სამსონიამ? ისიც ხომ ისეთი უფლებისა და ხარისხის იყო?

მუშკორი **მ. ს. მ—ლია.**

ქობულეთის სანატორიუმი

ქობულეთის სანატორიუმში საზამთრო სეზონი, კარგი ხანია, გაიხსნა. უკვე მეორე რიგი ავადმყოფებისა ჩამოვიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. ჯერჯერობით სულ 40-მდე ავადმყოფია. საინტერესო სანახავია, დილის ცხრა საათზე, სასადილოს დარბაზი, სადაც ჩამწკრივებულია მძიმე შრომისგან დაღლილ-დაქანცული და ჰლექის სენით დაავადმყოფებული მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც მადიანათ შეექცევიან მზა-მზარეულ საუზმეს, იქ, სადაც წინეთ აღვირ-ახსნილი ბეგები და რუსის შავი გენერლები განცხრომაში ატარებდენ ფუქსავატ ცხოვრებას, იქ სადაც მუშასა და გლეხს, გზათ-გავლისათვისაც კი აჯარიმებდენ და მათრახებით უმასპინძლდებოდენ, დღეს თავიანთ სამუშაო კოსტიუმებში, ღარიბად, მაგრამ სუფთად, არხეინად შემოჯდომიან საერთო სუფრას და ბეგ-გენერლების ხრო-სასახლეებში ჰლექის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებენ.

გამშვენიერებულია სანატორიუმი, მაგრამ საჭიროებს შეკეთებას.

საკმაოა, მომვლელ-საექიმო პერსონალთა რიცხვი. კვება და საექიმო დახმარება ნორმალურია.

ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ: „მტკიცდება საბჭოთა ხელისუფლება; მტკიცდება და ურყევი მისი ნებისყოფა მუშათა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში".

ავადმყოფი პ ჩხიკვაძე.

მუშათა ქრონიკა

— **კრების მოწვევა.** რკ. გზის უბკავშირში მოწვეულია პროფაქტივის გაფართოებული კრება, ამ კრებაზე ამხ. უსტიევი გააკეთებს მოხსენებას სატარიფო თათბირის შედეგებზე.

— **მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.** რკ. გზის უბკავშირის პრეზიდიუმის „დორპროფობრის" გამგის მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად.

— **კურსების გახსნის დროს.** რკ. გზის უბკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა იქნეს ხედველობაში მიღებული მოთხოვა მუშათა ძალისა უბანში.

— **კვალიფიკაციის გაფართოება.** უმუშევრობის შემცირების მიზნით რკ. გზის უბკავშირში მიღებულია ზომები კვალიფიკაციის გაფართოებისათვის.

— **კურსებზე მიღების წესი.** ყველა იმ კურსანტებს, რომლებიც მიღებული იქნებიან რომელიმე კურსებზე, სავალდებულოა ჰქონდეთ რკ. გზის უბკავშირის და ადგილკომების სათანადო მოწმობები.

— **ლექტორის შესახებ.** რკ. გზის უბკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა მიექცეს ყურადღება, რომ ლექტორები იქნენ გამოყოფილი მაღალი კვალიფიკაციის აგენტებიდან.

— **კურსების გახსნა.** ვინაიდან რკ. გზის უბკავშირში დიდი მოთხოვნილებაა კვალიფიკაციურ სტატისტიკებისა, პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო გახსნას სტატისტიკური კურსები.

— **განმეორება.** წარმოების აწევის მიზნით, მოძრაობის დარგის და წევის აგენტებისთვის რკ. გზის უბკავშირში გაიხსნება განმეორებითი კურსები.

— **შეგირდთა ბრიგადის მოწყობა.** რკ. გზის უბკავშირის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ნავთ-სადგურის და ლიანდაგის დარგებთან მოეწყოს შეგირდთა ბრიგადა.

— **შეგირდთა ბრიგადის** მომზადების დროს უნდა იქნეს რკ. გზის წარმოებიდან კვალიფიკაციური ძალების მოთხოვნილება.

— **იარაღების მიწოდება.** რკ. გზის უბკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა ყველა შეგირდებს თავის დროზე მიეცეთ საჭირო შესასწავლო ხელსაწყო იარაღები.

— **აღრიცხვა.** რკ. გზის უბკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა მოხდეს ყველა შეგირდების აღრიცხვა და ცნობა წარმოდგენილი იქნეს უბკავშირში.

— **შენობის შეკეთება.** რკ. გზის უბკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა საჩქაროდ შეკეთდეს მთავარი სახლის ყოფილი სამღებრო ამქრის შენობა.

მზადება საკავშირო აღწერისათვის

უკანასკნელ სტატისტიკურ ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, ამიერ-კავკასიის მომავალი აღწერის ძირითადი ბლანკები დაიბეჭდება ორ ენაზე—საერთო საკავშირო და ადგილობრივ რესპუბლიკურ ენაზე.

ამასთანავე საკავშირო რესპუბლიკების სამმართველოებს უფლება ეძლევათ მეორე ენათ აირჩიონ ისეთი ენა, რომელზედაც რეგისტრატორებს შეუძლიათ ნათლად და გასაგებათ ჩამოწერონ მოსახლეობის პასუხი.

სასოფლო-სამეურნეო აღწერა ამიერ-კავკასიაში ჩატარებულ იქნება მიმდინარე წლის 15 ივლისიდან პირველ ოქტომბრამდე.

მოსახლეობის აღწერა ამიერ-კავკასიაში, ისე როგორც მთელ კავშირში, დაიწყება მიმდინარე წლის დეკემბერში. რაც შეეხება საქართველოს, სვანეთის და ხევსურეთის მოსახლეობის აღწერა მოხდება სასოფლო-სამეურნეო აღწერასთან ერთად.

წვრილ საწარმოო დაწესებულებების და შინა მრეწველობის აღწერასთან ერთად მსხვილ სამრეწველო წარმოებების აღწერა მოხდება მომავალი წლის 1 ოქტომბრიდან 1 თებერვლამდე პროფესიონალურ აღწერასთან ერთად, სავაჭრო და კოოპერატიული აღწერა სოფლად მოხდება ქალაქის მოსახლეობის აღწერასთან ერთად და მის შემდეგ.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩასატარებლათ გახსნილ იქნება ორი კვირის სპეციალური კურსები, რომლებზედაც იმუშავებენ სასოფლო-სამეურნეო დარგის სტუდენტები.

ამ ჟამად ცენტრში სწარმოებს სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის საბიუჯეტო ცნობების და მასალების დამუშავება, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რომელი სისტემა სჯობია გლეხობის კლასიური აგებულების გამოსარკვევად და რომელი უფრო ადვილად განსახორციელებელია პრაქტიკულად.

სასკოლო თათბირი

ამიერ-კავკასიის სასკოლო თათბირი დამთავრდა. თათბირმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებათა დღის წესრიგში დასმულ საკითხების გამო.

იმ მოხსენების გამო, რომელიც სახალხო განათლების სისტემას შეეხებოდა, თათბირმა დაადგინა: მახლობელი წლების განმავლობაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები მოფენილ იქნეს სასკოლო აღზრდის დაწესებულებათა ქსელით, გაფართოებულ იქნეს მახლობელ 10 წლის განმავლობაში 4—5 წლედების ქსელი ისე, რომ პირველდაწყებითი სწავლება ამიერ-კავკასიაში საყოველთაო და სავალდებულო იქნეს. შემდეგ თათბირმა დაადგინა, რომ სახალხო განათლების მთელი სისტემა ამიერკავკასიაში უნდა ემყარებოდეს სასოფლო მეურნეობის ბაზისს; საქალაქო 1-ლ საფეხურის სკოლები უნდა ემყარებოდენ კომუნალურ მეურნეობის ცოდნას, ყველა შვიდწლედები, რომელნიც არსებობენ სასოფლო-სამეურნეო შრომის პირობებში, მახლობელ წლებში გადაკეთებული უნდა იქნენ გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებად. მეორე საფეხურის სკოლებში პროფცოდნის შეთვისებას დაახლოვებით უნდა ხმარდებოდეს სამოსწავლო დროს 30 პროცენტი. ამიერ-კავკასიის პირობების მიხედვით, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებთან უნდა მოეწყოს საქარხნო შეგირდობის სკოლების ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლები.

პროფტეხნიკურ განათლების შესახებ თათბირმა დაადგინა დაარსდეს კომისია, რომელიც გადასინჯავს არსებულ ტეხნიკუმებს იმ მიზნით, რომ ისინი უფრო შეფარდებულ იქნენ მრეწველობის რეალურ მოთხოვნილებებთან, გაუმჯობესებულ იქნეს პროფტეხნიკურ კურსების მეცადინეობა, შემცირებულ იქნეს სწავლების ვადა საქარხნო შეგირდობის სასწავლებლებში, უკეთესად იქნენ მოწყობილნი, ჩაბმულ იქნენ გლეხობის ფართო წრეები რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო სკოლების აღმშენებლობაში.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

საბინაო მშენებლობის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად შეუდგა საბინაო მშენებლობის გამოკვლევას, პირველ რიგში თბილისში.

გამოკვლევა მიზნად ისახავს:

1) რესპუბლიკის ქალაქებში ბინების ნაკლებობას გამორკვევას; 2) ახლად აგებულ და შეკეთებულ ბინების რაოდენობის და ღირსების გამორკვევას, 3) მშენებლობის შემდგომი გაფართოების გეგმების შემუშავება და 4) იმ ღონისძიებათა დასახვა, რომელიც ხელს შეუწყობს მშენებლობის გაფართოებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა იმ საალმშენებლო საშუალებების გამორკვევას, რომელიც მოიპოვება ოთხ მთავარ ორგანიზაციას, სახელდობრ: კომუნალურ მეურნეობას, მუშათა საბინაო კოოპერაციას, ტრანსპორტს და სახელმწიფო მრეწველობას.

მუშათა საბინაო საალმშენებლო კოოპერაციის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამორკვევას, თუ რანაირად არიან ჩაბმული კოოპერაციის წევრები, როგორც აღმშენებლობის პროცესში, ისე კრედიტის პირობების შესრულებაში.

ყურადღება მიექცევა აგრეთვე შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტის მუშაობას, რომელიც აწესრიგებს საბინაო აღმშენებლობის ფონდების განაწილებას რესპუბლიკანური მასშტაბით.

ეს გამოკვლევა დაკავშირებულია მეორე ამდენათვე მნიშვნელოვან გამოკვლევასთან, რომელიც შეეხება საბინაო აღმშენებლობის მომარაგებას საალმშენებლო მასალებით.

კომისარიატის ახალი სტრუქტურა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ მიიღო სახ. კომისარიატის ახალი სტრუქტურა. ამ სტრუქტურის თანახმად, ეკონომ-ინსპექცია, როგორც ეს უკვე მოხდა ცენტრში, გაუქმებულია. მის შემადგენლობაში შემავალი სექციები (საფინანსო, სავაჭრო, მრეწველობის, შრომის და სასოფლო-სამეურნეო) დატოვებული არიან დამოუკიდებელ განყოფილებათა უფლებებით, კოლეგიის წევრთა ხელმძღვანელობის ქვეშ. გაუქმებულია აგრეთვე საჩივართა ცენტრალური ბიუროც, რომლის ფუნქციები გადაეცა გეგმის გარეშე ინსპექციას. ამასთანავე მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე დასმულ ამოცანებთან დაკავშირებით, კოლეგიამ საჭიროთ სცნო გაძლიერებული იქნას საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება, რომელმაც ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის და რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატების და აგრეთვე საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა.

ამასთან ერთად კოლეგიამ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ პრესაში ინფორმაციის მისაწოდებლად, მოაწყო საინფორმაციო-პრესბიურო, რომელმაც ყოველმხრივ უნდა გააშუქოს პრესაში მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა.

სოციალურ უზრუნველყოფის საქმის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია მიმდინარე თვეში შეუდგება სოციალური უზრუნველყოფის საქმის მდგომარეობის გამოკვლევას.

გამოკვლევამ უნდა შეისწავლოს თუ რა მდგომარეობაშია ამიერ-კავკასიის მშრომელთა დაზღვევა ინვალიდობის და მოხუცებულობის დროს, როგორ არის ის დაყენებული სოც. დაზღვევის სამმართველოებში, სოც. უზრუნველყოფის კომისარიატებში და ურთი-ერთ დახმარების საზოგადოებებში. გამოკვლევაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ გამოსაკვლევ ორგანოების წარმომადგენლები. გამოკვლევის ობიექტებათ დასახული არიან ამიერ-კავკასიის სოც. დაზღვევის მთავარი სამმართველო, სოც. დაზღვევის სამმართველოები რესპუბლიკებში, რესპუბლიკების სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატები, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატები და განათლების სახ. კომისარიატები და სოც. დაზღვევის სამმართველოს სამაზრო კასები, სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის სამაზრო ინსპექციები, გლეხთა ურთიერთ დახმარების ცენტრალური კომიტეტები, სამაზრო სათემო, სადაირო, საუბნო და სასოფლო გლეხკომები, ინვალიდთა კოოპერაცია და სხვ. გამოკვლევაში მონაწილეობენ რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციები ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით. გამოკვლევის დამთავრების და ყველა მასალების საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში წარდგენის ვადათ დაწესებულია 1926 წლის 1 აგვისტო.

ზაჰესზე

რა არის გაკეთებული 15 თებერვლისათვის

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ზემოავჭალის საამშენებლო მუშაობის უფროსმა განაცხადა:

15 თებერვლისათვის უკვე დამთავრდა ზაჰესის საგუბარის მთავარი ნაწილის დატინობება. დარჩა გასაკეთებელი საგუბარზე გასასვლელ ხიდების ტინებით მოგება. რაც შეეხება საგუბარის მექანიკური მოწყობილების მონტაჟს, უკვე ჩადგმულია ფარებისა და შანდორების საძირკვლები. ფარები უკვე მიტანილია სამუშაო ადგილზე.

ლენინგრადში ამ მოკლე ხანში დამთავრდება ჰიდრაულური იარაღების დამზადება.

სრულიად დასრულებულია საგუბარის კეთება განათხარში. აწყობილია და ჩაშვებული ფარები.

ამ მოკლე ხანში დამთავრდება საამშენებლო მუშაობა წყლის მიმღებში და სათავე შლიუზებში. სათავე შლიუზების იარაღები უკვე გამოგზავნილია ლენინგრადიდან. სრულებით დასრულებულია აგრეთვე მილების გაყვანა არხს ქვეშ. დასრულებულია რკინის გზის ვიადუკის სატინობო სამუშაო. შესრულებულია ყველა სამუშაო საგენერატორო სადგურის ასაგებად. ჩადგმულია საძირკველი, წყლის შემკრეფი მილები, სპირალის კამერები და სხ. ასაგებია საგენერატორო შენობის სადგურის კედლები. ელექტრო-მექანიკური მოწყობილობანი—4 ტურბინი და ერთი გენერატორი მიტანილია ადგილზე. დანარჩენიც უკვე გამოგზავნილია. თითქმის დასრულებული არის გამწესრიგებელ შენობათა აგება, მათი დამთავრებისთვის საჭიროა ორი თვე. ყველგან ამართულია საჰაერო ხაზის სვეტები. გაყვანილია აგრეთვე მიწის ქვეშა ქსელი. თითქმის დასრულებულია ქვე-სადგურები: მთავარი, დიდუბის, ავლაბრის და ნაძალადევის. სადგურების სავსებით დამთავრებასა და საბოლოო მოწყობას დასჭირდება სამი თვე. უკვე დაიწყო დიდუბის ქვე-სადგურის მონტაჟი, საჭირო იარაღები და მოწყობილება მიღებულია.

ამგვარად შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ გამომუშავებული გეგმა თანდათან სრულდება და უნდა ვიფიქროთ, რომ ა. წ. მაისისათვის დამთავრდება ყველა საამშენებლო სამუშაოები, ხოლო აგვისტოში კი ამუშავებული იქნება სადგურის პირველი აგრეგატი.

ავიაქიმში

ავიოქიმიის მონაწილეობა სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე

მარტის შუა რიცხვებში დიდუბეში გაიხსნება ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ უცხოეთის მრავალი ფირმები, თავიანთი სასოფლო-სამეურნეო იარაღ - მანქანების გამოფენით.

საქართველოს ავიოქიმის საზ-ბამ გადასწყვიტა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ამ გამოფენაზე. ავიოქიმის საზ-ბა გამოფენაზე მოაწყობს მიწის ნაკვეთის საცდელ-საჩვენებელ დამუშავებას. აღნიშნულ ნაკვეთებზე ნაჩვენები იქნება, თუ ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთს რამდენი სხვადასხვა მოსავლის მოცემა შეუძლია, თუ მას კარგათ მოუვლიან. გარდა ამისა ავიოქიმი მოახდენს ნიადაგის ხელოვნურათ განოყიერების ცდებს შემდეგ მიწის ნაკვეთის ერთ ნაწილზე ხელოვნურათ მოაშენებენ მოსავლის მავნებლებს (თაგვებს, მატლს და სხ.) რომლებთანაც ავიოქიმი მოაწყობს საჩვენებელ ბრძოლას ჩამოსულ გლეხების თანადასწრებით. ბრძოლის დროს გამოყენებული იქნება ჰაეროპლანი და სხვა ქიმიური საშუალებანი.

თავის პავილიონში ავიოქიმს მოწყობილი ექნება განსაკუთრებული დარბაზი, სადაც ჩამოსულ გლეხებისათვის გაიმართება ლექცია-საუბრები სასოფლო - მეურნეობის შესახებ და იქვე მოეწყობა განმარტებებით სასოფლო-სამეურნეო იარაღების ჩვენება. ექსკურსანტ გლეხებს უკან დაბრუნებისას დაურიგებენ ბროშურებს სასოფლო-მეურნეობაზე.

გამოფენაზე ჰაეროპლანებით მოეწყობა გლეხების გაფრენა. ამავე მიზნით მოსკოვიდან გამოწერილია სფერიული აეროსტატი (საჰაერო ბუშტი).

ავიოქიმი გარდა ამისა კინო ლენტზე გადაიღებს გამოფენის მთელ სურათს და გამოფენაზე წარმოებულ ცდებს ცალ-ცალკე.

წითელ ჯვარში

პრეზიდიუმის არჩევა

წითელ ჯვარის ახალ ც. კ. პლენალურ სხდომაზე არჩეულ იქნა საზოგადოების პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში ერთხმად იქნა არჩეული ძველი პრეზიდიუმის შემადგენლობა: ექ. კიკალეიშვილი, (თავმჯდომარე), ნუცუბიძე (მოადგილე) და ივ. ქუთათელაძე (წევრი).

ახალი საექიმო პუნქტები

საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდიუმი შეუდგა ახალ საექიმო პუნქტების მოწყობას შემდეგ ადგილებში: უდე (ახალციხის მაზრა), ანაკლია (ზუგდიდის მაზრა) და ახალი გავაზი (სიღნაღის მაზრა).

სანიტარულ - სამეცნიერო საბჭო

საქართ. წითელი ჯვარის საზოგადოებასთან დაარსდა სანიტარულ-სამეცნიერო საბჭო.

სანიტარული განათლება

სანიტარული განათლების ხალხში გავრცელების მიზნით, საქ. წითელი ჯვრის ყველა საექიმო პუნქტების გამგე — ექიმებმა უნდა აწარმოონ გლეხთა შორის საუბრები და ლექციების კითხვა სოციალურ და გადამდებ სნეულებათა შესახებ. ამისათვის თვითეულ საექიმო პუნქტს მასალად ეგზავნება ექვსი ქართულ-რუსული ჟურნალი და ბუნდოვანი სურათები.

კავშირი საერთაშორისო კომიტეტთან

საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტმა თავის 1926 წლის ცნობათა წიგნში, რომელშიც მოთავსებულია იურიდიულად ცნობილი წითელ ჯვართა საზოგადოებანი, შეიტანა საქართველოს წითელი ჯვრის შემადგენლობა.

ოჩამჩირის სამალარიო სადგურისათვის

ოჩემჩირის სამალარიო სადგურის შენობის შესაკეთებლად საქ. წითელმა ჯვარმა გაიღო განსაკუთრებული თანხა.

აჭარის წყლის საექიმო პუნქტი

აჭარისტანის წითელი მთავრის აჭარის წყლის საექიმო პუნქტი აიყვანა თავის ხარჯზე საქართველოს წითელმა ჯვარმა.

დახმარება ჭლექიან ბავშებს

საქართველოს წითელი ჯვარი ამუშავებს პროექტს, სამხრეთ ოსეთში ტუბერკულიოზიან ბავშთა დახმარების შესახებ.

ქრონიკა

მისალმების დეპეშა ამიერ-კავკასიის სახკომისართა საბჭოს

ამიერ.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო ესალმება ამიერ-კავკასიის მთავრობას საქართველოში 3 ახალ ბამბის ქარხნის გახსნის გამო და უსურვებს მებამბეობის საქმის შემდგომ განვითარებას იმავე წარმატებით.

ძერჟინსკი.

ალმასკომში

— **საქართველოს გასაბჭოების** 5 წლის დღესასწაულის ჩასატარებლად თბ. ალმასკომმა გადასდო 3000 მან.

— **წარმოკავშირს** ნაწლავების ქარხნის საიჯარო ქირაში ალმასკომმა მისცა 25 პროც. შეღავათი.

— **გლეხების გადასახლება.** თბ. ალმასკომმა დაადგინა სოფ. კლეისში ახლად დასახლებული გლეხები გადაასახლოს უფრო კარგ საცხოვრებელ ადგილზე და ამ მიზნით გაიღოს საჭირო თანხა.

— **შრომის ბირჟაში** ალმასკომის წარმომადგენლათ დაინიშნა ამხ. ბროუნი.

— **სასოფლო-სამ. გადასახადი.** თბ. მაზრაში 1 თებერვლამდე აკრეფილ იქნა 127,273 მან. სასოფლო-სამ. გადასახადის სახით.

სახალხო ჯანმრთელობა

— **ქინაქინის მიღება.** ჯანსახკომმა საზღვარგარეთიდან მიიღო 150 კილო ქინაქინა.

— **მალარიასთან ბრძოლის** მიზნით სოხუმში გაიხსნა სამალარიო პუნქტები.

სხვადასხვა

— **შრომის დაცვა.** შრომის სახ. კომისარიატმა დაავალა შრომის დაცვის განყოფილებას თვეში ერთხელ მოახდინოს ზუგდიდის მაზრის წარმოება-დაწესებულებების გამოკვლევა.

— **ტრაქტორების კურსები.** ბათომში ინდუსტრიალურ ტექნიკუმთან გაიხსნა ტრაქტორზე მომუშავეთა კურსები, სადაც ისწავლის 20 კაცი.

— **ბზის დამზადება.** აფხაზეთის უმ. სამ. საბჭო ახლო ხანში შეუდგება საკავშირო საფეიქრო სინდიკატისათვის ბზის დამზადების საქმეს.

— **ეტლები.** ამ ჟამად თბილისში მუშაობს 321 ეტლი.

— **შაქარი.** მიმდინარე წელს ამიერ-კავკასია შაქრის ტრესტიდან მიიღებს 1900 ვაგონ შაქარს.

— **სრულიად საქართველოს ტყეების სპეციალისტთა ყრილობა.** კურორტთა სამმართველოში 17 ამა თებერვალს შესდგება სრულიად საქართველოს საკურორტო ტყეების სპეციალისტთა ყრილობა.

— **სასკოლო ფერშლების გამოცდები.** სასკოლო ფერშლების გამოცდები მედტექნიკუმში დანიშნულია ამა წლის 5 მაისს.

კრებები და მოხსენებები

— **ექიმთა კრება.** ოთხშაბათს, 17 თებერვალს, საღამოს 7 ნახ. საათზე ჯანსახკომის სანგანათლების თეატრის დარბაზში მოწვეულია ქ. თბილისის ექიმთა საერთო საქალაქო კრება. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება საუბნო ექიმთა საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ. 2. ექ. სექციის ცენტრალურ ბიუროს წლიურ მუშაობის გეგმის გარჩევა. 3. მიმდინარე საქმეები.

— **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 18 თებერვალს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების მორიგი კრება.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** შაბათს, 20 თებერვალს საღამოს 7 ს. საქართვ. მუზეუმის აუდიტორიუმში, შესდგება წლიური კრება. კრების საგანი: 1) ალ. ბარამიძის მოხსენება: „ამირან-დარეჯანიანის შემადგენლობა“ და 2) საერთო წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედების 1925 წ. კრება საჯაროა.

— **სასკოლაო მუშების კრება.** ოთხშაბათს, 17 თებერვალს, დღის 4 საათზე სად. ნავთლუღში ორახელაშვილის სახელობის კლუბში შესდგება სადგ. ნავთლუღის და ქალაქის სასკოლაოების მუშა-მოსამსახურეების კრება. კრებაზე ა. ხელაძე წაიკითხავს მოხსენებას — „ემიგრაციის მდგომარეობა საზღვარგარეთ“. ხლაპარაკებენ აგრეთვე საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ემიგრანტები — კახუხაშვილი, გოგინაშვილი, დევდარიანი და სხვ.

შემთხვევები

— **გაუპატიურება.** 15 თებერ. შეიპყრეს ჯავახეთის ქ. № 44 მცხოვ. გიორგი გიორგიევი თავის გერის 13 წლის ქალის გაუპატიურებისათვის.

— **დაჭრა.** 15 თებ. დუმბაძის ქ. № 18 მცხოვრ. ქალაქის კომენდანტის ადიუტანტმა გრიგოლ ვერთანოვმა თავის მოკვლის მიზნით თავი დაიჭრა რევოლვერით. მიზეზი გამოურკვეველია.

— **მკვლელობა.** სოფ. ერთობაში (ყარაიაზის თემი) 14 თებერვალს პუშკაროვის ოჯახში უცნობი პირის მიერ თოფით მოკლული იქნა ანდრია რომანოვსკი.

— **ქალის მოტაცებისათვის.** შეიპყრეს მამედ ოღლი და მამედ ოღლი, სოფ. ვალდოს (გომბორის თემი) მახლობლად მცირე წლოვანი ქალის გატაცებისათვის.

— **ქურდობა.** 15 თებ. კამოს ქ. № 80 გაქურდეს, კაუშუტ პოლოსოვის ბინა.

— ამავე დღეს ვერცხლის ქ. № 20 გაქურდეს ალექსანდრე შარაშენიძის ბინა. წაიღეს 100 მან. ნივთები.

— 12 თებ. ვარდისუბნის ქ. № 17 ნადია ბაღჩალოვის ბინიდან მოიპარეს 150 მ. ნივთები.

ხელოვნების ქრონიკა

— ს. მიგაი დღეს იმღერებს ოპერა „ევგენი ონეგინ“-ში.

— „**პარიზი**“. დღეს რუსთაველის თეატრში სომხური აკადემიური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „პარიზი“.

— **კონსერვატორიის** დარბაზში დღეს გაიმართება კუკის სამუსიკო სასწავლებლის მე-12 საჩვენებელი საღამო.

— **ეგონ პეტრის გასტროლი.** შაბათს, 20 თებერვალს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ეგონ პეტრის პირველი კონცერტი.

— **ნინო ჩხეიძის გასტროლები.** ქუთაისში ბათომიდან საგასტროლოდ ჩავიდა სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე.

— **წითელ თეატრში** წარმოსადგენათ მზადდება „ვინ არის დამნაშავე“. დადგმა წუწუნავასი.

„ვინ არის დამნაშავე“-ს გმირების გასამართლება გაიმართება ახლო ხანში ქუთაისში.

— **პიესა „მეამბოხე“.** იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდათ კარლო კალაძის პიესა „მეამბოხე“ (ტრაგედია.)

— **მნათობის გამომცემლობა.** იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდათ ა. მაშაშვილის, კარლო კალაძის და კონსტანტინე ლორთქიფანიძის ლექსების წიგნები. ჟურნალ „მნათობის“ გამოცემა.

დღეს კინოებში

— არფასტო, სოლეი „ნიბელუნგები“.

— აპოლლო—„ოცნების სამყაროში“.

საბჭოთა სასამართლო

„შოკოლადის“ მოყვარული

ზ. ერეფეევა ჩვეულებრივ მოგვიანებით ბრუნდებოდა თავის ბინაზე, რომელიც გასავლელ ოთახს წარმოადგენდა და ამიტომ ყოველთვის ღია რჩებოდა.

შემოდგა თუ არა ფეხი ოთახში, სადაც უკვე ნახევრად ბნელოდა, ერეფეევამ შენიშნა კაცი, რომელსაც ცალი ხელით ჩემოდანის სახურავი სჭერია, მეორეთი კი რაღაცას ხან ჯიბეში და ხან პირში იდებდა.

— ვინა ხართ?

— მე, თქვენი მეზობელი, აქ რაღაც...

— კარგი მეზობელი შენა ხარ, შე არამზადავ! რა გინდოდა ჩემოდანში.

— ვითომ რაო!

— ჯიბეში რა ჩაიწყვე!

— არაფერი, რაღაც პირი წამიხდა... ცოტა შოკოლადი იმასვქენი... რა ტკბილი ყოფილა!

გაცხარებულ ერეფეევას შოკოლადი გაავიწყდა, გასინჯა საფულე, სადღაა მისი 21 მანეთი...

შეიპყრეს შოკოლადზე გაწუწკებული ირაკლი ალექსანდრეს ძე თურქესტანიშვილი, ყოფილი აზნაური კეთილ ცხოვრებას და შოკოლადს გადაჩვეული, მაგრამ ეხლა ქურდობას დაჩვეული.

სასამართლომ ირაკლის 1 თვით თავისუფლება აღუკვეთა.

ბრძოლა ხანძართან

თბილისის ცეცხლის მქრობელი რაზმი

რაზმის ტეხნიკური მოწყობილობა.

თბილისის ცეცლისმქრობელ რაზმის განკარგულებაში იმყოფება ხანძართან ბრძოლისათვის საჭირო ყოველგვარი ხელსაწყოები. მათ შორის შვიდი ავტომობილი, რკინის ქვაბები, რომლებიც 780 ვედრო წყალს იტევენ. თითოეულ ავტომობილზე არის ყველა საჭირო და აუცილებელი ხელსაწყოები, ასე რომ, თითოეული მათგანი წარმოადგენს ხანძართან საბრძოლველ ერთეულს. 4 ავტომობილზე მოწყობილია წყალის ავტომატიური საქაჩავები. გარდა ამისა შესაფერად გადაკეთებულია ახლად მიღებული „ფიატი“-ს სისტემის ავტომობილი, რომელზედაც აგრეთვე მოწყობილია წყალის ავტო-საქაჩავი. (

ხანძრების დროს წყალს ღებულობენ სახანძრო ონკანებიდან, რომელთა რაოდენობა ქალაქში უდრის—805-ს და გარდა ამისა ქალაქში არის მიწის ქვეშა და მიწის ზევითა ონკანები (გიდრანტები), საიდანაც სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით ავსებენ ავტომობილის ქვაბებს.

უკანასკნელ თვეებში სახანძრო ონკანების რაოდენობა ქალაქში გაიზარდა და მომავალში განზრახულია მათი კიდევ უფრო გამრავლება.

რაზმს აქვს ყოველგვარი თავდასაცავი ხელსაწყობი ხანძარში მუშაობის დროს. მათ შორის აღსანიშნავია ტომარა, რომლის საშუალებით მე-5 მე-6 სართულებიდან შეიძლება უვნებლად დაეშვას ძირს კაცმა, თუ ცეცხლის გამო კიბით ჩამოსვლა შეუძლებელია.

სახანძრო განათლება

რაზმელები თავისუფალ დროს მეცადინეობენ კვალიფიკაციის ამაღლების და ცეცხლთან ბრძოლის ტეხნიკის შესწავლის მიზნით.

რაზმელების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სწარმოებს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა. პრაქტიკული მეცადინეობა გამოიხატება ლექციების კითხვაში და საუბრებში. პრაქტიკული კი მდგომარეობს დიდ ხანძრის ჩაქრობის შემდეგმის გარჩევაში და ხელსაწყოებთან გაცნობაში.

ცეცხლის ქრობის ტეხნიკის შესასწავლად მაზ. მივლინებული იყო პირები, რისთვისაც დაარსებული იყო 3 თვიანი კურსები, ეს პირები სათანადო გამოცდის შემდეგ დაუბრუნდენ ადგილებს იქ რაზმების და გუნდების მოსაწყობად.

კანალიზაციის საქმე თბილისში

ამ ჟამად თბილისში კანალიზაციის სამაგისტრალო ქსელის საერთო სიგრძე უდრის 136 ვერსს. ხოლო სახლებში გაყვანილ კანალიზაციის მილების სიგრძე — 284 ვერსს.

საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე კანალიზაციის გაყვანის საქმე უმთავრესად სწარმოებდა ქალაქის გარე უბნებში. ამ ხნის განმავლობაში გაყვანილი იქნა ქუჩის მაგისტრალი 6 ვერსის და 156 საჟენის სიგრძეზე. ხოლო სახლის კანალიზაციის მილები 3 ვერსისა და 281 საჟინის სიგრძეზე. ამ ჟამად კანალიზაცია გაყვანილია ქალაქის ორ მესამედზე, ხოლო უკანალიზაციოთ დარჩენილია ერთი მესამედი, ისიც გარე უბნებში.

თბ. ალმასკომის სანიტარულ - ტეხნიკური ქვე-განყოფილება თავის მორიგ ამოცანად ისახავს, გაიყვანოს კანალიზაცია ქალაქის გარე-უბნებში, რისთვისაც ამ ჟამად სწარმოებს საჭირო მასალების შესყიდვა და დამზადება, რამდენიმე დღის წინეთ ამ მიზნით უკვე მიღებული იქნა 6 ვაგონი ცემენტი და მილები. 1926 წლის გეგმით განზრახულია გაყვანილი იქნას კანალიზაცია პეტროვის უბანში. იმავე წლის განმავლობაში დამთავრებული იქნება კანალიზაციის გაყვანა ძველ ნაძალადევში, სადაც უკვე სწარმოებს მუშაობა. ნაძალადევში ქუჩის მაგისტრალი გაყვანილი იქნება 2 ვერსის სიგრძეზე.

სტატისტიკური ცნობების მიწოდების გასაადვილებლად

ა.-კავკასიის ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოსთან შესდგა თათბირი საქ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს, განათლების კომისარიატის, სტატისტიკურ და თბ. ალმასკომის სტატისტიკურ განყოფილებების წარმომადგენელთა მონაწილეობით, თათბირზე განხილული და გამომუშავებული იქნა პირვანდელი სტატისტიკური ცნობების შესაკრები ფურცლები განათლების დარგში. ფურცლები დაურიგდება შრომის სკოლებს, ტეხნიკუმებს, სალიკვიდაციო სკოლებს და სხ. წლიდან - წლამდე მასში საჭირო ცნობების შესატანად. ამ გზით დაინტერესებულ დაწესებულებებს, განსაკუთრებით სტატისტიკურ სამმართველოებს გაუადვილდებათ მათთვის საჭირო ცნობების მიღება და ამავე დროს თვით სასტატისტიკო ფურცლების შემვსები დაწესებულებანიც თავისუფლდება ზედმეტი მუშაობისაგან, რაც მას დღემდე უხდებოდა, დღეიდან დაინტერესებულ პირს ცნობები შეუძლია პირდაპირ გადმოიწეროს აღნიშნულ ფურცლებიდან.

ფიზიკური კულტურა

ფიზკულტურა ა.-კავკასიის საბჭოში

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის საბჭო განსაკუთრებით ემზადება აღმოსავლეთის სპორტიულ-სატანვარჯიშო დღესასწაულის („ოქტომბრიადის“) ჩასატარებლად ა. წ. 28 აპრილისათვის ბაქოში. ამ დღესასწაულზე ნაჩვენები იქნება ყველა მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ სპორტის და გიმნასტიკის დარგში; დღესასწაული ხელს შეუწყობს მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას უცხოეთის, განსაკუთრებით აღმოსავლეთის სპორტიულ ორგანიზაციებთან. უზბეკისტანი, თურქმენისტანი, ჩრდილო კავკასია, ერზრუმი (ოსმალეთი) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკები დიდი ინტერესით ეკიდებიან ამ დღესასწაულს, რასაც მოწმობს თბილისში მიღებული ცნობები. ერზრუმის სპორტიულმა ორგანიზაციებმა სურვილი გამოსთქვეს უახლოესი მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულში.

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის სამეცნიერო-ტეხნიკურ კომიტეტის მიერ შემუშავებულია დღესასწაულის პროგრამა. დღესასწაული დაყოფილია შემდეგ ნაწილებად: 1. საერთო სადემონსტრაციო გამოსვლები, 2. საგიტაციო-სანიმუშო, 3. გამოფენა, 4. შეჯიბრება.

დღესასწაული გაგრძელდება 5 დღე. 28 აპრილს, დღესასწაულის 1 დღეს ბაქოს ქუჩებში მოეწყობა დემონსტრაცია. აღმოსავლეთის ხალხთა სპორტსმენების დემონსტრაციის ლოზუნგი იქნება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და აღმოსავლეთის ჩაგრულო ხალხნო შეერთდით“. „გაუმარჯოს განთავისუფლებულ მონების კავშირს აღმოსავლეთის დაბეჩავებულ ხალხებთან“ და სხვ. საღამოს შესდგება ყველა ხალხთა წარმომადგენლების საზეიმო სხდომა.

მეორე დღეს სტადიონზე და ჰიპოდრომზე შესდგება თავისუფალი მოძრაობა შემდეგ თემაზე: „მონობა“ და „ბრძოლა“, ბურთის თამაში, სროლა მიზანში და სხვა.

შემდეგ დღეებში შეჯიბრება გაგრძელდება ყველა სტადიონებზე. თეატრში [illegible] აღმოსავლეთის ხალხთა [illegible] შეჯიბრება.

1 მაისს მოხდება ფინალური შეჯიბრება, გამოვა გაზეთი „აღმოსავლეთის სპორტი“, გაიმართება დემონსტრაციები.

2 მაისს სხვადასხვა სტადიონებზე და დარბაზებში შესდგება ინდივიდუალური შეჯიბრება: ბრძოლა, ჯირითი, სროლა მიზანში, მსუბუქი ატლეტიკა და სხვა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და სახელმწიფო საწარმოს

იმ მიზნით, რათა მართლმსაჯულების საქმეში ჩაიბას პროლეტერიატის ფართო მასსა, შემოღებულია დროებითი სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა სასამართლოში. სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი საჭიროა იმისათვის, რომ მთლიანი სახალხო სასამართლო იყოს ყველაზედ უფრო ცხოველი, ნამდვილი გამომხატველი სამართლის იმ შეგნებისა, რომლითაც გამსჭვალულია მოსახლეობა, რომ სასამართლოს განაჩენსა და გადაწყვეტილებაში აშკარავდებოდეს ეს ხალხური შეგნება; საჭიროა ეს აგრეთვე იმისათვისაც, რომ სასამართლო და საზოგადოებრივი აზრი არ წარმოადგენდეს ორ სხ.და სხ. სრულ. დამოუკიდებელ ცნებას,როგორც ეს იყო რევოლიუციამდე. გარდა ამისა მშრომელთა მასიური მონაწილეობა საქმეთა გარჩევაში, გააღრმავებს და განამტკიცებს სამართლის პროლეტარულ შეგნებას მოსახლეობის პოლიტიკურად ჩამორჩენილ ფენებში და გააცნობს მას საბჭოთა ახალ სამართალს. სახალხო მსაჯულის მოვალეობის შესრულება წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოში ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ფუნქციას, ვინაიდან სასამართლო არის კლასობრივი პოლიტიკის იარაღი, მიმართული მუშათა და გლეხთა გაბატონებულ კლასის გაძლიერებასა და მშრომელთა ინტერესების დასაცავად. კანონის მიზანია ჩაუნერგოს მშრომელთა ფართო მასსას საბჭოთა კლასობრივი მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შეგნება და ამისათვის იგი დაბეჯითებით მოუწოდებს მოქალაქეთ მიიღონ აქტიური მონაწილეობა საბჭოთა კლასობრივი სასამართლოს შექმნა-განმტკიცებაში. სამწუხაროთ ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ სახალხო მსაჯულთა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ისინი ანგარიშს უწევენ მხოლოდ საკუთარ ინტერესებს და სათანადო მოწმობის მიცემით ანთავისუფლებენ თავის მუშა-მოსამსახურეებს სასამართლოში სახალხო მსაჯულთა გამოცხადებისაგან: ამას კი მოჰყვება სასამართლოს სხდომის ჩაშლა და სასამართლოს ნორმალური მუშაობის შეფერხება, გროვდება საქმე, უგრძელდება სამართალში მიცემულთ წინასწარი დაპატიმრება და საქმეზე დაბარებულ პირთ ტყუილ-უბრალოთ ეკარგებათ დრო.

ყველა აღნიშნულის გამო, და იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოს ნორმალური მუშაობა და განმტკიცებული მშრომელთა შეგნებაში სასამართლოში მონაწილეობის მიღების, ამ საზოგადოებრივი მოვალეობის, მნიშვნელობა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ-კოოპერატიულ დაწესებულებას და საწარმოს გამგეს არავითარ შემთხვევაში, წმინდა საუწყებო ინტერესების გულისათვის არ ანთავისუფლონ სასამართლოში გამოცხადებისაგან ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც სახალხო მსაჯულებათ არიან სასამართლოში დაბარებულნი, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელს პასუხისმგებლობას კისრულობს დაწესებულება, საწარმოს გამგე და მის წინააღმდეგ აღძრული იქნება სადისციპლინო დევნა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ს. თოდრია.

10 თებერვალი, 1926 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ხუთშაბათს, 18 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. ცეკას მდივანის ამხ. კახიანის კაბინეტში შესდგება

ბეჭდვითი განყოფილების კოლეგიის მორიგი სხდომა

სხდომას უნდა დაესწროს შემდეგი ამხანაგები:

1. ასრიბეგოვი, 2. ბახტაძე, 3. კიკნაძე, 4. სუტირინი, 5. საყვარელიძე, 6. ჭელიძე, 7. პაპავა, 8. რუხაძე ლ. 9. ძიგრაშვილი, 10. ვირაპი, 11. ზომლეთელი, 12. ანდღულაძე.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. ბეჭვდითი განყ. გამგე მუშიშვილი.

— დღეს, 17 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, ს. ა.კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება

საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა

დასწრება ქვემოთ აღნიშნულ ამხ. ამხ. სავალდებულოა:

1) ლოლობერიძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 2) მაშკევიჩი (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 3) ინსტრუქტორები (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 4) ხუნდაძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 5) გაბუნია (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 6) ბახტაძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 7) ჯაფარიძე ვ. (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 8) მუშიშვილი (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 9) სვანიძე (ს. კ. პ. (ბ) თბ. კ.), 10) ფანცხავა (ს. პ. ს. ს.), 11) მურავიოვი (საქ. კ. პ. (ბ) კ. საკ.), 12) ტრაპაიძე (საქ. კ. პ. (ბ) კ. საკ.), 13) გოგლიძე (სანაპირო რაზმი), 14) გეურქოვი (ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ.), 15) მარკაროვი (ქართ. დივიზია), 16) პეტროვი (კ. წ. დრ. პოლიტ. მმართვ.)

ს.კ. პ.(ბ) ც.კ.საორგ. განყ. მდივანი: ცაგარელი.

დღეს, საღ. 6 საათზე მთავპოლიტგანში დანიშნულია

წერკუვსის ც. გ. პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

უნდა დაესწრონ ყველა წევრები და კანდიდატები და აგრეთვე რაიონების წარმომადგენლებიც.

დღის წესრიგშია მე-3 და მე-4 რაიონების საანგარიშო მოხსენებები და მიმდინარე საკითხები.

პას. მგებ. მდივანი სვანიძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში საკანდიდატო წიგნაკების და ერთიან. პარტბილეთების მისაღებად.

1. ალმაზოვი ივანე, 2. კვალოვი აბელი, 3. კალანდაძე შალვა, 4 რაზმაძე ივანე, გამყრელიძე ნიკოლოზ, 6 ბურლაკოვი ალექსი, 7. ერზიკიანი არუსიაკ, 8. სტეპანოვი გიორგი, 9. ოსეპიანი სიროზ. 10. ჩანტიძე დომენტი, 11. მარკაროვი ხეჩო, 12. კანდარიანი ალექსანდრე, 13 გაბაშვილი თ დოდო.

— მეორე რაიკომის საგ.-საპროპ. განყ. იუწყება: დღეს, 17 თებერვალს, საღამოს 5 საათზე. ხელოსანთა კლუბში (პლეხ. პრ. 66) მოწვეულია რედმედასის, ავიაქიმის და წერკუვსის უჯრედების მდივანთა სარაიონო თათბირი.

დასწრება სავალდებულოა ყველა მდივნებისთვის.

მდივანი ფანცულაია.

— კომკავშირის თ. კომიტეტი იუწყება: დღეს, 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, მეორე რაიონის კლუბში (მელიუტინის ქ. 10) შესდგება მოწაფეთა უჯრედების ბიუროების კონფერენცია.

დასწრება სავალდებულოა ბიუროს ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

მდივანი გობეჩია.

— თ. კ. სთხოვს ქვევით ჩამოთვლილ ამხანაგებს, სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ამხ. ბარსეგოვთან თ. კომიტეტში:

მერინაშვილი ვასილ, ბერიძე მარია. ანასაშვილი გ., იაშვილი დავით, იმედაშვილი აკაკი, მაკაროვი იოსებ, სიორიძე ივან, ხუბულაშვილი მარკოზ, აიგუნოვი მიხ. ავეტიქოვი ყაზარ, კუზნეცოვი ვლ., ტიურინი ილია, სოლოვინ ალ., დოლიძე ანდრო, ვასიანინი მიხ., ურიგაშვილი ივან, ჯავახოვი ვლ., ბახტაძე იოსებ, აივაზოვი მუშეღ, კაზიევი ალექსი.

მეუღლე ვიქტორია და შვილები გოგი და ვახტანგი მადლობას სწირავენ ყველას ვინც პირადი დასწრებით, დეპეშებით ან წერილებით გაიზიარა მათი მწუხარება
ირაკლი გრიგოლის ძე
დეკანოზიშვილის
ქ. 1539 გარდაცვალების გამო 1—1

სახელმწიფო ოპერა! დღეს, 17 თებერვალს
მიგ'ი ევგენი ონეგინი
ხუთშაბათს, 18 თებერვალს,
ჰუგენოტები
პარასკევს, 19 თებერვალს,
მიგაის გასტროლი
დემონი
3—2

გაზეთ კომუნისტი-ს
მთავარი კანტორა
აცხადებს, რომ „კომუნისტზე“
ხელისმოწერა შორაპნის მაზრაში
შეიძლება ქიათურის გაზეთ „კომუნისტი“-ს კანტორაში
კანტორის გამგე—შ. გოგელიასთან
3-2 ნ. 779
მთავარი კანტორა

რუსთაველის თეატრი: ხუთშაბათს, 18 თებერვალს
გრ. რობაქიძის
ლამარა.
შაბათს, 20 თებერვალს
ჰამლეტ
მონაწ. მეორე შემადგენლობა.
კვირას, 21 თებერვალს
მზის დაბნელება საქართველოში
ნ. 781 1—

საფინანსო კურსები
ფინსახკომთან არსებული
გამოცდები დანიშნულია ხუთშაბათს, 18 თებერვალს, საღ. 7 საათ.
მისამართი: მერვე შრომის სკოლა, ქ. შიო ჩიტაძის (ყოფ. ერმოლოვის), № 13.
2—1 ქ. 1537

თბილისის
ტელეფონის ქსელის გამგე
აცხადებს, თანახმად არსებულ წესისა აბონენტთათვის ანგარიშების და მოგონებების გზავნა სააბონენტო ქირის შემოტანის შესახებ
გაუქმებულია
და ამის ნაცვლად მათ დაგზავნილი აქვთ საანგარიშო ბარათები, რომლის მიხედვით თვითეულ აბონენტის მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნოს საგადასახადო დროის მოახლოვებას და ყოველ დამდეგ თვის 10 რიცხვს გაასწოროს ანგარიში,
წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისის ტელეფონის ქსელის სამმართველო საგადასახადო
ვადის გასვლის შემდეგ
არა უგვიანეს 7 დღისა ყოველგვარ გაფრთხილების გარეშე შეწყვეტს ტელეფონის მოქმედებას
თბილისის ტელეფონის ქსელის გამგე ა. ლომაია.
ნ. 783 1—1

აპოლლო
არფასტო
სოლეი
პირველად თბილისში
„ოცნებათა სამეფოში“
ანონსი: ამ დღეებში „ინდოეთის აკლდამა“
საზღვარ-გარეთელ კინემატოგრაფიის უდიდესი მიღწევანი
4 სერიად „ნიბელუნგები“ 4 სერიად
1 და 2 სერია ერთად
„პრავდა“ 31 დეკემბრის ნომერში სწერს: „ნიბელუნგები“—ყველაზე უკეთესი და ყველაზე გასაოცარი სურათია, რომლის მაგვარი ჯერ ჩვენ არ გვინახავს“.
0—25 ნ. 609
კასა ღიაა 4 საათ 30 წ.

უძღვნი ულრმეს ჩემს მადლობას ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციებს და იმ პირთ, რომელთაც მადირსეს სალამი და პატივი მცეს დასწრებით ჩემს
იუბილეზე
ინჟ. ი. ანდრონიკაშვილი
ქ. 1547 1—1

შემთხვევით იყიდება
სასადილო
ყოველივე მოწყობილობით, გვერდზე მოწყობა აგრეთვე ღვინის სარდაფი. მისამართი—სომხის ბაზრის ქუჩა № 1.

საქ. ს. ს. რ. სოც. უზრ. სახალხო კომისარიატი
დამატებით კომისარიატის ბრძანებისა
დასახიჩრებულთა სავაჭრო-საწარმოო ნადის
„იმედი“-ს
საქმეებზე სალიკვიდაციო კომისიის დაარსების შესახებ, ამით აცხადებს, რომ ყველა დაწესებულებები და კერძო პირები, რომელთა ხელშიც იმყოფება ნადი „იმედი“-ს რაიმე ქონება, ან თანხები, ვალდებულნი არიან ა|წ. 23 თებერვლამდე აცნობონ ამაზე სალიკვიდაციო კომისიას ქ. თბილისში, ძმლაძის ქ. № 30
სოც. უზრ. სახალხკომისარიატი
3—1 ნ. 784

სასამართლოს აღმასრულებელი თელავის უბნისა
გ. ზ. ყარასაშვილი
ამით აცხადებს, რომ ა|წ. 27 თებერვალს, შუა დღის 12 საათზე, ქ. თელავში, ტყის ქუჩაზე № 2, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით, ერთ სართულიანი სახლი; შემდგარი ორი ოთახისაგან სარაიით, კუთვნილი ნიკო იბრამისძე წერეთლისა, შეფასებული ოთხასი მან., დასაკმაყოფილებლად ვალისა,—სახელმწიფო სავაჭრო კანტორის „ზაკოსტორგისა“ 623 მან 4 კ. და სარგებელი. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან და მოხ-ება 310—313 მუხ. სამ. სას. საპ. კოდ. თებერვლის 9 დღესა 1926 წ.
1—1 ნ. 780—

Судебний Исполнитель при Нарсуде
4-го района гор. Тифлиса Гавсович об'являет, что на 20 февраля 1926 г. в 10 ч. утра на Милютинской ул. № 1 назначены публичные торги на продажу имущества торгово—производственной артели инвалидов „Арин-груз“, состоящего из ледника, двух котлетных машинок, настольных весов, 30 ф. местного сыра и проч., описаннаго на удовлетворение взыскания „Сахоротреста“ по судебному приказу Нарсуда 1 района гор. Тифлиса от 12 октября 1925 г. за № 5066 и оцененного в 90 рублей.
ქ. 1544 1—1

დაკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული 25 მარტს 1921 წ. № 265 ალექსი ქინქლაძეს მამულზე. ჩ. გ. 1—1 1543

დაკარგა მატრიკული № 2755 ანა არზაქაძის სახელზე. ჩ. გ. 1- 1 1542

დაკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ქარელის ალმასკომიდან არონ ძორელაშვილის სახელზე ჩ. გ. 1—1 1545

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 292 გარლამ ზაქარიას ძე მოსიაშვილის სახელზე ჩ. გ. 1—1 1540

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 18615 ნინო ბოლქვაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1541

დაკარგა პირადობის მოწმობა № 404 შაბათა წვენიაშვილის სახელზე და სიმინდის შესაძენი მოწმობა № 403 გაცემული სახჩერის ალმასკომისაგან შაბათა წვენიაშვილის და მოშე მეგრელიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1546

დაკარგა სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 3482; ერემია სპირიდონის ძე არეშიძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ნ. 782

დაკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 5098, ნიკოლოზ რუხაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 ნ. 782

ტირაჟი—24.767
სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს წულუკიძის ქუჩა № 4